

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-15/2
1981

34

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

1. 1981


საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

СЕРИЯ
ЭКОНОМИКИ И
ПРАВА

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца



1. 1981

გამომცემლობა „მეცნიერება“
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

თბილისი
ТБИЛИСИ

სარედაქციო კოლეგია: ა. გუნია (რედაქტორი), პ. გუგუშვილი, ი. დოლიძე, გ. თოდუა, თ. ლილუაშვილი, ვ. მელქაძე, ი. მიქელაძე, ი. ფურტკარაძე, თ. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ხოშტარია (რედაქტორის მოადგილე).

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Гуния А. Л. (редактор), Гугушвили П. В., Долидзе И. С., Лилуашвили Т. С., Мелкадзе В. И., Микеладзе И. С., Путкарадзе Я. В., Тодуа Г. С., Хоштария Т. С. (зам. редактора), Шавгулидзе Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия.

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,
ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1981

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. № 19

Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-46 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.VII.81; შუკვ. 4064; ანაწყოების ზომა 7×11¹/₂;
ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 10,2; საალრიცხო-სავაჭომეცმლო თაბახი 8,4;
უე 14015 ტირაჟი 900.

ფასი 70 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

ეკონომიკა

კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამა	5
ა. ბრეჟნევი, დ. დიასამიძე, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 60 წლის მანძილზე	11
ლ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ მრეწველობის განვითარების თავისებურებანი (1921—1937 წწ.).	28
ბ. თოფურია, სოციალისტური დაგროვების არსის კვლევის მეთოდოლოგიური საკითხები	42
შ. ლობჯანიძე, სამეურნეო ანგარიში, როგორც სოციალიზმის ეკონომიკური კატეგორია	52
შ. ნათენაძე, სამეურნეო მექანიზმი და დაგეგმვის სრულყოფის ახალი ეტაპი	60
მ. როკატლიშვილი, საფინანსო კონტროლის მნიშვნელობა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის დაფინანსება-დაკრედიტებაში	75
მ. ბაღდავა, რკინიგზის ტრანსპორტის ეკონომიკურ ამოცანათა გადაწყვეტის სრულყოფის საკითხები, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენებით	91
სამართალი	
თ. ლილუაშვილი, სკკპ ეკონომიკური პოლიტიკა და სამართალი	99
ბ. ნაღარეიშვილი, დ. ფურცელაძე, იოანე ბატონიშვილის ერთი წინადადების თაობაზე	107

СОДЕРЖАНИЕ

ЭКОНОМИКА

Величественная программа коммунистического строительства	5
А. И. БРЕГВАДЗЕ, Д. С. ДИАСАМИДЗЕ, Народное хозяйство Грузинской ССР за 60 лет	11
Л. И. ГУГУШВИЛИ, Особенности развития промышленности Грузинской ССР (1921—1937 гг.)	28
Г. Д. ТОПУРИЯ, Методологические вопросы исследования сущности социалистического накопления	42
Ш. Я. ЛОБЖАНИДЗЕ, Хозяйственный расчет как экономическая категория социализма	52
Ш. П. НАТЕНАДЗЕ, Хозяйственный механизм и новый этап совершенствования планирования	60
М. И. РОКЕТЛИШВИЛИ, Значение финансового контроля в финансировании и кредитовании легкой промышленности Грузинской ССР	75
М. Е. ГАЛДАВА, Вопросы совершенствования экономических задач железнодорожного транспорта с применением электронновычислительных машин	91
ПРАВО	
Т. А. ЛИЛУАШВИЛИ, Экономическая политика КПСС и право	99
Г. Н. НАДАРЕЙШВИЛИ, Д. Л. ПУРЦЕЛАДЗЕ, Об одном предложении царевича Иоанна	107

ყრილობაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საბჭოთა ხალხმა დიდ წარმატებებს მიაღწია ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში, რასაც მოწმობს შემდეგი ციფრობრივი მონაცემები: 1970—1980 წლებში მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტი გაიზარდა 67 პროცენტით, ამასთან, მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი—55 პროცენტით, ხოლო მოხმარებისა და არასაწარმოო მშენებლობისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავლის რესურსები—62 პროცენტით; მრეწველობის პროდუქცია, ამავე პერიოდში, 78 პროცენტით გაიზარდა, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება—23 პროცენტით. პროდუქციის წარმოების ზრდის ასეთი ტემპები განაპირობა კაპიტალურ დაბანდებათა ოდენობის მნიშვნელოვანმა ზრდამ, რამაც, ამავე პერიოდში 66 პროცენტი შეადგინა. წარმატებებია მოპოვებული სოციალური განვითარების მხრივაც, კერძოდ, საქონელბრუნვა ათი წლის მანძილზე 70 პროცენტით გაიზარდა, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების მატებამ კი 82 პროცენტი შეადგინა.

საბჭოთა ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა კომუნიზმის მატერიალური-ტექნიკური ბაზის შექმნის ყველა მიმართულებით. თვისებრივად ახალ დონეს მიაღწიეს ჩვენი საზოგადოების მწარმოებლურმა ძალებმა, გაღრმავდა და გაფართოვდა მეცნიერულ-ტექნიკური რევილუცია, რომელმაც სახე უცვალა ბევრ წარმოებასა და მთელ რიგ დარგებს.

საბჭოთა ქვეყნის ამ წარმატებებმა ეკონომიკის დარგში, შესაძლებელი გახადა მომდევნო, მეთერთმეტე ხუთწლიდისათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ამოცანების დასახვა, რაც აისახა XXVI ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებაში „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების“ შესახებ. ამ დადგენილებაში ნათქვამია, რომ მეთერთმეტე ხუთწლიდის მთავარი ამოცანაა კიდევ უფრო გავუმჯობესოთ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა იმის საფუძველზე, რომ მყარად, შეუწყვეტლად განვავითაროთ სახალხო მეურნეობა, დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ეკონომიკის გადაყვანა ინტენსიური განვითარების გზაზე, უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ ქვეყნის საწარმოო პოტენციალი, მაქსიმალურად დავზოგოთ ყველა სახეობის რესურსები და გავუმჯობესოთ მუშაობის ხარისხი. ამ ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად მეთერთმეტე ხუთწლიდში ყრილობამ ახალი მიზნების მიღწევა დასახა. ქვეყნის ეროვნული შემოსავალი უნდა გაიზარდეს 18—20 პროცენტით, მრეწველობის პროდუქცია—26—28 პროცენტით, სოფლის მეურნეობის პროდუქცია—12—14 პროცენტით; კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა ხუთწლიდში შეადგენს 711—730 მილიარდ მანეთს. განსაკუთრებული ყურადღება, როგორც წინა ხუთწლიდში, დაეთმობა მძიმე ინდუსტრიის, მისი დარგების ყოველმხრივ განვითარებას. ხუთწლიდში რადიკალურად უნდა გაუმჯობესდეს სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის სტრუქტურა—უნდა შემციირდეს ნავთობის, როგორც სათბობის წილი, შეიცვალოს იგი გაზითა და ქვანახშირით, უფრო სწრაფად უნდა განვითარდეს ატომური ენერგეტიკა, მათ შორის სწრაფენიტრონებიანი რეაქტორები, გაგრძელდება ენერჯის პრინციპულად ახალი წყაროების ძიება, კერძოდ, უნდა შეიქმნას თერმობირთვული ენერგეტიკის საფუძველები. ახალი სიმძლავრეები ამოქმედდება

შეესა და ფერად მეტალურგიაში, მაგრამ ამ დარგის მთავარი ამოცანა უნდა გახდეს ლითონის დეფიციტის დაძლევა, წარმოებულის უფრო უნარიანად და სრულად გამოყენების გზით. ლითონდამუშავებაში უმნიშვნელოვანესი ამოცანა არის დანაკარგებისა და ნარჩენების, აგრეთვე, ჩარხებისა და მოწყობილობის წონის შემცირება, ლითონისა და მისი ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესება, ლითონმემცვლელების წარმოების გადიდება, მიმდინარე ხუთწლიეში მნიშვნელოვანი დავალებები ეძლევათ მშენებლებსა და ტრანსპორტის მუშაკებს.

ყოველი დარგის წინაშე საკუთარი აქტუალური და სპეციფიკური ამოცანები დგას, მაგრამ არის პრობლემები, რომლებიც მოიცავს სახალხო მეურნეობის ყველა სფეროს, და მათგან მთავარია დამთავრდა გადასვლა უბრატესად განვითარების ინტენსიურ გზაზე. „ეკონომიკის ინტენსიფიკაცია, მისი ეფექტიანობის გაზრდა,— აღნიშნავდა XXVI ყრილობაზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი—თუ ეს ფორმულა პრაქტიკულ საქმეთა ენაზე გადათარგმნეთ, უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ წარმოების შედეგები იზრდებოდეს უფრო სწრაფად, ვიდრე მისი დანახარჯები, რომ წარმოებაში შედარებით ნაკლები რესურსების ჩაბმის შედეგად შეგვეძლოს მეტის მიღწევა. ამ ამოცანის გადაწყვეტას უნდა ემსახურებოდეს დაგეგმვა, მეცნიერულ-ტექნიკური და სტრუქტურული პოლიტიკა“. ამიტომაც, რომ XXVI ყრილობამ ხუთწლიედის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად საწარმოო პოტენციალის უფრო სრულად, უფრო ეფექტიანად გამოყენება მიიჩნია. ახლებურად მიდგომას მოითხოვს ნედლეულისა და მასალების ხარჯვის ორგანიზაცია, საწარმოო სიმძლავრეების—მანქანების, მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება; საჭიროა წარმოების ყველა უბანზე სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს მოცდენებს, მეტი ყურადღება დაეთმოს ცვლიანობის კოეფიციენტის გადიდების ღონისძიებებს, ისეთი ტექნოლოგიური სქემების შექმნას, რომლებიც დაზოგავენ ენერჯიას და მასალებს და სხვ.

პარტიის ყრილობამ დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანები დაუსახა საბჭოთა მეცნიერებს. „ჩვეყნის უღირესად სჭირდება,— აღნიშნა ამხანაგმა ლ. ბრეჟნევმა,— რომ „დიდმა მეცნიერებამ“, თეორიულ პრობლემათა დამუშავებასთან ერთად, თავისი მეცადინეობა უფრო მეტად მოახმაროს მთავარ სახალხო-სამეურნეო საკითხთა გადაწყვეტას, აღმოჩენებს, რომლებიც კვლამარტად რევოლუციურ ცვლილებებს შეიტანენ წარმოებაში“.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლებმა უფრო აქტიურად უნდა შეიციონ მომწიფებული სოციალიზმის კანონზომიერებანი, მეტი ყურადღება დაუთმონ საზოგადოების მთავარი მწარმოებლური ძალის-ადამიანის, მისი შესაძლებლობებისა და ნიჭის ყოველმხრივი, პარმონიული განვითარების საკითხებს. მეცნიერები მოწოდებულნი არიან უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ მშრომელთა ფართო მასებში მეცნიერული მსოფლმხედველობის გავრცელების უმნიშვნელოვანეს საქმეში, ხელი შეუწყონ სახალხო განათლების შემდგომ აღმავლობას, მოსახლეობის ფიზიკურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებას კომუნისმის მაღალი და კეთილშობილური იდეალების შესაბამისად.

ადამიანზე, მისი კეთილდღეობის ამაღლებაზე ზრუნვითაა გამსჭვალული ყრილობის ყველა დოკუმენტი. ამან თავისი ასახვა ჰპოვა მეთერთმეტე

ხუთწლეულის დავალებებში. მაგალითად, მოხმარების ფონდის ხვედრითი წილი ეროვნულ შემოსავალში 1980 წლის 75,3 პროცენტიდან, 1985 წელს 77,3 პროცენტამდე გაიზარდა. მნიშვნელოვნად გადიდდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები, ხელფასის შემდგომი ზრდისა და მოსახლეობისადმი სხვა დახმარება-შელაგავებისათვის ხუთწლეულში გათვალისწინებულია 16 მილიარდ მანეთზე მეტის გამოყოფა. 80 მანეთამდე გადიდდება მუშა-მოსამსახურეთა მინიმალური თვიური ხელფასი, ხოლო საშუალო თვიური ხელფასი 190—195 მანეთს მიაღწევს. კომმუნისტური შემოსავალი საზოგადოებრივი მეურნეობებიდან 20—22 პროცენტით გაიზარდება.

ბოლო ხუთწლეულების მანძილზე საგრძნობლად გადიდდა სურსათის წარმოება, მაგრამ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი სიძნელეები შეიმჩნევა. მათი დაძლევისათვის ყრილობამ მიზანშეწონილად სცნო სპეციალური სასურსათო პროგრამის შემუშავება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება. სასურსათო პროგრამით გათვალისწინებული უნდა იყოს მარცვლეულის საშუალო წლიური წარმოების გაზრდა 238—243 მილიონ ტონამდე, ხორცისა—18,2 მილიონ ტონამდე და სხვ. საგრძნობლად მოიმატებს სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაც.

პარტიის ლენინური მონოლითური იდეურ-პოლიტიკური ერთიანობის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული XXVI ყრილობის მთელი მუშაობა. ამ მუშაობაში აისახა პარტიის კოლექტიური სიბრძნე, მისი შემოქმედებითი სტილი, ხალხისადმი ერთგულება. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია რაზმავს მშრომელთა მასებს კომუნისტური მშენებლობის ახალი ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად.

ახალ მიჯნებს მიაღწევს მეთერთმეტე ხუთწლეულში საბჭოთა საქართველოც, ამის საწინდარია ის წარმატებანი, რაც ჩვენმა რესპუბლიკამ წინა პერიოდში და, განსაკუთრებით, სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული მოიპოვა. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ „70-იანი წლების მეორე ნახევარი შეიძლება მივიჩნიოთ რესპუბლიკაში იმ დადებითი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური პროცესების საბოლოო და შეუქცევად დამკვიდრებაზე გადასვლად, რომლებიც დაიწყო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შემდეგ“. ამ დადებითი პროცესების დამკვიდრების შედეგად ის, რომ ჩვენმა რესპუბლიკამ სკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მერვედ ზედიზედ მოიპოვა პირველი ადგილი და გარდამავალი წითელი დროშა.

როგორც რესპუბლიკის კომუნისტთა ყრილობაზე აღინიშნა, სამოცდაათიანი წლების მანძილზე სახალხო მეურნეობაში მნიშვნელოვანი თვისებრივი ძვრები მოხდა. გაიზარდა, როგორც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქციის მოცულობა, ასევე წარმოებული ეროვნული შემოსავალი; მნიშვნე-

ლოვნად შემცირდა რესპუბლიკის ჩამორჩენა საერთო-საკავშირო მოცულობებთან შედარებით მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით ეროვნული შემოსავალი, სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ოდენობის მხრივ, რაც რესპუბლიკის კომპარტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს წარმოადგენს. ამავე პერიოდში, საერთო-საკავშირო ეკონომიკურ პოტენციალში განმტკიცდა რესპუბლიკის წვლილის თანმიმდევრული გადიდების ტენდენცია.

მოპოვებული წარმატებები საშუალებას გვაძლევს დავსახოთ განვითარების ახალი, უფრო მნიშვნელოვანი მიჯნები. როგორც ამხანაგმა ე. შევარდნაძემ აღნიშნა, „მომავალი ათწლეული უნდა გახდეს ეკონომიკური განვითარების ძირითადი განმაზოგადებელი მაჩვენებლების მიხედვით, საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით, საქართველოს სს რესპუბლიკის გარკვეული ჩამორჩენის დაძლევის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციის დამამთავრებელი ეტაპი“. მნიშვნელოვნად შევამცირეთ ეს სხვაობა, ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით კი გადავაჭარბეთ საშუალო საკავშირო დონეს—ასეთია მომავალ ათწლეულში მწარმოებლურ ძალთა განვითარების საკვანძო საკითხი.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების დიდი პროგრამა შეიმუშავა. მნიშვნელოვნად გაიზარდება ელექტროენერჯის წარმოება, უფრო სრულყოფილი გახდება რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული რესურსების სტრუქტურა, გადიდება ნავთობისა და ქვანახშირის მოპოვება. გაძლიერებული ტემპებით განვითარდება შავი და ფერადი მეტალურგია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ფხვნილთა მეტალურგიას. წარმოებაში ყველაზე მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვით, წარმოების ინტენსიური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საფუძველზე მნიშვნელოვნად გაიზარდება მანქანათმშენებლობის პროდუქციის მოცულობა, ამალდება მისი ხარისხი.

ამხანაგმა ე. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ მეთერთმეტე ხუთწლეულში ორი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული კომპლექსური პროგრამა უნდა განხორციელდეს: სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარების პროგრამა და სასურსათო პროგრამა.

ახალ ხუთწლეულში გათვალისწინებულია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების უპირატესი განვითარება, მისი მოცულობა 32—34 პროცენტით გაიზარდება და შეადგენს 19,1 მილიარდ მანეთს, კერძოდ, მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის წარმოება გადიდება 1,3-ჯერ, ხე-ტყისა და ხის დამუშავებელი მრეწველობის პროდუქციისა—30 პროცენტით; ამასთანავე, 1,5-ჯერ გაიზარდება ადგილობრივი ნედლეულის რესურსებით დამზადებული პროდუქციის წილი. ყრილობაზე აღინიშნა, რომ ფართო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების გაუმჯობესება უნდა გულისხმობდეს არა მარტო მისი წარმოების რაოდენობრივ ზრდას, არამედ, აგრეთვე, ასორტიმენტის გაფართოებას და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ხარისხის ამაღლებას. ეს მსუბუქი მრეწველობის დარგის მუშაკთა საბრძოლო ამოცანას უნდა წარმოადგენდეს.

სასურსათო პროგრამის საფუძველს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარება წარმოადგენს. გასულ ხუთწლეულში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს—მიღებუ-

ლია ჩაისა და ყურძნის სარეკორდო მოსავალი, გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ყოველივე ეს შედეგია იმ ზრუნვისა, რომელსაც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია იჩენს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის, შედეგია რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციაში იმ ახალი მოვლენების და პროცესების დამკვიდრებისა, რომელთა სულისჩამდგმელი და ცხოვრებაში გამტარებელი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტია. ყრილობაზე აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანა არის წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ყოველი ღონისძიებით ამაღლების საფუძველზე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების გათანაბრება სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საუკეთესო მაჩვენებლებთან.

ყრილობაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რესპუბლიკის სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს. ახალ ხუთწლიელში დაგეგმილია რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოყენებული ეროვნული შემოსავლის თითქმის 1,4-ჯერ გაზრდა. ამასთან, ხალხის კეთილდღეობას მოხმარდება ეროვნული შემოსავლის ოთხ მეხუთედზე მეტი. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით რეალური შემოსავალი 15 პროცენტით გადიდება, მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 1,2-ჯერ გაიზარდება, ხოლო კოლმეურნეთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება — 1,3-ჯერ. მნიშვნელოვანად გაიზარდება აგრეთვე საქონელბრუნვისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა. 1981—1985 წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 9 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ამის მეოხებით საბინაო პირობებს გაუმჯობესებს 120 ათასზე მეტი ოჯახი.

როგორც ყრილობაზე აღინიშნა, ოთხმოციან წლებში მეცნიერების, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის შემდგომი ინტენსიური განვითარება საქართველოს კომპარტიის უმნიშვნელოვანეს ამოცანადაა მიჩნეული. პარტიამ მეცნიერთა წინაშე, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერების უახლესი მიღწევების პრაქტიკაში დანერგვის, მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერების უკუგების შემდგომი გადიდების გადაუდებელი ამოცანები დასახა. მნიშვნელოვანი ამოცანები დაისახა აგრეთვე საზოგადოებრივ მეცნიერებათა წინაშეც. ყრილობამ იდეოლოგიური უბნის მუშაებს და შესაბამის ორგანიზაციებს დაავალა შეადგინონ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დასამტკიცებლად წარუდგინონ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტის 80-იანი წლების კომპლექსური პროგრამა. ეს პროგრამა საფუძველად უნდა დაედოს საზოგადოებათმცოდნე მეცნიერთა მეცადინეობის გაერთიანებას მარქსისტულ-ლენინური თეორიის, იდეოლოგიური და აღმზრდელი ბითი მუშაობის ფუნდამენტური პრობლემების გადასაწყვეტად.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ დიდი ამოცანები დაუსახა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს ახალ მეთერთმეტე ხუთწლიელში. ექვს გარეშეა, რომ ჩვენი მეცნიერები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ამ ამოცანათა წარმატებით გადაჭრაში, კომუნისტური მშენებლობის დიდი პროგრამის განხორციელებაში.

ალექსანდრე გრეგორი, ღურსუნ დინასიძე

საბარტმელოს სსრ სახალხო მეურნეობა 60 წლის მანძილზე

ქართველი ხალხი ხანგრძლივი დროის მანძილზე გმირულად იბრძოდა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში დაქუცმაცებული საქართველო ეკონომიკურად იმდენად დასუსტდა, რომ აღარ შეეძლო სულთანის თურქეთისა და შაჰის ირანის წინააღმდეგ დამოუკიდებლად ბრძოლა და დასაყრდენს ერთმორწმუნე რუს ხალხში ეძებდა. რუსეთთან შეერთება, რომელიც საბოლოოდ გაფორმდა 1801 წელს, საფუძვლად დაედო შემობრუნების ეტაპს ქართველი ხალხის ისტორიაში. მიუხედავად ცარიზმის პოლიტიკით გამოწვეული მძიმე ჩაგვრისა, რუსეთთან საქართველოს შეერთება საერთოდ პროგრესული მოვლენა იყო.

რუსეთთან შეერთებით საქართველო მოექცა კაპიტალისტური განვითარების ორბიტაში, რამაც დააჩქარა მისი მწარმოებლური ძალების განვითარება.

საქართველოს რუსეთთან შეერთებით რეალური პირობები შეიქმნა ქართველი და რუსი ხალხების დაახლოებისათვის. რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი ცხოვრების და, შემდეგ კი, რევოლუციური მოძრაობის გავლენა უდიდესი პროგრესული მნიშვნელობის ფაქტორი იყო ქართველი ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველოს მოწინავე საზოგადოება, რუსეთის დემოკრატიულ ძალებთან ერთად, აღსდგა რუსეთის თვითმპყრობელობის, კოლონიურ-რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მთავარ ხელმძღვანელ ძალას რუსი ხალხი წარმოადგენდა, რომელსაც მალე ეჭირა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა.

ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა მსოფლიოს პროლეტარიატის მებრძოლი ავანგარდი — 1903 წელს შექმნილი და ლენინის მიერ გამოწრთობილი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით შეიარაღებული კომუნისტური პარტია, რომელმაც რუსეთის მრავალრიცხოვანი ხალხი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე მიიყვანა.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. შეიქმნა მუშათა და გლეხთა დიქტატურა, რომელმაც მშრომელთა ინტერესების შესაბამისად მთელი რიგი უდიდესი მნიშვნელობის დეკრეტები გაატარა. განხორციელდა მიწისა და მრეწველობის ნაციონალიზაცია. ამ ისტორიული აქტის საფუძველზე მთელი მიწა, საშუალო და მსხვილი კერძო საწარმოები გამოცხადდა საერთო სახალხო საკუთრებად, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის შექმნისათვის.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნამ და მისმა შესვლამ საბჭოთა კავში-

რის ძმურ ოჯახში, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მეურნეობრივ-კულტურული განვითარების ფართო გზა გაუხსნა.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ საჭიროა მეურნეობრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში თანმიმდევრულად განხორციელდეს ნაციონალური უთანასწორობის ლიკვიდაცია, რომ რუსეთის იმპერიის ყოფილ განაპირა მხარეებში ნედლეულის ბაზის შესაბამისად განვითარდეს მრეწველობა¹.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ზრუნავდნენ იმისათვის, რომ ნაციონალურ რესპუბლიკებსა და მხარეებში მრეწველობის განვითარების ტემპების დაჩქარებით მომხდარიყო ეკონომიკური ჩამორჩენილობის სწრაფი ლიკვიდაცია.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა, მთლიანად სსრ კავშირში, შეუძლებელი იყო მძიმე ინდუსტრიის განვითარების გარეშე. ამ მიმართულებით საქართველოში პირველი ნაბიჯი გადაიდგა 1922 წელს, როდესაც საქართველოს მშრომელები შეუდგნენ გოელროს ლენინური გეგმით გათვალისწინებულ ზემო-ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. საბჭოთა მთავრობამ ზაპესის მშენებლობისთვის გამოიყო 750 ათასი მანეთი ოქროთი. მომდევნო წლებში დაიწყო აგრეთვე აბაშის, აჭარისწყლის, ცხინვალისა და ზოგიერთი სხვა მცირერიცხოვანი ჰიდროსადგურების მშენებლობა. 1923 წელს საბჭოთა რუსეთმა საქართველოს მშრომელებს უსასყიდლოდ გამოუგზავნა მოსკოვის ერთ-ერთი მაუდის ფაბრიკის მთლიანი გაწყობილობა, რომელიც გაიგზავნა ქ. ქუთაისში და მწყობრში ჩადგა 1924 წელს. ამ წლებში საქართველოში დაიწყო 20 მსხვილი მრეწველური საწარმოს მშენებლობა, ცხრა მათგანი ექსპლუატაციაში გადაეცა 1926 წლამდე, ამასთან ერთად, მიმდინარეობდა ინდუსტრიულ საწარმოთა რეკონსტრუქცია. ამის მაჩვენებელია კაპიტალურ დაბანდებათა ყოველწლიური ზრდა, მაგალითად, 1923—1924 წწ. საქართველოს სსრ ცენტრის მრეწველობის ძირითადი ფონდების ზრდას დაახლოებით 239 ათასი მანეთის კაპიტალდაბანდება მოხმარდა, 1924—25 წწ. კი აღნიშნული თანხა 1207 ათას მანეთამდე გაიზარდა. ამასთან, კაპიტალური მშენებლობის საერთო მოცულობით იზრდებოდა ინდუსტრიულ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ახალ მშენებლობაზე გამოყენებული სახსრების ზედრიწონა² საქართველოს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენდა რესპუბლიკის მძიმე ინდუსტრიის განვითარებისადმი, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო ერთბაშად მსხვილი კაპიტალდაბანდებით უზრუნველყო მრეწველობის სხვა დარგებიც, განსაკუთრებით ეს ითქმის მსუბუქ და კვების მრეწველობაზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად პირველი ხუთწლიური დასაწყისისათვის საქართველოს მსხვილი მრეწველობის პროდუქციამ ბევრად გადააჭარბა ომამდელ დონეს: 1927—1928 წწ. იგი შეადგენდა 76 მლნ მანეთს (1926/27 წლის უცვლელი ფასებით) და 1913 წ. დონეს 69 პროცენტით აღემატებოდა.

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 584.

2 საქართველოს სახალხო მეურნეობა 1921—1967 წწ., პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით, თბ., 1969, გვ. 149.

ინდუსტრიალიზაციის პერიოდში საქართველოში კიდევ უფრო მეტად გაიშალა ახალ მრეწველურ საწარმოთა მშენებლობა. 30-იანი წლებისათვის სოციალისტურმა მრეწველობამ თითქმის მთლიანად მოიცვა რესპუბლიკის ინდუსტრიული წარმოება. 1929 — 1930 წლებში საქართველოს ცენტრალური მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 92,4 პროცენტი სოციალისტური სახელმწიფოს ხელში იყო, ხოლო 7,5 პროცენტი კოოპერატიულ ორგანიზაციებს ეკუთვნოდათ.

კიდევ უფრო მეტი წარმატებანი მოიპოვეს საქართველოს უზრუნველბმა მეორე და მესამე ხუთწლედებში. მწყობრში ჩადგა ლენინის სახელობის ზემო-აეჭალისა და ი. ბ. სტალინის სახელობის რიონის პიდროლექტროსადგურები. მათ ბაზაზე ამუშავდა კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი და „ცენტროლიტის“ ქარხნები, ამასთან ერთად, დაქარდა მრეწველობის განვითარება ქ. ქუთაისშიც, იგი გადაიქცა საქართველოს მეორე ინდუსტრიულ ცენტრად. აქ აშენდა სამთოსამახტო გაწყობილობისა და ლითონის ქარხნები, აგრეთვე ამიერკავკასიაში ერთ-ერთი მსხვილი ხილბოსტნეულის გადამამუშავებელი საკონსერვო ქარხანა.

რესპუბლიკაში ვითარდება ნათობგადამამუშავება, ფეროშენადნობთა წარმოება და წიაღისეულის ახალი სახეების მოპოვება. გარჯარა და თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა მანგანუმის, ქვანახშირისა და მოპოვებითი მრეწველობის სხვა დარგები.

თითქმის ხელახლა შეიქმნა მსუბუქი და კვების მრეწველობა, წარმოშვა ახალი ინდუსტრიული რაიონები. სწრაფი ტემპით ვითარდება მრეწველობა აჭარის ასსრ-ში, აფხაზეთის ასსრ-ში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით რესპუბლიკაში გადიდდა მუშების, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა რიცხვი. აღიზარდა მრეწველობის მრავალი დარგის ნაციონალური კადრები.

1940 წ. რესპუბლიკის მსხვილი მრეწველობის მთლიანმა პროდუქციამ თითქმის 27-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს.

1921—1940 წლების განმავლობაში მთელ სახალხო მეურნეობაში დაბანდებული იყო 6014939,0 ათასი მანეთი, აქედან მრეწველობაზე მოდიოდა ერთ მესამედზე მეტი.

კაპიტალურ დაბანდებათა ზრდის ტემპები საქართველოს მრეწველობაში უფრო სწრაფი იყო, ვიდრე სსრ კავშირში მთლიანად, რაც მეტყველებს იმაზე, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა წინათ ჩამორჩენილი მხარეებისა და რესპუბლიკების უფრო სწრაფი ტემპით განვითარებას, ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაჩქარებით დაძლევის.

საქართველოს სსრ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელების შედეგად, დროის უმოკლეს მანძილზე გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე დაიწყო გაჩანაგებული სოფლის მეურნეობის აღდგენისათვის უდიდეს ღონისძიებათა განხორციელება, რომელთა შორის ერთ-ერთი

უმნიშვნელოვანესი იყო მიწის ნაციონალიზაცია, რითაც მშრომელ გლეხობას მიწით სარგებლობის ფართო ასპარეზი მიეცა.

მაგრამ დაქუცმაცებული, წვრილგლეხურ მეურნეობათა ბატონობის პირობებში შეუძლებელი იყო სოფლის მეურნეობის მოკლე დროში აღდგენა და, რაც მთავარია, მისი შემდგომი განვითარება შეუძლებელი იყო მიწათმოქმედებაში თანამედროვე ტექნიკის გამოყენება და საერთოდ მიწათმოქმედებას კულტურის ამაღლება. აუცილებელი იყო სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა.

აღდგენითი პერიოდის მანძილზე კოლმეურნეობათა მშენებლობა დაბალი ტემპით მიმდინარეობდა. 1925 წლისათვის საქართველოში იყო 19 კოლმეურნეობა: სახელდობრ, 4 კომუნა, 13 სოფლის მეურნეობის არტელი და ორი მიწის საზიაროდ დამწესშავებელი ამხანაგობა. 1928 წლიდან გაძლიერდა კოლმეურნეობრივი მოძრაობის ტემპი, კოლმეურნეობათა რიცხვი 239-მდე გაიზარდა. 1930 წელს საქართველოში იყო 2039, ხოლო 1933 წელს 3487 კოლმეურნეობა. დიდად გაიზარდა კოლმეურნეობათა ხვედრიწონა მთელ სოფლის მეურნეობრივ წარმოებაში. კოლმეურნეობები უკვე წარმოადგენდნენ მარცვლეულის, ჩაის, თამბაქოს და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ძირითად მწარმოებლებს.

წვრილგლეხურ მეურნეობათა კოლმეურნეობებში გაერთიანებით შესაძლებელი გახდა მანქანებზე დამყარებული მიწათმოქმედების შექმნა. სოფლის მეურნეობრივი შრომა შეუჩერებლად მიემართებოდა მექანიზაციის გზით.

ამავე პერიოდში, საქართველოში ჩამოყალიბდა სხვადასხვა წარმოებრივი მიმართულების რამდენიმე ათეული საბჭოთა მეურნეობა, სადაც უახლესი ტექნიკისა და მოწინავე აგროწესების საფუძველზე იქმნება სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

ვ. ი. ლენინის კომპერაციული გეგმის საფუძველზე სოფლის მეურნეობის სოციალისტურმა გარდაქმნამ, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოს სოფელში უზრუნველყო ახალი სოციალისტური ყოფაცხოვრების განმტკიცება. კოლმეურნეობრივმა წყობილებამ ქართველი გლეხობა კულტურისა და შეძლებული ცხოვრების გზაზე გამოიყვანა. საქართველოს სოფელში გაჩნდნენ კლუბები, რადიო, სკოლები, საბავშვო ბავებნი, კოლმეურნეობის მრავალი მუშაკი წარჩინებულა და სახელმწიფოებრივი ადამიანი გახდა.

ქართველმა ხალხმა რესპუბლიკის ბუნებრივ-გეოგრაფიულ თავისებურებათა შესაბამისად უზრუნველყო სოფლის მეურნეობის დარგთა რაციონალური ტერიტორიული გაადგილება და გეგმაზომიერი განვითარება. საბჭოთა საქართველოში ფართო მასშტაბით განვითარდა ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები (ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, თამბაქო და სხვ.), რაც ქართველი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის დაუმრეტელი წყარო გახდა.

სოციალისტური სოფლის მეურნეობების განუხრელი წარმატებებისათვის, საბჭოთა ხელისუფლებამ განახორციელა კოლოსალური ღონისძიებები სოფლის მეურნეობის უახლესი კონსტრუქციის მანქანა-იარაღებით აღჭურვისათვის, მრავალწლიანი ნარგავების გაშენების, მელიორაციის, ელექტრიფიკაციის განვითარების და საერთოდ, წარმოების გარდაქმნა-გაუმჯობესებისაკენ მიმართულ გრანდიოზულ მშენებლობისათვის. სახელმწიფოს

და კოლმეურნეობების კაპიტალური დაბანდებანი სოფლის მეურნეობაში წარმოებრივი დანიშნულების ობიექტებზე 1921—1946 წწ. 241,2 მილიონ მანეთს შეადგენდა³.

დიდ ირიგაციულ სამუშაოთა გატარების შედეგად ჩვენს სოფლის მეურნეობას შეემატა ათიათასობით ჰექტარი ნოყიერი და მძალდმოსავლიანი მიწა, რამაც დიდად შეუწყო ხელი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაციას.

1913—1940 წლებში საქართველოს სსრ სახმარი მიწების ფართობი 57,4 პროცენტით გაიზარდა. მათ შორის, ნათესი ფართობი დაახლოებით — 20 პროცენტით, ხოლო მრავალწლიან ნარგავთა ფართობი (ჩაი, ვენახი, ხილი და ციტრუსები) — 3,3-ჯერ აქედან: ჩაის ფართობი — 55-ჯერ, ვენახისა — 34,6%-ით, ხეხილისა დაახლოებით 51-ჯერ და ციტრუსებისა — 120-ჯერ⁴. მრავალწლიანი კულტურებით დაკავებული ფართობის ესოდენ დიდ ზრდას არ მოჰყოლია შესაბამისად ნათესი ფართობის შემცირება, ვინაიდან მათი განვითარება ძირითადად მანამდე აუთვისებელი მიწების ხარჯზე ხდებოდა.

მოპოვებულ წარმატებათა შედეგად საქართველოს სოფლის მეურნეობა 1940 წლისათვის იძლეოდა 2,5-ჯერ მეტ მთლიან პროდუქციას, მათ შორის 3,7-ჯერ მეტ მემცენარეობის პროდუქციას, ვიდრე 1913 წელს.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად საქართველო, ისე როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკები, სოციალისტური ინდუსტრიის და მექანიზებული სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად გადაიქცა;

შეიქმნა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა, ამჟღავნდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა.

ხალხის მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების ამაღლებასთან ერთად გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა, განსაკუთრებით მრეწველურ ცენტრებში.

ძირითად ეკონომიკურ გარდაქმნათა საფუძველზე ქართველმა ხალხმა მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს კულტურული მშენებლობის დარგში, ძირითადად დაამთავრა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს მშრომელთა ფართო მასებს გზა გაუხსნა ცოდნისაკენ, მეცნიერებისაკენ. შეიქმნა სკოლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ფართო ქსელი. 1941 წ. დასაწყისს დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

სახელმწიფოს ყოველწლიური ხარჯები მოსახლეობის სოციალურ-კულტურული საჭიროებისათვის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ბიუჯეტის გასავლის თითქმის ორ მესამედს შეადგენდა.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობა ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს დაექვემდებარა. მოკლე დროში ომის ყაიდაზე გარდაიქმნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, რომლებსაც უდიდესი და საპატიო ამოცანა დაეკისრა — მიეცათ სამშობლოსათვის რაც შეიძლება მეტი მრეწველური პროდუქცია, სურსათ-სანოვავე, საბრძოლო საჭურველი და საომარი მასალა.

³ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1967 წელში (სტატ. წილიწოდულო), თბ., 1968, გვ. 189.

⁴ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1967 წელში, გვ. 189.

1942 წლის ზაფხულში გერმანელ ფაშისტთა არმიებმა დიდი დანაკლისის ფასად შესძლეს გაჭირდიყვნენ კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ. საომარი ოპერაციები უშუალოდ საქართველოს საზღვრებთან წარმოებდა. ამიერკავკასიის ფრონტი თითქმის მოწყდა სსრ კავშირის მრეწველობის ძირითად ცენტრებს. შეფერხდა და შემდეგ თითქმის სრულიად შეწყდა რესპუბლიკის მრეწველობის მომარაგება საჭირო ნედლეულით და გაწყობილობებით: შექმნილ პირობებში რესპუბლიკის მრეწველობა მეტად რთული ამოცანების წინაშე აღმოჩნდა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ზრუნავდნენ მრეწველობის მუშაძალით უზრუნველყოფისათვის. მიუხედავად მუშათა დიდი ნაწილის ფრონტზე წასვლისა, საწარმოებში მოვიდნენ ათასობით ქალები, ახალგაზრდობა, პენსიაზე გასული მუშები, შრომითი რეზერვების სისტემის კვალიფიციური მუშები, რომლებიც თავდადებით შრომობდნენ და წარმატებით სძლევდნენ ომით გამოწვეულ დაბრკოლებებს. ფართოდ გაიშალა საწარმოებში ახლადმოსულ მუშების მომზადება კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; წარმოების სრულყოფაში დიდი წვლილი შეჰქონდათ რაციონალიზატორ-გამომგონებლებს. მრეწველობის მრავალი დარგის საწარმოების მშრომელები აღწევდნენ საუკეთესო მაჩვენებლებს სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებებში. სწრაფად იზრდებოდა სოციალისტური შეჯიბრების ახალ ფორმებში ჩაბმული მუშათა რაოდენობა.

ომის წლებში რამდენადმე შემცირდა სახალხო მეურნეობის დაფინანსება, მაგრამ კაპიტალური დაბანდებების ხვედრითი წონა მრეწველობაში მაინც დიდი იყო.

მრეწველობის სამხედრო ყაიდაზე ვარდაქმნამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის სტრუქტურაში. გაიზარდა სამხედრო. მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა, ხოლო შემცირდა ზოგიერთი სხვა დარგის პროდუქციისა.

ომის წლებში მიმდინარეობდა ახალი მრეწველური საწარმოების მშენებლობაც, მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია ამიერკავკასიის მძიმე ინდუსტრიის მნიშვნელოვანი კერის — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის დაწყება 1944 წელს.

დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოს გლეხობის ენერგიული და თავდადებული შრომის შედეგად სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებში ნათესი ფართობი კი არ შემცირებულა, არამედ გადიდა კიდევ; გაიზარდა აგრეთვე მოსავლიანობა, წარმატებები იქნა მოპოვებული პირუტყვის სულადობის ზრდის საქმეში. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს აბარებდნენ გაცილებით მეტ პროდუქციას ვიდრე ომის წინ. 1945 წელს მთლიანად საქართველოს სსრ ყველა ძირითადი კულტურის ნათესი ფართობი შეადგენდა 945,3 ათას ჰექტარს, რაც 49,6 ათ. ჰექტარით აღემატებოდა 1940 წლის დონეს. აქედან მარცვლეული და პარკოსანი კულტურების ფართობი უდრიდა 827,6 ათას ჰექტარს, ნაცვლად 1940 წლის 748,4 ათასი ჰექტარისა⁵.

⁵ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1967 წწ., პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით, თბ., გვ. 465.

ომის წლებში შემცირდა თამბაქოს ფართობი 20,9 ათასი ჰექტარიდან 15,7 ათას ჰექტარამდე, მაგრამ კოლმეურნეთა ენერგიული შრომის შედეგად თამბაქოს მთლიანი მოსავალი გაიზარდა კიდევ.

სამამულო ომის წლებში საქართველოს სოფლის მშრომელთა საბატიო ამოცანას წარმოადგენდა მრავალწლიან ნარგავთა ფართობების შენარჩუნება და მოსავლიანობის გადიდება. შენარჩუნებულ იქნა და რამდენადმე გაიზარდა კიდევ ჩაის, ვენახის ფართობი, მაგრამ ომის წლებში მუშახელის და წარმოების საშუალებათა ნაკლებობის გამო რამდენადმე შემცირდა ჩაისა და ყურძნის მოსავალი.

სამამულო ომის წლებში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა მეცხოველეობის განვითარება, მისი პროდუქტიულობის გადიდება. მიუხედავად იმისა, რომ ომის დროს მეცხოველეობას მთელი რიგი სიძნელეები ელოებოდა, ამ დარგის შემდგომი განვითარების ამოცანები ძირითადად წარმატებით იქნა გადაწყვეტილი. განსაზოგადოებული მეცხოველეობა ომის წლებშიც აღმავალი ხაზით ვითარდებოდა. ომის წლებში რესპუბლიკის მეცხოველეობას 620 ათას სულზე მეტი პირუტყვი შეემატა, მართო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რაოდენობა გაიზარდა 120 ათასი სულით, ცხვრისა და თხისა — 500 ათასი სულით⁶.

მიუხედავად სამამულო ომით გამოწვეული სიძნელეებისა, საგრძობლად განმტკიცდა კოლმეურნეობების ეკონომიკა, გადიდა კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდების ოდენობა. კოლმეურნეობები გაცილებით მეტ საქონლურ პროდუქციას იძლეოდნენ, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სურსათით ფრონტისა და ზურგის შეუფერხებელი მომარაგებისათვის.

საქართველოს მშრომელები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დიდი მოცულობის თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაში, წითელი არმიისათვის თბილი ტანსაცმლის, საჩუქრების შეგროვებასა და გაგზავნაში. მოსახლეობამ ნებეყოფლობით შეაგროვა დიდალი ფულადი თანხები და ფასეულობა სატანკო კოლონების, ავიაციკადრილიების, წყალქვეშა ნავისა და სხვა საბრძოლო იარაღის ასაგებად, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების გაზრდისათვის.

თავდადებული, პატრიოტული შრომისა და ბრძოლისათვის რესპუბლიკის მრავალი მშრომელი დაჯილდოვდა მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941 — 1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს მამაცური შრომისათვის“.

საბჭოთა ხალხმა ძლევა მოიხილად დამთავრა რა დიდი სამამულო ომი, სკკბ ხელმძღვანელობით შეუდგა ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენას და შემდგომ განვითარებას. პირველ რიგში საჭირო იყო მიიმე ინდუსტრიისა და ტრანსპორტის აღდგენა-განვითარება, რომლებსაც უნდა უზრუნველყოთ მრეწველობის განუხრელი აღმავლობა და სოფლის მეურნეობის ომახდელი დონის სწრაფად აღდგენა. მშვიდობიანი მშენებლობის პირობებში საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეუდგა ომით მიყენებული კრი-

6 იქვე, გვ. 488—470.

2. „მაცნე“, ეკონომიკისა და საპარტოლის სერია, 1981, № 1

სსსრ
 1705/1
 666
 2

ლობების მოწოდებას. თითქმის ერთ წელიწადში საქართველოს მრეწველობამ შესძლო სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციის წარმოებაზე მთლიანად გადასვლა, ხოლო 1947 წლისათვის რესპუბლიკის მრეწველობამ გადააჭარბა პროდუქციის გამოშვების ომამდელ დონეს. რსუსრ და სხვა მოძმე რესპუბლიკების დახმარებით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წწ. ხუთწლიანი გეგმა წარმატებით შესრულდა.

ომამდელ პერიოდში შექმნილ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე დაყრდნობით და იმის შედეგად, რომ სამამულო ომის უკანასკნელ წლებში ფართოდ გაიშალა მძიმე ინდუსტრიის მთელი რიგი ახალი ობიექტების მშენებლობა, შეიქმნა პირობები საქართველოს სსრ მრეწველობის აღმავლობისა და ახალი ინდუსტრიული მშენებლობის განხორციელებისათვის, რომელიც ინტენსიურად მიმდინარეობდა ომის შემდგომ ხუთწლებებში.

ომის შემდგომ ხუთწლებებში მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული, სოფლის მეურნეობის დარგში, მაგრამ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობანი ჯერ კიდევ არ იყო სათანადო სისრულული გამოყენებული. სოფლის მეურნეობა ჩამორჩებოდა მრეწველობის განვითარების ტემპებს და მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა (1953 წლის სექტემბერი) დასახა სათანადო ღონისძიებები სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარებისათვის, ნედლეულით მრეწველობისა და სურსათით მოსახლეობის მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილებისათვის. დღის წესრიგში დადგა წარმოების მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების, შრომის ანაზღაურების უფრო პროგრესული ფორმების დანერგვის საკითხი. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 მარტის დადგენილებას „კოლმეურნეთათვის ყოველთვიურად ავანსების მიცემისა და კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების ამაღლების შესახებ“, რამაც სათანადო ნიადაგი მოამზადა კოლმეურნეთა შრომის ფულად-გარანტირებულ ანაზღაურებაზე გადასასვლელად. კოლმეურნეობრივი წარმოების ზრდის მიუხედავად ამ დროისათვის რესპუბლიკაში, ისე როგორც მთლიანად კავშირში ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით იყო მცირე ზომის, ეკონომიკურად სუსტი მეურნეობები, რომლებიც საჭიროებდნენ სახელმწიფოს მხრივ მნიშვნელოვან დახმარებას. ამიტომ, 50-იან წლების დასაწყისიდან მოყოლებული, კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, ბევრი ასეთი კოლმეურნეობა გარდაიქმნა საბჭოთა მეურნეობად, რამაც 50-იან წლების ბოლოსათვის ფართო ხასიათი მიიღო. ამის შედეგად; 1958—1965 წლებში კოლმეურნეობათა რაოდენობა რესპუბლიკაში 2258-დან 1437-მდე ანუ 37%-ით შემცირდა, დამუშავებაში მყოფი ფართობის მიხედვით კი — 20,2%-ით. სამაგიეროდ გაიზარდა საბჭოთა მეურნეობების რიცხვი. თუ 1950 წელს რესპუბლიკაში 80 საბჭოთა მეურნეობა იყო 1960 წლისათვის მათი რიცხვი 147-მდე გაიზარდა.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში მოპოვებული წარმატებები შეუძლებელი იქნებოდა ამ დარგებში გაწეული კაპიტალდაბანდების გარეშე.

წლითი-წლობით იზრდებოდა სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების კაპიტალდაბანდებანი, რაც მლნ მანეთობით უდრიდა: 1946 —

1950 წწ.-807, 1951—1955 წწ.-1266, 1956—1960 წწ.-1631, 1961—1965 წწ.-2647; 1966—1970 წწ.-4249, 1971—1975 წწ.-5293, ხოლო 1976—1978 წწ.-4083⁷. მეოთხე ხუთწლეულში სახალხო მეურნეობაში კაპიტალდაბანდება შეადგენდა 2,3-ჯერ მეტს, ვიდრე მეორე ხუთწლეულში, ხოლო მეცხრე ხუთწლეულის კაპიტალდაბანდება 3,2-ჯერ აღემატებოდა კაპიტალდაბანდებს მეექვსე ხუთწლეულში. მხოლოდ მეათე ხუთწლეულის სამი წლის მანძილზე ათვისებულია 4083 მლნ მან. კაპიტალდაბანდება. ეს კი ბევრად აღემატება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი 35 წლის მანძილზე განხორციელებულ მთლიან კაპიტალდაბანდებას.

ამასთან ერთად, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის კაპიტალდაბანდებაში ბევრად იზრდება მრეწველობის ხვედრითი წონა, რომელიც წარმოადგენს მძლავრ ფაქტორს მრეწველობის განვითარების ტემპების დაჩქარებისათვის. 1946—1978 წლების მანძილზე მრეწველობაში კაპიტალდაბანდება შეადგენს სულ 6970 მილიონ მანეთს, რაც, შესაბამის წლებში სახალხო მეურნეობაში მთელი კაპიტალდაბანდების 35 პროცენტს უდრის.

მოქმედებაში შევიდა სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების (კოლმეურნეობათა ჩაუთვლელად) ძირითადი ფონდები მლნ მანეთობით: 1946—1950 წწ.-646, 1951—1955 წწ.-1172, 1956—1960 წწ.-1542, 1961—1965 წწ.-2458, 1966—1970 წწ.-3630, 1971—1975 წწ.-5070, 1976—1978 წწ.-3903⁸. ამრიგად 1946—1978 წლების მანძილზე სულ მოქმედებაში შევიდა 18421 მლნ მანეთის ღირებულების ძირითადი ფონდები. 1979 წელს ძირითადი ფონდები, 1940 წელთან შედარებით გაიზარდა 13-ჯერ. მხოლოდ 1951—1978 წლებში აშენდა და მოქმედებაში შევიდა 422 მსხვილი სახელმწიფოებრივი საწარმო.

შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები: ელექტროენერგეტიკული, შაქრი და ფერადი მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის, მსხვილი სამშენებლო ინდუსტრიის, მანქანათმშენებლობის ზოგიერთი დარგი, ნავთობის, მსუბუქი და კვების მრეწველობისა და სხვ. მრეწველობის ბევრმა დარგმა საერთო საკავშირო მნიშვნელობა მოიპოვა.

1979 წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ჩაბმული იყო 1940 ათასი კაცი, მათ შორის 1331 ათასი მუშაა, რაც 1,6-ჯერ აღემატება 1965 წლის შესაბამის მაჩვენებელს. მუშა-მოსამსახურეთა ზრდა უმთავრესად გამოწვეულია ინდუსტრიული წარმოების მთელი რიგი ახალი დარგების და საწარმოების შექმნით. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ წლებში სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა შორის ქალთა რაოდენობა 2-ჯერ გაიზარდა. მრეწველობაში დასაქმებული მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა თითქმის მთელი კადრი ომის შემდგომ წლებში მომზადდა. მრეწველობისათვის კვალიფიციური კადრების მომზადება მიმდინარეობდა, როგორც შრომითი რეზერვების სისტემით, ისე უშუალოდ საწარმოებში. მრეწველობის ახალი დარგების საქირებისათვის მრავალი ათასი მუშა კვალიფიციის იმაღლებდა რსფსრ-სა და უკრაინის სსრ ინდუსტრიულ ცენტრებში.

⁷ Народное хозяйство Грузинской ССР в 1978 году. Стат. ежегодник. Тб., 1980, с. 121, 124.

⁸ იქვე, გვ. 117.

საქართველოს სსრ მრეწველობაში, ისე როგორც სსრ კავშირში, ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება. მრავალი ათასი კოლექტივი იბრძვის კომუნისტური შრომის ბრიგადისა და დამკვერლის საპატიო წოდების მოპოვებისათვის. წარმოების სრულყოფაში დიდი წვლილი შეაქვთ ნოვატორებს, რაციონალიზატორ-გამომგონებლებს. მათ მიერ სახალხო მეურნეობაში დანერგილ წინადადებიდან ერთი წლის გაანგარიშებით მიღებულია 1978 წ.-64,8 მლნ მანეთის ეკონომია, რაც 3,4-ჯერ აღემატება 1965 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

საქართველოს ინდუსტრიულ საწარმოებში ფართოდ გაიშალა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის სამუშაოები, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა პროგრესული ტექნიკით აღჭურვას. მაგალითად, თუ 1966—1970 წლებში მსუბუქი მრეწველობის მოდერნიზაცია საშუალოდ შეადგენდა 129,6 ერთეულს, ხოლო კვების მრეწველობის 27 ერთეულს, 1978 წელს ეს მაჩვენებლები შესაბამისად უდრიდა 200 და 212. სულ უფრო მეტად ვითარდება მჭიდრო თანამშრომლობა მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების მუშაკთა შორის.

მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობა 1970 წელთან შედარებით გაიზარდა (პროცენტობით): 1975 წ.-39, 1976 წ.-47, 1977 წ.-57, 1978 წ.-68, 1979 წ.-80⁹.

სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დადგენილებათა შესაბამისად, საქართველოში განსაკუთრებით დაჩქარებული ტემპით ვითარდებოდა ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქიმიური და ნავთობის მრეწველობა, აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობის მთელი რიგი დარგები.

1980 წელს ელექტროენერჯის წარმოება, 1970 წელთან შედარებით, გაიზარდა 63,9 პროცენტით, მანგანუმის მოპოვება 77,1 პროცენტით, ლითონმპროდუქციის წარმოება 8,8 პროცენტით, მაგისტრალური ელმავლების-45 პროცენტით, სატვირთო ავტომანქანების-52,8 პროცენტით, ტყავის ფეხსაცმელების-9,6 პროცენტით, კონსერვების წარმოება გაიზარდა 2-ჯერ, ყურძნის ღვინოების-4,1-ჯერ, შამპანურის—35 პროცენტით. ამასთან ერთად იზრდება ფოლადის, თუჯის, ქვანახშირის, ნავთობის, მინერალური სასუქების, ცემენტის, სამშენებლო აგურის და სხვა პროდუქციის წარმოების მოცულობა.

მეათე ხუთწლეულში გეგმის დამატებით გამოშვებულია 700 მლნ მანეთის მრეწველური პროდუქცია, 3 ათასზე მეტი სატვირთო ავტომობილი, 350 ტონა მანგანუმის მადნეული. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდამ მთლიანად 40% შეადგინა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 35%-სა.

ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვება წარმოების საერთო მოცულობაში გადიდა 2,9%-დან 21%-მდე. 2263-ზე მეტი ნაწარმი გამოდის ხარისხის სახელმწიფო ნიშნით. მრეწველურ საწარმოთა რეკონსტრუქცია-გაფართოებისა და ტექნიკური განახლების საშუალებით მიღებულია პროდუქციის საერთო მატების 57%-ზე მეტი.

⁹ Народное хозяйство Грузинской ССР за 60 лет, Тб., 1980, с. 53.

ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მრეწველობის მთელი რიგი დარგების საწარმოთა სპეციალიზაციისა და გამსხვილების მიმართულებით. 1980 წლისათვის რესპუბლიკის დაქვემდებარების საწარმოთა გაერთიანებათა რაოდენობა 121-მდე გაიზარდა. ყველაზე მეტი საწარმოთა გაერთიანება მოდის კვების მრეწველობაზე (19), შემდეგ მსუბუქ მრეწველობაზე (13), ადგილობრივ მრეწველობაზე (7) და ა. შ.

წარმატებით ხორციელდება სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, მართვისა და დაგეგმვის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

კაპიტალურ დაზანდებათა გადიდებასთან დაკავშირებით, ამოქმედდა 270 მსხვილი საწარმო და მრეწველური, სოფლის მეურნეობრივი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების კომპლექსი, მათ შორის, ენგურის ჰიდროსადგურის ხუთი აგრეგატი, ვარციხის ჰიდროელსადგურის კასკადის სამი აგრეგატი, ახალი სიმძლავრენი რუსთავის მეტალურგიულ და ქიმიურ ქარხნებში, ქალაქ თბილისის მეტროპოლიტენის ახალი ხაზი და სხვ.

მეათე ხუთწლედში განსაკუთრებით აღსანიშნავია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა მიერ დიდი შრომითი გამარჯვების მოპოვება. მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება გაიზარდა 35 პროცენტით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 29 პროცენტისა. გეგმის დამატებით წარმოებულა 450 მილიონ მანეთის პროდუქცია. 1980 წელს მოიკრიფა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის რეკორდული მოსავალი-502 ათასი ტონა და ყურძნისა—900 ათას ტონაზე მეტი. მეცხრე ხუთწლედთან შედარებით ყურძნის საშუალო წლიური მოსავლიანობა გაიზარდა-47,0 პროცენტით, ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა-44 პროცენტით, ციტრუსებისა-2-ჯერ. მეცხოველეობის პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება გაიზარდა: ხორცისა და რძისა-16 პროცენტით, კვერცხისა-31 პროცენტით. სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა თითქმის 1,5-ჯერ. ქართველმა მეჩაიეებმა ხუთწლედის ბოლო წლისათვის გათვალისწინებულ დავალებებს უკვე პირველსავე წელს მიაღწიეს. სულ ხუთწლედში ნაცვლად 2080 ათასი ტონისა, სახელმწიფოს მიჰყიდეს 2155 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლი. ვადამდე შეასრულეს დავალება მევენახეებმაც, ხუთწლედში ნაცვლად-2620 ათასი ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს-2650 ათასი ტონა ყურძენი, ხილი და ციტრუსები-2800 ათასი ტონა, ბოსტნეული-1469 ათასი ტონა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამკვიდრებულ ტრადიციის შედეგად ხუთწლედის დავალებათა ელაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოვენაზე აღიმართა საქართველოს სსრ დროშა მთელი რიგი გამარჯვებული კოლექტივების პატოსაცემად, მათ შორის „თბილმეტრომშენის“, ჭიათურის სამთამადნო კომბინატის, „საქსამთოქიმრეწვის“ და „საქნავთობის“ საწარმოთა გაერთიანების კოლექტივების, რესპუბლიკის მეჩაიეების, მევენახეებისა და სხვ.

70-იან წლების მანძილზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში უდიდესი თვისობრივი გარდაქმნების შედეგად მნიშვნელოვნად იზარდა საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობა. მარტო მეათე ხუთწლედის მანძილზე ეს მაჩვენებელი 42 პროცენტით და მეტად გაიზარდა და დაახლოებით 16 მილიარდი მანეთი შეადგინა, ხოლო წარმოებული ეროვნული შემოსავალი 43

პროცენტით გაიზარდა და 1980 წელს 7,3 მილიარდი მანეთი შეადგინა. 1976—1979 წლების მონაცემებით ყველა საწარმოო ფონდის განახლების კოეფიციენტი შეადგინა 28 პროცენტი. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად მიღებულია ეროვნული შემოსავლის მატების 86 პროცენტი და სამრეწველო პროდუქციის მატების 74 პროცენტი¹⁰.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, კერძოდ მრეწველობის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია კვების მრეწველობას (ჩაი, ღვინო, ხილბოსტნეულის, კონსერვის, თამბაქოს, ეთერზეთოვანები და სხვ.). რაც გაპირობებულია მწარმოებლურ ძალთა გაადგილების სოციალისტური პრინციპით და საქართველოს სპეციფიკური პირობებით.

რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქცია იგზავნება ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, ამასთან, სწრაფად ვითარდება საბჭოთა საქართველოს საგარეო ვაჭრობის კავშირები, რასაც მოწმობს საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე წარმატებების მოპოვება (ლონდონი, პარიზი, მონრეალი, ქაირო, დასავლეთ ბერლინი, იზმირი, ქაბული, პლოვდივი, მიუნხენი და სხვ.) ამ გამოფენებსა და ბაზრობებზე რესპუბლიკამ მრავალი ოქროს მედალი დაიმსახურა. დღეისათვის რესპუბლიკიდან ექსპორტის სახით სამასი დასახელების სამრეწველო პროდუქცია გადის, მათ შორის, რთული მანქანები და მოწყობილობა — მსოფლიოს 70 ქვეყანაში. საგარეო ვაჭრობის ბრუნვის დიდი ნაწილი მოდის სოციალისტურ ქვეყნებზე, აგრეთვე დიდად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებზე.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში მობრუნების პუნქტი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმი. ამ პერიოდის დამახასიათებელი თავისებურება არის კომპლექსური მიდგომა სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად. ამ თვალსაზრისით დასახული იქნა დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, როგორც სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების, ისე სოფლად საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობათა და წარმოების ორგანიზაციის ფორმების სრულყოფის მიმართულებით. ამ მხრივ, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის მეურნეობის დარგში კაპიტალდამანდებათა ვადიღებას და მის ეფექტიან გამოყენებას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სტაბილური გეგმების შემოღებას მრავალი წლისათვის, ზოლო გეგმის ზევით ჩაბარებული პროდუქციისათვის სათანადო ფასნამატის დაწესებას, კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ანაზღაურების შემოღებას, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის სრულყოფას და ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობებისათვის სათანადო შეღავათების დაწესებას, კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის წესის შემოღებას, მეურნეობათაშორისო კოოპერირებას და აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციას, სოფლის მეურნეობის მართვის შემდგომ სრულყოფას და სხვა.

ამ ღონისძიებებმა სათანადო შედეგი გამოიღო. დაჩქარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ტემპები. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა ზარალიან მეურნეობათა რიცხვი. 1966 — 1970 წლების საშუალო

¹⁰ ვაზ. „კომუნისტი“, 1981 წ. 23 იანვარი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

წლიურ წარმოებასთან შედარებით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია 1978 წელს 60,1 %-ით გაიზარდა, მათ შორის მემცენარეობის პროდუქცია-76,4 %-ით. მეცხოველეობისა-30,8 %-ით. 1965—1978 წლებში სოფლის მეურნეობის ძირითადი წარმოებრივი ფონდები დაახლოებით 2,5-ჯერ გადიდა.

მნიშვნელოვნად გამსხვილდა და განმტკიცდა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. 1978 წლის მონაცემებით საშუალოდ ერთ კოლმეურნეობაზე მოდიოდა 2031 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, 1312 ათასი მანეთის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი წარმოებრივი ფონდები, 658 ათას მანეთის მთლიანი შემოსავალი; საშუალოდ ერთ საბჭოთა მეურნეობაზე მოდიოდა 3063 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, 1314 ათასი მანეთის ძირითადი წარმოებრივი ფონდები, 1300 მანეთის მთლიანი პროდუქცია. წარმოების განსაზოგადების ზრდამ და სოფლად საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფამ თავისი გამოხატულება ჰპოვა სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის და აგროსამრეწველო ინტეგრაციის პროცესის შემდგომ განვითარებაში. 1978 წლისათვის რესპუბლიკაში მოქმედებდა 286 სამეურნეობათაშორისო საწარმოო. თითოეულ მათგანზე საშუალოდ მოდიოდა 592,6 ათასი მანეთის ძირითადი წარმოებრივი ფონდები.

მნიშვნელოვანი ძვრები განხორციელდა სოფლის მეურნეობის მართვის საორგანიზაციო ფორმების სრულყოფის ხაზით. ამ მხრივ, საინტერესო ექსპერიმენტს წარმოადგენდა აბაშის რაიონში სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების შექმნა, რომელიც წარმატებით დაინერგა 14 რაიონში.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში წარმატებები მნიშვნელოვნად მეტი იქნებოდა, რომ არა ის სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები, რასაც წარსულში ჰქონდა ადგილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც ხელმძღვანელობდა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით საფუძვლიანად გააანალიზა და გაარკვია საქმის მდგომარეობა საზოგადოებრივი წარმოების ყველ დარგში, შეიმუშავა და განახორციელა კონკრეტული ღონისძიებანი წარმოების განვითარებაში არსებული ნაკლოვანებების დასაძლევად, პარტიულ დ ორგანიზატორული მუშაობის გასაძლიერებლად, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის გასამტკიცებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მხედველობაში მიიღო რა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის ცნობილ დადგენილებაში გამოთქმული მითითებები — მოსახლეობის ერთ სულზე საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის ოდენობის მიხედვით რესპუბლიკის ჩამორჩენის თაობაზე, გაითვალისწინა რა რესპუბლიკის თავისებურებები, მეათე ხუთწლილისათვის შეიმუშავა ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისა და მოსახლეობის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლების ფართო პროგრამა, გათვალისწინებული იქნა, და ამან სათანადო ასახვა ჰპოვა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეათე ხუთწლიან გეგმაში, უმნიშვნელოვანესი პარამეტრების მიხედვით საქართველოს ეკონომიკის უფრო მაღალი ტემპებით ზრდა საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით.

მეთე ხუთწლედის შესრულების შედეგებმა და საერთოდ 70-იან წლებში ჩამოყალიბებულმა ტენდენციებმა ნათლად გვიჩვენა, რომ ჩვენი რესპუბლიკა მთავარი მაჩვენებლების მიხედვით წინ უსწრებდა საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებს. ამის შედეგად მეთე ხუთწლედში (წინასწარი მონაცემებით) შემცირდა ჩვენი რესპუბლიკის ჩამორჩენა საერთო საკავშირო მაჩვენებლებისაგან მოსახლეობის ერთ სულზე წარმოების მოცულობის მიხედვით, კერძოდ, ეროვნული შემოსავლის მიხედვით-14 პროცენტული პუნქტით, მრეწველობის პროდუქციის მიხედვით-9 და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიხედვით-8 პროცენტული პუნქტით.

როგორც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე აღინიშნა, მომავალი ათწლეული ეკონომიკის განვითარების უმთავრესი მაჩვენებლების მიხედვით, საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით, უნდა გახდეს საქართველოს სსრ ჩამორჩენის დაძლევის დამამთავრებელი ეტაპი.

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობასთან ერთად განვითარდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა სხვადასხვა სახეობანი; გაფართოვდა რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის ქსელი და განხორციელდა მისი ძირეული რეკონსტრუქცია, შეიქმნა და განვითარდა საავტომობილო, მილსადენი, საბავირო და პნევმოტრანსპორტი. გრძელდება თბილისის მეტროპოლიტენის ახალი ხაზის მშენებლობა, განვითარდა სავაზო მეურნეობა, ფართოდ გატარდა ქალაქებისა და სოფლის ტელეფონიზაცია, რადიოფიკაცია, სწრაფად ვითარდება ტელევიზია. თბილისსა და სხვა ქალაქებში მუშაობენ ავტომატური ტელეფონის სადგურები. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებით საქართველო დაკავშირებულია მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებთან და სხვა ქვეყნებთან.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდად განვითარდა საბჭოთა ვაჭრობა. სახალხო მოხმარების საგნების წარმოების სისტემატური ზრდისა და მშრომელთა რეალური შემოსავლების განუზრელი აღმავლობის საფუძველზე ყოველწლიურად იზრდება რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული ვაჭრობის ცალობრივი საქონელბრუნვა, უმჯობესდება მისი ასორტიმენტული სტრუქტურა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფართოდ დაინერგა ვაჭრობისა და მომსახურების პროგრესული ფორმები.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდასთან ერთად სისტემატურად იზრდება მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვა. რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული ვაჭრობის ცალობრივი საქონელბრუნვა (საზოგადოებრივი კვების ჩათვლით) 1979 წელს შეადგენდა 4003 მლნ მანეთს, რაც 12-ჯერ აღემატება 1940 წლის შესაბამის მაჩვენებელს, 1940 — 1979 წლების მანძილზე ცალობრივი ვაჭრობის საწარმოთა რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით 2-ჯერ, ხოლო საზოგადოებრივი კვების საწარმოები — 4-ჯერ.

სახალხო მეურნეობის განვითარებაში მოპოვებული მიღწევების საფუძველზე ამაღლდა საქართველოს მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა, აყვავდა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული ქართული კულტურა.

მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის განმაზოგადებელი მაჩვენებელია ეროვნული შემოსავლის ზრდა. 1960 წელთან შედარებით,

1979 წელს საქართველოს სსრ ეროვნული შემოსავლის უდიდესი ნაწილი, დაახლოებით სამი მეოთხედი, მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის გამოიყენება.

ეროვნული შემოსავლის ზრდის საფუძველზე გაიზარდა მოსახლეობის რეალური შემოსავალი. მარტო მოხმარების საზოგადოებრივ ფონდებიდან მოსახლეობის მიერ მიღებული დახმარება და, 1978 წელს შეღავათები, 1960 წელთან შედარებით 2,5-ჯერ გაიზარდა და 1683,3 მლნ მანეთს შეადგენდა.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე ხდება მოსახლეობის უფასო მომსახურება, უფასო სწავლება, დახმარების, პენსიების, სტიპენდიების გაცემა, მორიგ შევებულებათა ანაზღაურება, უფასოდ ან შეღავათიან ფასებში დასვენება სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში და სხვ.

უქანასენელ წლებში თვალსაჩინოდ ამოღდა მცირესაზღაურეო მუშაკთა ხელფასის დონე. გაუმჯობესდა მუშებისა და მოსამსახურეების შრომის პირობები. ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლით შეიქმნა დამატებითი შესაძლებლობანი შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის.

მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საფუძველზე გაიზარდა საქართველოს სსრ მოსახლეობის რიცხოვნობა, მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა და არსებითად შეიცვალა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის თანაფარდობა.

ქალაქად და სოფლად ბინათმშენებლობის არნახული ზრდის შედეგად მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა გაიუმჯობესა საბინაო პირობები. 1921—1978 წლების მანძილზე აშენდა 55162 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. 1956 წლიდან 1978 წლამდე 3166 ათასმა კაცმა მიიღო საცხოვრებელი ფართობი ან გაიუმჯობესა საცხოვრებელი პირობები.

საყოფაღდებოა ის ფაქტი, რომ მარტო მეათე ხუთწლეულის მანძილზე სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებისა და საბინაო კოოპერატივების სახსრების ხარჯზე აშენდა 5 მლნ ათასი კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. საბინაო პირობები გაიუმჯობესა 680 ათასზე მეტმა კაცმა.

საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა ბევრადაა დამოკიდებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებაზე. 1979 წელს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა 1975 წელთან შედარებით 1,4-ჯერ გაიზარდა, მათ შორის სოფლად — 1,9-ჯერ.

ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა 1979-1980 სასწავლო წელს 6-ჯერ, ხოლო სკოლების რაოდენობა 2,2-ჯერ მეტი იყო, რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით.

რევოლუციამდელ საქართველოში იყო მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლებელი და 5 საშუალო სპეციალური სასწავლებელი, ამჟამად რესპუბლიკაში მოქმედებს 19 უმაღლესი და 93 საშუალო სპეციალური სასწავლებელი ე. ი. 19-ჯერ მეტი ვიდრე რევოლუციამდელ საქართველოში.

1976 — 1980 წლების მანძილზე საქართველოს სსრ უმაღლესმა სასწავლებლებმა მოამზადეს 55397 უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი, რაც დაახლოებით 10-ჯერ მეტია 1929—1932 წწ. შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით.

განუხრელად იზრდება მოსახლეობის მომსახურება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ. შექმნილია ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, მუზეუმების ფართო ქსელი. საბჭოთა სახელმწიფო თავისი არსებობის პირველ დღეებიდანვე უდიდესი მზრუნველობით ეკიდება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და გაუმჯობესების საქმეს. 1979 წელს, 1913 წელთან შედარებით, ექიმების რაოდენობა 149-ჯერ, ხოლო საავადმყოფოებში საწოლთა რაოდენობა 25-ჯერ გაიზარდა.

დიდათ განვითარდა საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი. 1979 წელს რესპუბლიკაში მოქმედებდა 358 სანატორიუმი და დასასვენებელი დაწესებულება 82,4 ათასი საწოლით.

უკანასკნელ წლებში ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაღალი შედეგების მიღწევისათვის რესპუბლიკა ზედიზედ მერვედ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

მომწიფებული სოციალიზმის მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, როდესაც სსრ კავშირის ეკონომიკა ვითარდება როგორც ერთიანი სახალხო მეურნეობრივი კომპლექსი, მნიშვნელოვნად იზრდება თითოეული საბჭოთა რესპუბლიკის და მათ შორის საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი. მოპოვებული უდიდესი წარმატებების საფუძველზე მეთერთმეტე ხუთწლეულში კიდევ უფრო მეტად ამაღლდება მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე.

დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყანა, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, გადის კომუნისტური მშენებლობის ახალ მიჯნაზე, საქართველოს მშრომლები დიდი შრომითი აქტივობით და აღფრთოვანებით ეგებებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წლისთავს.

А. И. БРЕГВАДЗЕ, Д. С. ДИАСАМИДЗЕ

НАРОДНОЕ ХОЗЯЙСТВО ГРУЗИНСКОЙ ССР ЗА 60 ЛЕТ

Резюме

25 февраля 1921 года под руководством Коммунистической партии в Грузии победила Советская власть. Было создано государство рабочих и крестьян, которое в соответствии с интересами трудящихся провело целый ряд важнейших мероприятий, в первую очередь — национализацию земли, крупной промышленности и др., что имело решающее значение для восстановления народного хозяйства и создания фундамента социалистической экономики.

В период осуществления курса индустриализации в республике были созданы и получили развитие новые отрасли тяжелой промыш-

ленности: электроэнергетическая, нефтеперерабатывающая, производство ферросплавов, добыча новых видов ископаемых и др. Почти заново были созданы легкая и пищевая промышленности. Появились новые индустриальные районы.

В 1940 году продукция крупной промышленности в 27 раз превосходила уровень 1913 года.

На основании ленинского плана кооперации произошло социалистическое преобразование сельского хозяйства. В соответствии с природно-географическими особенностями республики широкие масштабы получило развитие субтропических и технических культур. К 1940 году сельское хозяйство Грузии давало в 2,5 раза больше валовой продукции, чем в 1913 году.

Крупные переломы произошли в деле удовлетворения материальных или социальных нужд населения. Была создана и развивалась национальная по форме и интернациональная по содержанию культура.

Сразу же после начала Великой Отечественной войны народное хозяйство республики было подчинено интересам обороны страны. В послевоенный период были созданы условия для подъема народного хозяйства. Широко развернулось строительство в республике новых объектов тяжелой индустрии. Получили развитие такие отрасли промышленности, как машиностроение, энергетическая, черная и цветная металлургия, химическая, строительная индустрия, сравнительно новые отрасли — сельскохозяйственное машиностроение, приборостроение, электротехническая промышленность. Многие отрасли промышленности приобрели всесоюзную значимость.

Значительные результаты были достигнуты в отраслях сельского хозяйства. Укрепилась материально-техническая база колхозов и совхозов, большое внимание было уделено вопросам материального стимулирования работников сельского хозяйства. Создались условия для развития межхозяйственной кооперации и аграрно-промышленной интеграции. В 1979 году против 1965 совокупный общественный продукт Грузинской ССР вырос на 155%, в том числе промышленности — на 175% и сельского хозяйства — на 92%.

Значительные успехи были достигнуты в области транспорта, строительства, повышения благосостояния народа, народного просвещения и культуры, медицинского обслуживания.

XXVI съезд КП Грузии наметил новые задачи в XI пятилетке для развития экономики республики ускоренными темпами. Выполнение задач нового пятилетнего плана будет являться значительным шагом вперед в деле неуклонного развития экономики республики, более полного удовлетворения материальных и духовных потребностей людей.

ლილია გუგუშვილი

საქართველოს სსრ მრეწველობის განვითარების თავისებურებანი (1921—1937 წწ.)

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე საქართველოს სამრეწველო განვითარებას დიდად აფერხებდა მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკა, რომელსაც იგი ქვეყნის განაპირა მხარეებში და მათ შორის საქართველოშიც ატარებდა. ამიტომაც საქართველო მრეწველობის განვითარების დონით დიდად ჩამორჩებოდა რუსეთის ინდუსტრიულ ცენტრებს.

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, მიუხედავად არსებული სიძნელეებისა ქართველი ხალხი ენერგიულად შეუდგა მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენას. საქართველო, რუსეთთან შედარებით, უფრო აგრარული ქვეყანა იყო, რის გამოც, სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მრეწველობის განვითარებას. იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული და დამოკიდებული სოფლის მეურნეობის აღორძინებაზე.

სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარება რესპუბლიკაში განსხვავებულ პირობებში მიმდინარეობდა, რაც გაპირობებული იყო ქვეყნის კონკრეტულ ისტორიული ვითარებით. ამიტომაც მიუთითებდა 1921 წ. ვ. ი. ლენინი ქართველ კომუნისტებს: „...გახსოვდეთ, რომ საქართველოს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველი კომუნისტებისაგან... თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას...“¹ საბჭოთა საქართველოს მშრომელები ხელმძღვანელობდნენ რა ვ. ი. ლენინის მიითითებით, ითვალისწინებდნენ ყველა იმ თავისებულებას, რაც დამახასიათებელი იყო საქართველოს სახალხო მეურნეობისა და მათ შორის მრეწველობის განვითარებისათვის.

მრეწველობის განვითარება უნდა დაწყებულიყო ძალზე დაბალი დონიდან რის გამოც, ზოგიერთ ღონისძიებათა გატარების დროს, იგი მოითხოვდა თავისებურ მიდგომას.

აღდგენით პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ცენტრში მრეწველობის განვითარებას, პირველ რიგში კი „ა“ ჯგუფის ცენტრში მრეწველობას, რომელიც სულ უფრო იზრდებოდა, ხოლო „ბ“ ჯგუფის ცენტრში მრეწველობის პროდუქცია კი კლებულობდა. ასე, მაგალითად, 1926-27 წწ. უცვლელი ფასებით „ა“ ჯგუფის პროდუქცია შეადგენდა (პროცენტობით): 1923-24 წწ. 46,2; 1924-25 წწ. — 49,0; 1926 წ. — 50,0; „ბ“ ჯგუფის პროდუქცია კი — 1923-24 წწ. — 53,8; 1924-25 წწ. — 51,01; 1925-26 წწ. — 50,0².

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 190.

² საბჭოთა საქართველოს 10 წელი, სტატ. კრებული, ტფ., 1931, გვ. 10.

საქართველოს კომპარტიის (ბ) III ყრილობამ (1924 წ.) დასახა კონკრეტული ამოცანები მძიმე მრეწველობის აღდგენისა და განვითარებისათვის. ყრილობის რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს აქვს ყველა პირობა მძიმე უმთავრესად, სამთამადნო მრეწველობის განვითარებისათვის.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, ჭიათურის მანგანუმს თითქმის პირველი ადგილი ეჭირა საერთაშორისო ბაზარზე. მისი იმდროინდელი ექსპორტი მსოფლიო მოთხოვნილების 49 %-ს ფარავდა. 1913 წელს საზღვარგარეთ გატანილი იყო 65 მლნ ფუთი მანგანუმი. იმპერიალისტური ომისა და მენშევიკების ბატონობის პერიოდში კი შეწყდა მისი როგორც გატანა, ისე ამოღება. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მანგანუმის მრეწველობა სწრაფად იწყებს ზრდას. 1925-26 წწ. მისმა ამოღებამ მიაღწია 770 802 600 ტონას და ომამდელი ამოღების დონეს დაახლოებით 21 პროცენტით გადააჭარბა.

ქვანახშირის მრეწველობის სუსტი განვითარება და რკინის მადნების არარსებობა ხელს უშლიდა სამთო მრეწველობის შემდგომ განვითარებას.

საბჭოთა საქართველოში ინდუსტრიალიზაციის განხორციელება დაიწყო მისთვის დამახასიათებელ თავისებურებათა გათვალისწინებით. ადგილობრივი რესურსების შესაბამისად საქირო იყო იმ დარგების კომპლექსურად განვითარება, რომლებისთვისაც რესპუბლიკას ხელსაყრელი პირობები გააჩნდა. ამასთანავე, მას, როგორც ეკონომიკურად უფრო ჩამორჩენილ ქვეყანას ეს დარგები უნდა განეგებებოდა საშუალოზე უფრო სწრაფი ტემპით. მისი შემდგომი აღმავლობა მოითხოვდა ინდუსტრიული წარმოების ინტენსიურ განვითარებას, რაც გააძლიერებდა სსრ კავშირის ინდუსტრიალიზაციის ტემპს.

საქართველოს ინდუსტრიალიზაცია განსხვავდებოდა საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციისაგან მთლიანად, როგორც განვითარების ტემპით, ისე მშენებლობის ხასიათით. საქართველოში ინდუსტრიალიზაცია ვერ განვითარდებოდა არსებულ საწარმოთა გაფართოებით, რადგან ასეთი საწარმოთა რიცხვი მეტად მცირე იყო და რაც იყო, იმის მნიშვნელოვანი გადაკეთებაც არ ხერხდებოდა. ამიტომ მისი განვითარება მოსახერხებელი იყო მხოლოდ ახალი სამრეწველო აღმშენებლობით.

საკითხი ინდუსტრიალიზაციის შესახებ ყოველმხრივ იქნა განხილული საქართველოს კომპარტიის (ბ) IV ყრილობაზე (1925 წ.). ყრილობაზე აღინიშნა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ინდუსტრიალიზაცია უნდა განხორციელდებოდა რეზოლუციამდელ საქართველოს თავისებურებების გათვალისწინებით. ყრილობაზე, პირველად საბჭოთა საქართველოს არსებობის მანძილზე, მოცემულ იქნა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დაწვრილებითი და სიღრმისეული ეკონომიკური ანალოზი და დასახულ იქნა განვითარების ვზები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სისტემაში, მისი თავისებურებების გათვალისწინებით.

საბჭოთა საქართველო მდიდარი იყო ჰიდროტექნიკური და მინერალური რესურსებით. ჰიდროენერგეტიკული მრეწველობის მძლავრი განვითარება ქმნიდა მტკიცე ბაზას ინდუსტრიული წარმოების სხვა დარგების, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. იგი მდიდარი იყო აგრეთვე მადნეული და არამადნეული წიაღისეულით, რაც ფართო პერსპექტივას ქმნიდა მოპოვებითი და დამამუშავებელი ინდუსტრიული წარმოების განვითარებისათვის.

ამასთანავე, ჩვენი რესპუბლიკის კლიმატური და ნიადაგობრივი პირობე-

ბი შესაძლებლობას ჰქმნიდა იმ სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარებისათვის, რომლებიც ძვირფას სამრეწველო ნედლეულს იძლევიან. ასეთია, მაგალითად, მეთამბაქოეობა, მევენახეობა, მებალეობა, მებამბეობა, მეაბრეშუმეობა და სხვ. სწორედ ამ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება საქართველოს კ (ბ) ცკ 1926 წლის დეკემბრის პლენუმმა, რომელმაც ძირითად მიმართულებად მიიჩნია მძიმე ინდუსტრიის განვითარებისათვის ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი პირობების გამოყენება. ამასთან, აღინიშნა, რომ დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთ საწარმოთა მშენებლობას და მის შემდგომ განვითარებას, რომელთათვისაც საქართველოში მოიპოვება საკმაო ნედლეულის რესურსები და რომლებიც ადვილად ხელმისაწვდომია გადასამუშავებლად.

პლენუმმა მიზანშეწონილად ჩათვალა მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარება აბრეშუმის ახალი საქსოვი და სართავი ქარხნების აგების გზით. ყურადღება დაეთმო აგრეთვე სატყეო, კონიაკ-სპირტის მრეწველობის, ტყავის, თამბაქოს და სხვა დარგების შემდგომ განვითარებას. პლენუმზე ხაზი გაესვა იმას, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობა არ შეიძლება განვითარდეს მხოლოდ მსხვილი მრეწველობის ხაზით, ადგილობრივი მრეწველობის განვითარების გარეშე.

1926-27 წლებში საქართველოს მრეწველობა ხასიათდებოდა ახალი ქარხნების ამუშავებით, ზოგიერთი არსებული ფაბრიკა-ქარხნების ტექნიკური გაუმჯობესებით, შრომის რაციონალიზაციით. ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგად 1926-1927 წწ. მრეწველობის მთლიანი პროდუქტია გაიზარდა (ათას მანეთობით)³: 1924-25 წწ. — 7 680,9, 1925-26 წწ. — 10 791,5, 1926-27 წწ. — 11 494,0.

მართალია 1925—26 წწ. პროდუქციის მატება დიდი იყო, 1924-25 წლებთან შედარებით, მაგრამ თვით 1925-26 წწ. მატების ტემპი შესუსტებულია. ზოგიერთ შემთხვევაში კი წლის მეორე ნახევარში, პირველთან შედარებით, პროდუქციის რაოდენობა შემცირებულია, ეს აიხსნება იმით, რომ წარმოების შემდგომი ზრდა მოითხოვდა ხელახალ კაპიტალურ დაბანდებას.

1926-27 წწ. ამუშავდა აბრეშუმის ამოსახვევი ფაბრიკები ხონში, ოზურგეთსა და თელავში, აგრეთვე, აბრეშუმის საგრეხი ფაბრიკა ოზურგეთში, გრეხილი ავეჯის ფაბრიკა მარელისში, საკასრე ქარხანა ბორჯომში, ხე-ტყის ქარხანა ახალ აბასთუმანში. აღინიშნულ წამოწყებათა ამუშავებით კი საფუძველი ჩაეყარა საქართველოში მრეწველობის ორი ახალი დარგის განვითარებას — აბრეშუმის მრეწველობას და ხის დამუშავებას, რომელნიც უზრუნველყოფილი იყვნენ საკუთარი ნედლეულით. ასე რომ, თანდათან აღდგენილ იქნა ომის წინადროინდელი მრეწველობის დონე, ხოლო ზოგიერთმა დარგმა გადააჭარბა კიდევ.

ამრიგად, საბჭოთა ხალხმა ინდუსტრიალიზაციის პირველსავე წლებში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. შეიქმნა პირობები სოციალისტური მრეწველობის უფრო მძლავრი აღმავლობისა და უახლეს ტექნიკურ ბაზაზე სახალხო მეურნეობის დარგების ფართო რეკონსტრუქციისათვის.

საკავშირო კომპარტიის (ბ) XV ყრილობამ (1927 წ.) საჭიროდ მიიჩნია სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის შედგენა. ყრილობა ვარაუდობდა მრეწველობასა და სახალხო მეურნეობის სხვა

³ საქ. სსრ ორცხა, ფ. 600, ან. 1, საქმე 1089, გვ. 54.

დარგებს შორის გარკვეული პროპორციულობის დადგენას, სოციალისტური წარმოების განვითარების მაღალ ტემპს. მან საკიროდ სცნო წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარება ისეთი ტემპით და მასშტაბით, რომ სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების საწარმოო მოთხოვნილება დაკმაყოფილებულიყო ჩვენივე ქვეყნის მრეწველობით.

ყრილობაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ეროვნულ რესპუბლიკებში სოციალისტური მშენებლობის საკითხებს, რომელთა სამეურნეო განვითარება უნდა წარმართულიყო ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით.

ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი და უმთავრესი თავისებურება მდგომარეობდა მის ეკონომიკურ და ტექნიკურ ჩამორჩენილობაში, რომლის აღმოფხვრის ძირითად საშუალებად მიჩნეულ იქნა საქართველოს სსრ მრეწველობის განვითარების უფრო სწრაფი ტემპის დასახვა, ვიდრე საბჭოთა კავშირში მთლიანად.

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის გადიდებას 5-ჯერ და უფრო მეტად. ამასთანავე, გათვალისწინებული იყო ხუთწლედის ბოლოსათვის სამრეწველო პროდუქციის მატება 587,9%-ით, ნაცვლად საკავშირო მასშტაბით გათვალისწინებული 267,7 %-სა, ხოლო ცალკეული ჯგუფების მატება გეგმით ასე გამოიხატება: საქართველოს სსრ მრეწველობის „ა“ ჯგუფის მატება 651,3%-ით, „ბ“ ჯგუფისა—524,0%-ით, საკავშირო მასშტაბით „ა“ ჯგუფის—321,0%-ით, „ბ“ ჯგუფისა—230,0%-ით. მრეწველობის დაჩქარებული ტემპით განვითარება შესაძლებლობას იძლეოდა წარმოების საშუალებათა წარმოების („ა“ ჯგუფი) ხვედრითა მთლიან პროდუქციაში, ხუთწლედის ბოლოს, გაზრდილიყო 50,2 %-დან 55,6 %-მდე. ამასთან დაკავშირებით, ხუთწლედის ბოლოს მოხმარების საშუალებათა წარმოება („ბ“ ჯგუფი), მიუხედავად პროდუქციის მატებისა მცირდება 49,8 %-დან 44,4 %-მდე.

ხუთწლედში ქვანახშირის მრეწველობა თვალსაჩინოდ გაიზარდა. თუ 1929—30 წწ. საქართველოს ქვანახშირის მოპოვებამ 97 ათასი ტონა შეადგინა, 1932 წელს იგი 205,3 ათას ტონამდე გაიზარდა. ქვანახშირის მთლიანი პროდუქცია (1926-27 წწ. უცვლელი ფასებით) უდრიდა: 1926-27 წწ.-965 ათას მან., 1927-28 წწ.-876 ათას მან., 1928-29 წწ.—950 ათას მან., 1929-30 წწ.-1115 ათას მანეთს⁴. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1928-29 წლების მონაცემებით ქვანახშირის ამოღება 71 445,9 ტონიდან 79 926 ტონამდე გადიდა. ეს მცირე მატება გაპირობებული იყო ამ დარგის ტექნიკური ჩამორჩენილობით. ამასთანავე, ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობის განვითარება შეაფერხა 1926 წელს გაჩენილმა ხანძარმა. სამრეწველო მნიშვნელობის ზრდასთან ერთად, ერთობ დადიდა მოთხოვნილება ტყიბულის ნახშირზე. გარკვეული ნაბიჯები იქნა გადადგმული ტყვარჩელის კომბინატის მოსაწყობად, რასაც სახელმწიფოსათვის მაღალხარისხოვანი მეტალურგიული კოქსი უნდა მიეცა.

1926-29 წწ. მნიშვნელოვნად განვითარდა რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობა, განსაკუთრებით კი ელექტროენერჯის წარმოება და ნავთობის გადამუშავება. ამ დარგებთან ერთად დიდი ყურადღება მიექცა ჭიათურის მანგანუმის საბადოს. მართალია ჭიათურის მანგანუმის მრეწველო-

⁴ საბჭოთა საქართველოს 10 წელი, გვ. 101*

ბა გადაეცა უცხოელ კონცესიონერს, რომელთანაც დადებულ იქნა გარკვეული ხელშეკრულება რეკონსტრუქციული სამუშაოს ჩასატარებლად, მაგრამ როგორც ცნობილია, ხელშეკრულება არ შესრულდა და არსებული წარმოებრივი აპარატი მწყობრიდანაც კი გამოვიდა, რის გამოც მკვეთრად შემცირდა მანგანუმის ამოღება.

1928 წელს მანგანუმის მრეწველობა მანგანუმის ტრესტის გამგებლობაში გადავიდა, რომელიც ჩაუდგა რა სათავეში მის წარმოებას, მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარა ამ დარგის აღმავლობისათვის. თუ მანგანუმის ამოღება 1925-26 წწ. შეადგენდა 777,6 ათას ტონას, 1926-29 წწ. იგი გაიზარდა 1197,8 ათას ტონამდე. მრეწველობის ამ დარგში საბოლოოდ მოხდა კერძო მრეწველობის ლიკვიდაცია. ჩატარდა ინტენსიური მუშაობა წარმოების რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის. ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლის პერიოდში, მნიშვნელოვნად გაიზარდა წარმოების საშუალებათა წარმოების ხვედრიწონა საქართველოს მძიმე მრეწველობაში. 1927 წელს „ა“ ჯგუფის ხვედრიწონა შეადგენდა 62,0%, „ბ“ ჯგუფის კი—38%-ს. 1928 წელს შესაბამისად უდრიდა 63,4% და 36,6%. ამრიგად, მატება მოხდა „ა“ ჯგუფის სასარგებლოდ. ასეთი თანაფარდობა „ა“ და „ბ“ ჯგუფებს შორის საცესებით შეესაბამებოდა მრეწველობის განვითარების ხასიათს და მიმართულებას.

საბჭოთამდელ საქართველოში მძიმე მრეწველობას მხოლოდ მოპოვებითი ხასიათი ჰქონდა, რაც შეეხება დამამუშავებელ ინდუსტრიას, კერძოდ პირადი მოხმარების საგანთა მძიმე ინდუსტრიულ წარმოებას, იგი ჩანასახის მდგომარეობაში იმყოფებოდა. მოპოვებითი მძიმე მრეწველობის პროდუქცია „ა“ ჯგუფის ინდუსტრიულ წარმოებას მიეკუთვნებოდა. აღნიშნულ გარემოებათა გამო საბჭოთამდელ საქართველოს მძიმე მრეწველობის მთლიანი პროდუქციის უმბრატეხი მასა წარმოების საშუალებათა წარმოებაზე მოდიოდა.

საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიალიზაციის განვითარებისათვის 1926-27 წწ. ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ ამ პერიოდში საქართველოს ინდუსტრიალიზაციასა და სოფლისმეურნეობრივი წარმოების თანაფარდობას შორის მოხდა გარკვეული ცვლილებანი. 1927-29 წწ. სოფლის მეურნეობა ნელი ტემპით ვითარდებოდა, მძიმე მრეწველობა კი აღმავლობით ხასიათდებოდა. თუ საქართველოს მთელი მრეწველობის ხვედრიწონა ინდუსტრიული და სოფლისმეურნეობრივი წარმოების მთლიან პროდუქციაში 1925-26 წწ. 27%-ს უდრიდა, 1927-28 წწ. იგი 32,8%-მდე გაიზარდა. მძიმე მრეწველობის იგივე მაჩვენებელი კი უდრიდა 1924-25 წწ. 13,2%-ს, 1928-29 წწ.—33%, ე. ი. 2,5-ჯერ გაიზარდა. ამრიგად, მსხვილი მრეწველობის ხვედრიწონის გადიდება ნიშნავდა სოციალისტური ინდუსტრიის წამყვანი როლის გაძლიერებას საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობაში.

1929-30 წლებში საქართველოს მძიმე მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 6-ჯერ ჭარბობდა 1923-24 წლების შესადარის მაჩვენებელს, ხოლო 1927-28 წწ. 2,1-ჯერ აღემატებოდა⁵.

1913 წლის მიმართ, საქართველოს ცენტრიანი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1929-33 წწ. 355,5%-ს შეადგენდა, ხოლო 1931 წ.—548,9%. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 1913 წელთან შედარებით სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის მთლიანი პროდუქცია დაახლოებით შეადგენდა: 1930 წელს 260% და

⁵ საბჭოთა საქართველოს 10 წელი, გვ. 104.

1931 წ.—320%-ს. როგორც ვხედავთ, საბჭოთა საქართველოს მიმე მრეწველობის განვითარების ტემპი მნიშვნელოვნად აღემატებოდა საკავშირო მაჩვენებელს, ეს კი პასუხობდა საკავშირო კ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს, რომლებიც ეხებოდა ჩამორჩენილი განაპირა მხარეების მრეწველობის გაძლიერებას.

საბჭოთა საქართველოში პირველი ხუთწლეულის მანძილზე მრეწველობის განვითარების მატემა უდრიდა 597,8%-ს, ხოლო სსრ კავშირში მთლიანად 267,%. 1927—31 წლებში მრეწველობის მთლიანი პროდუქცია გაიზარდა 206%-ით; აქედან „ა“ ჯგუფის პროდუქცია—239% და „ბ“ ჯგუფის—180%-ით. კაპიტალური დაბანდება 1931 წელს 1928—29 წლების 11810 ათასი მანეთიდან 65 მლნ მანეთამდე გაიზარდა.⁶

საქართველო აგრარული ქვეყნიდან თანდათან ხდება აგრარულ-სამრეწველო ქვეყნად. თუ ცენზიანი მრეწველობის ხვედრიწონა სოფლის მეურნეობისა და ცენზიანი მრეწველობის მთლიან პროდუქციაში უდრიდა 1924—25 წწ. 13,2%, ხოლო სოფლის მეურნეობისა—86,8%-ს, 1928-29 წწ. მრეწველობის ხვედრიწონამ 28,7%, ხოლო სოფლის მეურნეობამ 71,3% მიაღწია; 1931 წელს კი მრეწველობის ხვედრიწონა 38,0%, სოფლის მეურნეობის 61,7% შეადგენდა.

თუ ავიღებთ მთელს მრეწველობას, წვირლ მრეწველობასთან ერთად, აგრეთვე ელექტროსადგურებს და სხვ. მაშინ მრეწველობის ხვედრიწონა ბევრად მეტი იქნება. ასე მაგალითად, 1929-30 წწ. მრეწველობის ხვედრიწონა უდრიდა 39%-ს, სოფლის მეურნეობის—61%-ს, 1931 წ. კი მრეწველობის—46%, სოფლის მეურნეობის—54%⁷.

როგორც ვხედავთ, სოფლის მეურნეობის ხვედრიწონის მაჩვენებელი ყოველწლიურად კლებულობს, ხოლო ცენზიანი მრეწველობისა მატულობს.

განუწყვეტილვ იზრდებოდა ცენზიანი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია. თუ 1923-24 წწ. მისი პროდუქცია (1926-27 წწ. უცვლელი ფასებით) უდრიდა 27 022 ათას მანეთს, 1927-28 წწ. ე.ი. ხუთწლეულის წინა წელს—74 906 ათას მანეთს, 1931 წელს კი მან მიაღწია 192 მლნ მანეთს. 8 წლის განმავლობაში ცენზიანი მრეწველობის პროდუქცია 8-ჯერ გაიზარდა. თუ 1927-28 წწ. საქართველოს მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა მრეწველობის საერთო პროდუქცია 27 მანეთის ოდენობით, 1930 წ. იგი 55,9 მანეთამდე გაიზარდა, ე. ი. ორი წლის განმავლობაში ორჯერ და მეტად. სსრ კავშირის საშუალო შესაბამისმა მაჩვენებელმა კი შეადგინა—73,5 მან. და 114,4 მანეთი. მართალია, საქართველოს მრეწველობის პროდუქციის დონე მოსახლეობის ერთ სულზე ნაკლებია საშუალო საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით, მაგრამ მისი ზრდის ტემპი ჩვენს რესპუბლიკაში უფრო მაღალი იყო. თუ მთელი მრეწველობის დონეს 100%-ად მივიჩნევთ, მაშინ მიმე მრეწველობის ხვედრიწონა 1923-25 წწ. იქნებოდა 26,2%, ხოლო 1929-30 წწ.—52,2%. 1931 წელს კი მდგომარეობა რამდენადმე გაუარესდა. ამ წელს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მთელმა მრეწველობამ 1930 წელთან შედარებით 44% მთლიანი პროდუქციის ზრდა მოგვცა, მაგრამ ეს ზრდა უმთავრესად ხდებოდა მსუბუქი მრეწველობის ხარჯზე, მიმე მრეწველობის

⁶ История индустриализации Грузинской ССР, док. и материалы, Тб., 1968, с. 289.

⁷ საქართველოს კომპარტის (ბ) VIII ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, თბ., 1932, გვ. 12.

3. „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1981, № 1

ზრდა (მანვანუმის გამოკლებით) შეადგენდა 25 %⁸. ზემოხსენებული მდგომარეობა განაპირობა იმან, რომ „ა“ ჯგუფის მრეწველობის ზოგიერთმა დარგებმა საწარმოო გეგმები ვერ შეასრულა. მიუხედავად ამისა, საქართველოს მრეწველობაში პირველი ხუთწლედი შესრულდა ოთხ წელში. საქართველოს მთელი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია ხუთწლეულის მანძილზე შეადგენდა (ათას მანეთობით): 1927-28 წწ.-36 346, 1928-29 წწ.-65 525, 1929-30 წწ.-117 634, 1931 წ. 215 080, 1932 წ.-245 573; პროცენტობით წინა წელთან შედარებით უდრიდა 1928-29 წწ.-180,3, 1929-30 წწ.—197,5, 1931 წ.—182,8, 1932 წ.-114,2, 1932 წელს 1927-28 წელთან შედარებით — 675,7%. როგორც ვხედავთ, ხუთწლეულის ბოლოს მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 6-ჯერ, ხოლო მძიმე მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1932 წელს, 1927-28 წლებთან შედარებით, 13-ჯერ გადიდა.

მეორე ხუთწლეუდში დიდი ყურადღება მიექცა არა მარტო ადგილობრივ, არამედ საერთო საკავშირო მნიშვნელობის მქონე ახალი სამრეწველო დარგების ორგანიზაციას. დაიწყო არსებულ საწარმოთა რეკონსტრუქცია, გაფართოება და ახალი მანქანა-გაწყობილობების დადგმა. ეს კი ხელს უწყობდა მექანიზაციის დანერგვას, თბო-ძალოვანი მეურნეობის გაუმჯობესებას და ტექნოლოგიური პროცესების შემდგომ რაციონალიზაციას.

მეორე ხუთწლეუდში საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიალიზაციის განვითარების ერთ-ერთ თავისებურებად კვლავ რჩებოდა სათბობ-ენერგეტიკული, წიაღისეულის მომპოვებელ-დამამუშავებელი და მანქანათმშენებელი მრეწველობის განვითარება.

საქართველოს ენერგეტიკული მეურნეობა სულ უფრო ინტენსიური ტემპებით ვითარდებოდა. შენდებოდა მსხვილი ჰიდროსადგურები, რაც სავესებით შეესაბამებოდა რესპუბლიკის ენერგეტიკულ რესურსებს.

ელექტრიფიკაციის სამუშაოთა ფართო მასშტაბით გაშლის შედეგად მკვეთრად გაიზარდა ელექტროსადგურების სიმძლავრე. მან 1933 წელს ნაცვლად 1929-30 წლების 27.2 ათას კვტ-ს მიაღწია 59,9 ათას კვტს. 1935 წელს კი ელექტროსადგურთა სიმძლავრე, 1913-1919 წლებთან შედარებით, 14-ჯერ გაიზარდა, ხოლო გამომუშავება — 17-ჯერ. ელექტრომშენებლობის ასეთმა გაქანებამ დიდი როლი შეასრულა საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის და, პირველ ყოვლისა, მრეწველობის განვითარებაში. იგი გახდა სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების ტექნიკური რეკონსტრუქციის უმნიშვნელოვანესი ელემენტი.

მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, პირველი ხუთწლეულის დამლევადან მოყოლებული საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობა ელექტროენერჯის მწვავე ნაკლებობას განიცდიდა. ეს უკანასკნელი გაპირობებული იყო მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ინტენსიური ზრდით.

საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიალიზაციის სწრაფი განვითარების ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენდა სათბობი ბაზის გაფართოება და განმტკიცება. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შედარებით მოკლე დროში ჩატარებულმა გეოლოგიურმა კვლევა-ძიებებმა სამუშაოებმა დიდი ეფექტი გამოიღო, შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგები.

დიდი ყურადღება მიექცა ქვანახშირის მრეწველობას. თუ 1913 წელს ქვა-

⁸ საბჭოთა საქართველოს 13 წელი, სტატ. კრებული, ტფ., 1934, გვ. 35.

ნახშირის ამოღება არ აღემატებოდა 70 ათას ტონას, 1934 წ. — 241 ათას ტონას მიაღწია. საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნილება ტყიბულის ქვანახშირზე. დაინერგა ქვანახშირის ამოღების მექანიზაცია, მოხდა მალაროების ელექტრიფიკაცია, გაუმჯობესდა საბინაო პირობები.

მეორე ხუთწლეულში ტყვარჩელის საბადო საქართველოსათვის გადაიქცა მსხვილი სამრეწველო საწარმოს ბაზად, მან საბჭოთა აღზახეთი შემდგომი ფართო სამრეწველო განვითარების გზაზე დააყენა. 1935 წლის დამდეგს ამუშავდა ტყვარჩელის ქვანახშირის საწარმო. ამავე წელს ტყვარჩელმა სახელმწიფოს მისცა 150 ათასი ტონა ქვანახშირი. ამრიგად, ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა ქვანახშირის მსხვილი მრეწველობა ტყიბულის, ტყვარჩელისა და ახალციხის საბადოთა ბაზაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ქვანახშირის მრეწველობა ინტენსიური ტემპით ვითარდებოდა, მისი პროდუქტია არასაკმარისი იყო. ამიტომ, მეორე ხუთწლეულში ახალი შახტების ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობდა, რათა უზრუნველყოფილიყო ქვანახშირის მრეწველობის გადიდება. ამავე პერიოდში გადაწყდა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის დაწყების საკითხი. ასე, რომ აუცილებელი გახდა ტყიბულის და ტყვარჩელის კოქსვალი ქვანახშირის მოპოვების შემდგომ მკვეთრი გადიდება.

საქართველოს მრეწველობის განვითარებისათვის აღნიშნულ პერიოდში დამახასიათებელი იყო მრეწველობის ახალი დარგების განვითარება, რომელთაც არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საკავშირო მნიშვნელობაც ჰქონდა, ასეთი იყო, მაგალითად, ნავთობის მრეწველობა. ჯერ კიდევ პირველ ხუთწლეულში აღმოჩენილ იქნა ნავთის საბადოები, რომელთა ათვისებისათვის დიდი სამუშაოები ჩატარდა 1930-34 წწ. 1932 წელს ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის მთლიანი პროდუქტია 94,0 მლნ მანეთს (1926-27 წწ. უცვლელი ფასებით) აღწევდა, ხოლო 1934 წ. — 117,6 მლნ მანეთს. 1934 წელს საქართველოში მოპოვებულ იქნა 6,1 ათასი ტონა ნავთობი. მეორე ხუთწლეულში საგრძნობლად გაიზარდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების მთლიანი პროდუქტია.

ყოველწლიურად იზრდებოდა აგრეთვე ჭიათურის მანგანუმის ამოღება. 1928-1935 წწ. ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში დაბანდებულ იქნა 45 მლნ მანეთამდე. აქედან, 1934-1935 წწ. დაიხარჯა 27 მლნ მანეთი, რის შედეგად მალაროები ტექნიკურად აღიჭურვა, მექანიზებულად მიმდინარეობდა მადნის ამოღება, მალაროდან გამოიზიდვა და ტრანსპორტირება.

ამ პერიოდში ფართოდ ვითარდება აგრეთვე სამთამადნო მრეწველობა, (ბარიტი, გლუმბრინი, ანდეზიტი, დიატომიტი და სხვ.). დიდი ყურადღება მიექცა აგრეთვე მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის, ხის დამამუშავებელი მრეწველობის და სხვა დარგების განვითარებას.

მეორე ხუთწლეულში, ინდუსტრიალიზაციის განვითარების ერთ-ერთ და უმთავრეს თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ შეიცვალა თანაფარდობა მრეწველობის ორ ძირითად ჯგუფს შორის — წარმოების საშუალებათა წარმოებასა და მოხმარების საშუალებათა წარმოებას შორის. ამ თავისებურებით საქართველოს სსრ განსხვავდებოდა მთლიანად სსრ კავშირის მრეწველობისაგან, ომამდელ ხუთწლეულში „ა“ ჯგუფის ხვედრიწონა სსრ კავშირის მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქტიაში სისტემატურად იზრდებოდა, საქართველოში კი აღინიშნებოდა საწინააღმდეგო ვითარება.

ფართო მოხმარების საგნების წარმოების სწრაფი ტემპით განვითარებას მოითხოვდა ჩვენი რესპუბლიკის ინტერესები, მას მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა აგრეთვე, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების საქმეში მთელი სსრ კავშირის მასშტაბით. ამიტომაც იყო დასაშვები „ბ“ ჯგუფის უფრო სწრაფი ტემპით განვითარება, ვიდრე „ა“ ჯგუფისა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ინდუსტრიალიზაციის განვითარების ასეთი თავისებურება გამომდინარებოდა ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების ხასიათისა და მისი შესწავლის დონიდან.

საქართველოს სამრეწველო განვითარებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო იმ დარგების შექმნა, რომელთათვისაც საკმარისი დიდი რესურსები არსებობდა და რომელიც ქვეყანას უფრო მეტ ეფექტს მისცემდა. თუ პირველ ხუთწლეულში საქართველოში პირველ რიგში აუცილებელი იყო მძიმე ინდუსტრიის დარგების შექმნა და განვითარება, მეორე ხუთწლეულში, მრეწველობის სხვა დარგების სწრაფ განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კვებისა და მსუბუქი მრეწველობის განვითარებას. საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები შესაძლებლობას ქმნიდა სოფლის მეურნეობის ისეთი კულტურების განვითარებისათვის, როგორცაა ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, გერანი და სხვ. მათი სამრეწველო დამუშავება შესაძლებელი იყო მხოლოდ ჩვენს რესპუბლიკაში. ამიტომაც, მრეწველობის იმ დარგების შექმნა და განვითარება, რომლებიც შემოხსენებული ნედლეულის დამუშავებას აწარმოებდა, სპეციფიური იყო მხოლოდ საქართველოსათვის. აქედან გამომდინარე, ამ დარგების განვითარებას განსაკუთრებული ადგილი ეკავა არა მარტო საქართველოს, არამედ მთლიანად საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში.

კვების მრეწველობა, როგორც სახალხო მეურნეობის დამოუკიდებელი ინდუსტრიული დარგი, პირველ ხუთწლეულდამდე თითქმის არ არსებობდა. მხოლოდ 1926-29 წწ. მიექცა მას ერთგვარი ყურადღება. ამ პერიოდში აშენდა და ამუშავდა სოფელ ბობოყვათის ჩაის ფაბრიკა, სოფლების — ბეჟანოსა და სიონის ყველ-კარაქის ქარხნები. დაიწყო მაკარონის, საკონსერვო, საკონდიტრო ნაწარმისა და სხვა ქარხნების მშენებლობა. 1929-30 წლებიდან ამუშავდა ხილსახმობი ქარხნები მეჯვრისხევში, შინდისში, ტყვიავში და ახალციხეში. ამავე წელს აიგო პატარ-პატარა ხილსახმობები ხრესილში, ცაგერში, ამბროლაურსა და ჩოხატაურში. აიგო აგრეთვე თბილისის, სამტრედიის მაცივრები და კარაქის მექანიზებული ქარხნები. 1930 წელს ამოქმედდა გორის საკონსერვო ქარხანა.

სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის დირექტივები ითვალისწინებდა კვების მრეწველობის განვითარების ისეთ ტემპებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მოსახლეობის მიერ კვების პროდუქტების სულაღობრივი მოხმარების ნორმების 2-3-ჯერ გადიდებას. გათვალისწინებული იყო საკონსერვო პროდუქციის 200 მლნ პირობით ქილაზე გადიდება, რისთვისაც უნდა გადაამუშავებულიყო ხილისა და ბოსტნეულის საერთო მოსავლის 10 პროცენტი. დირექტივებით ნავარაუდევია იყო აგრეთვე თევზის, თამბაქოს, რძის გადამამუშავებელი, ზეთსახდელი, მაკარონის, ხორცის და მრეწველობის სხვა დარგების განვითარება. ამიტომაც, უმთავრესი ამოცანა იყო მძლავრ საწარმოებთან ერთად შექმნილიყო საშუალო და წვრილი საწარმოები, რათა ყველგან გამოყენებული ყოფილიყო ადგილობრივი ნედლეულის რესურსები კვების ნაწარმის დასამზადებლად. კვების მრეწველობის მთლიანი პროდუქციის

მატების დინამიკა შეადგენდა (ათას მანეთობით): 1931 წ. — 27 877, 1932 წ.— 36 029, 1933 წ. — 49 515, 1934 წ. — 53 650.

უმთავრესი სახეობის პროდუქციის ზრდის დინამიკა ნატურალური გამო-სახულობით 1931—34 წწ. მოცემულია ცხრილში.

კვების მრეწველობის პროდუქციის ზრდის დინამიკა 1931—1934 წწ.⁹

სახეობები	ზომის ერთეული	წ ლ ე ბ ი			1934 წ. მოსალოდნელი შესრულება
		1931	1932	1933	
კონსერვები	ქილოებით	7763,0	7746,0	13392,0	17590
პაპირისი	მლნ ცალკობით	4531,2	3615,4	4644,2	4589
შაქარი	ათას ცენტ.	—	—	24,6	79,6
საპონი	ათას ტონობით	2,8	1,5	1,6	2,8
თევზი	ცენტ.	—	75,6	68,1	59,0

როგორც ვხედავთ, კვების მრეწველობამ განსაკუთრებულ წარმატებას მერვე ხუთწლეულში მიაღწია, მისი პროდუქცია 2,5-ჯერ და მეტად გადიდდა და 1937 წელს 188,6 მლნ მანეთის საქონელი გამოუშვა, ნაცვლად 1932 წლის 75,5 მანეთისა.

1931-34 წწ. კაპიტალური დაბანდება კვების მრეწველობაში 50 მლნ მანეთს შეადგენდა. იგი მიმართული იყო კვების მრეწველობის სრულიად ახალი დარგების მსხვილი საწარმოების მშენებლობისა და ორგანიზაციისაკენ. დაიწყო ქუთაისის საკონსერვო ქარხნის მშენებლობა, რომელიც მთლიანად საექსპლოატაციოდ გადაეცა 1931 წელს. ასევე დაიწყო მშენებლობა და 1933 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა აგარის შაქრის ქარხანა, რაზეც დაიხარჯა 12 მლნ მანეთი. 1933 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა მარგარინის ქარხანა. 1937 წ. კი კვების მრეწველობის უმთავრესი დარგების პროდუქცია შეადგენდა: ბაიხის ჩაის — 6508 ტონას; კონსერვების — 28,0 მლნ პირობით ქილას, შაქრის — 16,3 ათას ტონას, პაპირისის — 4,8 მლნ ცალს.

კვების მრეწველობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს ჩაის მრეწველობა, რომელიც მერვე ხუთწლეულში ფართოდ განვითარდა. აშენდა ახალი ჩაის ფაბრიკები, რომლებიც აგებულ იქნა მოწინავე ტექნიკის ბაზაზე, გაიზარდა და გაუმჯობესდა ჩაის მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავებას. გაიზარდა ჩაის მწვანე ფოთლის მოცულობა. ჩაის მწვანე ფოთოლი ჩაბარებულ იქნა ყველა სექტორის მიხედვით 1934 წ. — 6639,7 ტ, ხოლო 1935 წ. — 1267,6 ტ. 1937 წელს დამზადებულ იქნა სულ 27 331 ტონა ჩაის ნედლეული. ამასთან ერთად, გაიზარდა ჩაის პექტარობრივი მოსავლიანობა, რომელიც შეადგენდა (ცილოგრამობით). 1934 წ.—1123, 1935 წ. — 1434, 1936 წ. — 1625, 1937 წ. — 2120. ჩაის ნედლეულის ზრდის შესაბამისად მნიშვნელოვნად გადიდდა ჩაის პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა. იგი შეადგენდა (ათას მანეთობით, 1926-27 წწ. უცვლელი ფასებით): 1932 წ.—3006, 1937 წ. — 34 080. მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ჩაის მთლიანი პროდუქცია 1937 წელს 1932 წელთან შედარებით, დაახლოებით 10-ჯერ გაიზარდა.

⁹ История индустриализации Грузинской ССР, с. 44.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩაის მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარება გამომდინარეობდა არა მარტო საქართველოს სსრ სოციალისტური ეკონომიკის ინტერესებიდან, არამედ იგი ნაკარნახევი იყო აგრეთვე მთელი საბჭოთა კავშირის ეკონომიკის განვითარების ინტერესებით.

მეორე ხუთწლედში სწრაფი ტემპით განვითარდა აგრეთვე საკონსერვო მრეწველობა, რომელიც მთლიანად ადგილობრივ სანედლეულო ბაზაზე იყო დაფუძნებული. საქართველოს საკონსერვო მრეწველობის განვითარება მეხილეობის, მეციტრუსეობის და მებოსტნეობის აღმავლობას ემყარებოდა, ხოლო საკონსერვო მრეწველობის ზრდა, თავის მხრივ, აჩქარებდა სოფლის მეურნეობის ზემოხსენებულ დარგთა შემდგომ განვითარებას. გაიზარდა ხეხილის ნარგავებისა და ბოსტნეული ნათესების ფართობი და მოსავლიანობა. ციტრუსების ნარგავების ფართობი 1937 წელს, 1932 წ. შედარებით 2,0 ათასი ჰექტარიდან გადიდა 5,7 ათას ჰექტარამდე, ე. ი. 2,7-ჯერ, ხოლო 1913 წელთან შედარებით 35,4-ჯერ; მანდარინის, ფორთოხლის და ლიმონის დამზადება 1937 წელს, 1932 წელთან შედარებით გადიდა 12,8 მლნ ცალიდან 293,5 მლნ ცალამდე. ანუ თითქმის 23-ჯერ, ხეხილის ბალები 1937 წელს, 1933 წ. შედარებით გაიზარდა 39,2 ათასი ჰექტარიდან 59,7 ათას ჰექტარამდე. ე. ი. 1,5-ზე მეტად¹⁰. გასაგებია, რომ ასეთ მზარდ სანედლეულო ბაზაზე დაყრდნობილი საკონსერვო მრეწველობა სწრაფად განვითარდებოდა.

1932 წ. 15 ნოემბერს საექსპლოატაციოდ გადაეცა ქუთაისის საკონსერვო ქარხანა, რომელიც აღჭურვილი იყო უახლესი ტექნიკით. ამ წელს მოხდა ბათუმის, სოხუმის, ზუგდიდის, ოზურგეთის საკონსერვო ქარხნების რეკონსტრუქცია. დაიდგა ახალი მალამწარმოებლური მანქანა-დანადგარები, რამაც გაზარდა ქარხნების მწარმოებლური სიმძლავრე და შესაძლებელი გახადა ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება.

1932 წ. საკონსერვო მრეწველობის პროდუქციამ 7,7 მლნ ქილას მიაღწია, ხოლო 1934 წელს გადიდა 15 მლნ ქილამდე.

აღსანიშნავია, რომ 1934 წელს სსრ კავშირის საკონსერვო მრეწველობის პროდუქციის 1,3%-ზე მეტი საქართველოს საკონსერვო მრეწველობაზე მოდიოდა. როგორც ვხედავთ, კვების მრეწველობის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა საკონსერვო მრეწველობამ.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია მეღვინეობა. მეორე ხუთწლედში განსაკუთრებული აღმავლობით ხასიათდებოდა ღვინის წარმოება, რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენდა მისი სანედლეულო ბაზის — მევენახეობის სწრაფი ტემპით განვითარება, ყურძნის მოსავლის გადიდება.

1937 წ. სხვადასხვა სახით ღვინის გამოშვება შეადგენდა 1122 ათას ლიტრს. შემდგომში გათვალისწინებული იყო სარდაფების მშენებლობა: გურჯაანში, წინანდალში, ზესტაფონსა და ხირსაში. კაპიტალური ტიპის მარნების აგება ხირსასა და ყვარელში, უტილდანადგარის მშენებლობა მეღვინეობის ნარჩენების გადასამუშავებლად, ღვინის ქარხნის რეკონსტრუქცია და ძმრის ქარხნის მშენებლობა და სხვ.

მეორე ხუთწლედში მეღვინეობის სწრაფი ტემპით განვითარებამ დასაბა-

¹⁰ Н. Ткешелашвили, Очерки развития промышленности Советской Грузии, Тб., 1970., с. 442.

მი მისცა ახალი დარგის — შამპანურის წარმოების განვითარებას, რომლის წარმოება 1937 წ. 1000 ბოთლს შეადგენდა. ადგილობრივი მაღალხარისხოვანი ნედლეულის ბაზაზე განვითარდა აგრეთვე კონიაკისა და არყის წარმოება.

დიდი ყურადღება მიექცა თამბაქოს მრეწველობას. უმთავრესი ამოცანა ამ ხაზით იყო თამბაქოს ნაწარმის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესება. 1932 წელს თბილისის, ბათუმის და სოხუმის ფაბრიკების მიერ, ფერმენტაციის გარეშე, 13,5 მლნ მანეთის მთლიანი პროდუქტია იქნა გამოშვებული, 1936 წელს კი გამოშვებულ იქნა 5,1 მლრდ ცალი პაპიროსი, ნაცვლად 4,5 მლრდ ცალისა.

პაპიროსის წარმოება 1932 წლის 3,4 მლრდ ცალიდან 1937 წ. 4,8 მლრდ ცალამდე, ე. ი. 3,2-ჯერ გაიზარდა. ამასთან, გაუმჯობესდა პაპიროსის ხარისხი. პაპიროსის ხარისხის გაუმჯობესება დამოკიდებული იყო იმაზეც, რომ იგი მთლიანად მზადდებოდა ადგილობრივი მაღალხარისხოვანი ნედლეულით, რომლითაც მარაგდებოდა არა მარტო საქართველოს, არამედ კავშირის თამბაქოს მრეწველობა.

გათვალისწინებული იყო თამბაქოს ფაბრიკების ტექნიკურ შესაძლებლობათა სრული გამოყენება, ძველი მანქანა-დანადგარების ნაწილობრივი შეცვლა, თბილისის ფაბრიკებში მუყაოს საამქროების მექანიზაცია და აგრეთვე ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის შეესება სხვადასხვა გაწყობილობით. ყოველივე ეს პაპიროსის გამოშვების გადიდების შესაძლებლობას იძლეოდა.

მეორე ხუთწლედში განვითარდა აგრეთვე კვების მრეწველობის დანარჩენი დარგები, როგორცაა: შაქრის, თევზის, რძის, ხორცის, ყველ-კარაქის, მაკარონის, საკონდიტრო, კონსერვის და სხვ.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო კვების მრეწველობის წვრილი, ნახევრად შინამრეწველური ტიპის საწარმოები, მოკლე დროში შექმნა და განავითარა ამ დარგის მსხვილი მრეწველობა, რომლის ამოცანას შეადგენდა არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ მთლიანად საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. შემდეგომ ხუთწლედებში სოფლის მეურნეობის საგრძნობი განვითარების პირობებში, კვების მრეწველობა კიდევ უფრო ჩქარი ტემპით ვითარდებოდა. ამასთან ერთად, 1921-35 წწ. საქართველოში შეიქმნა მსუბუქი მრეწველობის ისეთი დარგები, როგორცაა: აბრეშუმის, ტყავის, სამკერვალო, ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის, შალის და სხვ.

1931 წლიდან 1934 წლამდე მსუბუქი მრეწველობის ძირითად ფონდებში დაბანდებული იყო: 1931 წ. — 3917 ათასი მან., 1932 წ. — 8063 ათასი მან., 1933 წ. — 11 991,6 ათასი მან., 1934 წ. — 20 082 ათასი მანეთი.¹¹ ამ დაბანდებულ დიდი ნაწილი გამოყენებულ იქნა მსუბუქი მრეწველობის მსხვილი საწარმოების მშენებლობაზე, არსებულ საწარმოთა გასაფართოებლად და რეკონსტრუქციის სამუშაოებისათვის, რის შედეგადაც საგრძნობლად გაიზარდა მსუბუქი მრეწველობის პროდუქტია. განსაკუთრებით დაწინაურდნენ თელავის ძაფსახვევი ქარხანა, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი, თბილისის № 4 აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა; ფეხსაცმლის მრეწველობაში კი გამოირჩეოდა თბილისის

¹¹ ვ. ჯუღაძე. „საქართველოს სახალხო მეურნეობა“, 1934, № 12, გვ. 41.

№ 1 და № 2 ფეხსაცმელების ფაბრიკები, ტყავის მრეწველობაში — თბილისის ტყავის № 1 ქარხანა და ბათუმის ტყავის ქარხანა.

როგორც აღინიშნა, სამეურნეო მექანიზმში გარკვეულ მიმართებაში აისახება ეკონომიკური ინტერესები. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი უნდა წარმოადგეს როგორც ეკონომიკური ინტერესების ნაირსახეობა. რამდენადაც ეკონომიკური ინტერესების პრაქტიკული განხორციელება განაპირობებს სამეურნეო მექანიზმის ფუნქციონირებას, იმდენად ამ უკანასკნელში ასახვას პოვებს მისი განხორციელების გზები და მეთოდები. ამდენად, სამეურნეო მექანიზმი ისეთი სოციალურ-ეკონომიკური ბერკეტი, რომელშიც ხორციელდება საზოგადოებრივი წარმოების შინაგანი ნიშანთვისებების გარდაქმნის პროცესი. ცხადია, რომ ეს პროცესი არ მიმდინარეობს თავისთავად. მას განსაზღვრავს საზოგადოებრივ წარმოებაზე შინაგანი და, განსაკუთრებით, გარეფაქტორების ზემოქმედება. ამიტომ, სამეურნეო მექანიზმის არსის გარკვევის აუცილებელ პირობად რჩება ამ ფაქტორების, როგორც ერთიანი სისტემის შუალედური რგოლების გაანალიზება. როგორც ითქვა, სამეურნეო მექანიზმის ფორმირებისა და ფუნქციონირების თვალსაზრისით ეს ფაქტორები იყოფა ორ განშტოებად, რომელთაგან ერთი განმსაზღვრელია, მისი მოძრაობის საფუძველია, მეორე კი — მისი მამოძრავებელი ძალაა. ამიტომ მოქმედების ხასიათით პირველი ობიექტურია, მეორე კი — სუბიექტური.

სოციალისტური სამეურნეო მექანიზმის ობიექტური მხარე განპირობებულია თვით საზოგადოებრივი წარმოების მომავლის განჭვრეტის აუცილებლობით, რაც შესაძლებელია მისი განვითარების ეკონომიკური კანონების ღრმა მეცნიერული ანალიზის ბაზაზე. სწორედ ამამია სამეურნეო მექანიზმის მამოძრავებელი ღერძი, რომლის გარეშეც ყოველად შეუძლებელია მიღწეულ იქნეს მატერიალურ წარმოებაზე წინასწარ განსაზღვრული მიზნდასახული ზემოქმედება. სამეურნეო მექანიზმის სუბიექტური მხარე კი განპირობებულია იმით, რომ აუცილებელია მილიონიანი მშრომელი მასების მეცნიერულად დასაბუთებული სამეურნეო ნორმატივებით შეიარაღება და მათი აქტიური საქმიანობა. ცხადია, რომ მატერიალურ წარმოებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების შედეგი განპირობებულია არა მარტო ნორმატივების მეცნიერული დასაბუთებით, არამედ მშრომელი მასების დარაზმულობითა და ორგანიზებულობით. ამიტომ, განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ნორმატივების მეცნიერულ დასაბუთებას, ისე მატერიალური წარმოების სფეროში მშრომელი მასების აქტიურ ჩაბმას. მასასადამე, სამეურნეო მექანიზმი, ითვისებს რა თავის თავში ობიექტურსა და სუბიექტურ ფაქტორებს, ფუნქციონირებს ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

¹⁹ Л. Абалкин. Сущность, структура и актуальные проблемы совершенствования хозяйственного механизма. «Экон. науки», 1978, № 8.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამეურნეო მექანიზმის გარკვევისას იმ ეკონომისტთა აზრია ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს, ვინც მასში მთავარ ფაქტორად გამოყოფს ადამიანებს თავიანთი კვალიფიკაციით, განწყობით, ინტერესებით, პრინციპებითა და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში საქმიანობით²⁰, ვინც მასში ხედავს ისეთი პრინციპების გატარებას, როგორცაა პარტიულობა, მეცნიერულობა, პოლიტიკისა და ეკონომიკის ერთიანობა, კომპლექსურობა, ეფექტიანობა და ა. შ.²¹. მასში გადამწყვეტ როლს თამაშობს ადამიანი, საზოგადოებრივად განვითარებული პიროვნება, რომელიც სახავს და ცხოვრებაში ატარებს ისეთ ღონისძიებებს, შემოქმედებითად რომ გარდაქმნიან საზოგადოებრივ წარმოებასაც და თვით ადამიანსაც. ამიტომ, საზოგადოებრივად განვითარებული ადამიანი (პიროვნება) სამეურნეო მექანიზმის სრულყოფაში არის განმსაზღვრელი, მამოძრავებელი ძალა.

მაშასადამე, სოციალისტური სამეურნეო მექანიზმი არის სოციალისტურ საზოგადოებრივ წარმოებაზე ზემოქმედი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების დიალექტიკური ერთობლიობა, რაც ვლინდება მშრომელი მასების მიერ ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის მართვის მეცნიერულად დასაბუთებულ ფორმებსა და მეთოდებში. რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ წარმოებაზე ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედება არ არის თავისთავად საზოგადოებრივი წარმოების განვითარების შინაგანი პროცესი. იგი, უწინარეს ყოვლისა, არის მისი დაჩქარების პროცესი, რაც განპირობებულია თვით საზოგადოების ობიექტური კანონზომიერებით. ამიტომ, ჩვენი საზოგადოების განვითარების შინაგანი პროცესი საჭიროებს მასზე ზემოქმედი სამეურნეო მექანიზმის თანმიმდევრულ სრულყოფას, რაზეც განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სკკპ XXV ყრილობამ²².

ცხადია, რომ ამ მიმართებით სამეურნეო მექანიზმის სისტემა ვლინდება, როგორც სამეურნეო პოლიტიკა. პრაქტიკულად იგი აერთიანებს სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების სისტემას, რომლის ფუნქციური ცენტრებიც თავს იყრის ერთიან საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცენტრში სოციალისტური სახელმწიფოს სახით. ამის გამო, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში ძლიერდება სახელმწიფოს ეკონომიკური როლი.

აქედან გამომდინარე, ჩვენ არ შეგვიძლია გავიზიაროთ იმ ეკონომისტთა აზრი, რომლის მიხედვითაც თითქოს სამეურნეო მექანიზმი, და ამიტომ სახელმწიფო არის ბაზისური ურთიერთობის მატარებელი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა. მაგ., ს. ძარასოვის აზრით, სამეურნეო მექანიზმი ერთდროულად არის როგორც ბაზისური, ისე ზედნაშენური ურთიერთობების მატარებელი ელემენტი²³.

ჩვენი აზრით, თავისთავად არც დაგეგმვა და არც მართვა არ არის ბაზისური ურთიერთობების მატარებელი ელემენტები. ეკონომიკურ სისტემაზე,

²⁰-იხ: «Экон. науки», 1979, № 2, с. 35.

²¹ იქვე, № 9, с. 27.

²² სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 84.

²³ С. Дзарасов. Производственные отношения и хозяйственный механизм. «Экон. науки», 1979, № 1.

ბაზისზე, საზოგადოებრივ წარმოებაზე სამეურნეო მექანიზმი და მისი მეშვეობით — სახელმწიფო იმიტომ ახდენენ ზემოქმედებას, რომ ისინი პირველთან შედარებით მალა დგანან, რის გამოც მათ შესწევთ უნარი წარმართონ ისინი წინასწარ გააზრებული მიზანდასახული გზით.

საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე მკვეთრად შეიცვალა სახელმწიფოს ეკონომიკური როლი, რის გამოც სახელმწიფომ დაკარგა წმინდა პოლიტიკური ორგანოს ნიშანთვისებები და ამიტომ იგი, როგორც წმინდა ზედნაშენი, ზუსტად ვერ ასახავს მის მიერ შექმნილ ახალ ბუნებას. დღეისათვის სახელმწიფო გვევლინება წარმოებითი ურთიერთობების ფუნქციონირების ცენტრალურ მექანიზმად, რომელიც აერთიანებს არა მარტო ეკონომიკური კანონების მოქმედებისა და გამოყენების მექანიზმებს, არამედ სამეურნეო მექანიზმს მთლიანად. ამ გაგებით სახელმწიფო წარმოდგება როგორც საერთო სახალხო-სამეურნეო ცენტრი, რომელიც თავისი შეგნებული საქმიანობით უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების უმაღლესი მიზნის გეგმაზომიერ რეალიზაციას. ბუნებრივია, რომ ამ ურთიერთობათა სისტემაში სახელმწიფოს ეკონომიკური როლი არ სცილდება სოციალიზმის წარმოებითი ურთიერთობების სისტემის შეგნებულ და წინასწარ გააზრებულ ფუნქციონირებას, რის გამოც იგი, როგორც პოლიტიკური ორგანო და ამიტომ როგორც ზედნაშენი, ახალი შინაარსით იყვება.

კერძოდ, სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ვლინდება ეკონომიკური პოლიტიკის დასაბუთება-რეალიზაციაში, რომელშიც შეგნებულ, წინასწარ გააზრებულ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამ მხრივ, ეკონომიკური მექანიზმი, როგორი ობიექტურიც არ უნდა იყოს იგი, თავისთავად მოქმედი მექანიზმი არ არის. ე. ი. ეკონომიკური პოლიტიკის დასაბუთების საფუძველია პოლიტიკური ეკონომია როგორც წარმოებითი ურთიერთობების შემსწავლელი მეცნიერება, მისი რეალიზაციის პირობა კი სამეურნეო მექანიზმია. ამიტომ ეს უკანასკნელი არის ეკონომიკური პოლიტიკის, როგორც მეცნიერების საგანი. სამეურნეო მექანიზმის არევა წარმოებით ურთიერთობებთან ხელს უწყობს ეკონომიკური პოლიტიკის გათქეფვას პოლიტიკურ ეკონომიაში, ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობს უკანასკნელს, როგორც მეცნიერების დაღუპვას, რის შესახებაც სათანადო გაფრთხილებას იძლეოდა ი. სტალინი.

რამდენადაც სამეურნეო მექანიზმის ძირითადი რგოლი სახალხო მეურნეობის დაგეგმვაა, იმდენად შემთხვევითი არ არის, რომ სამეურნეო მექანიზმის ფუნქციონირების გაძლიერების ამოსავალ პუნქტად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზემოთ აღნიშნულ დადგენილებაში მიჩნეულია სახალხო მეურნეობის დაგეგმვის შემდგომი გაუმჯობესება, მისი თანამიმდევრული სრულყოფა, მეცნიერული დასაბუთების სიღრმე და მასში სპეციფიკური სოციალურ-პოლიტიკური პირობების ასახვის დონე. ეს დადგენილება აგრძელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1965) პლენუმის გადაწყვეტილებებს, მის მიზანდასახულობას. მაგრამ, მხოლოდ ამ კუთხით მისი ვაგება ზედაპირულია და შეიძლება მცდარი იყოს შემდეგი მიზეზის გამო: პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღნიშნულმა პლენუმმა საზოგადოებრივი წარმოება თავისი გადაწყვეტილებებით შემოაბრუნა ფორმალური

სამეურნეო ანგარიშიდან სრული სამეურნეო ანგარიშისაკენ, რითაც მან საფუძველი ჩაუყარა ამ უკანასკნელის შემდგომ განვითარებას.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში ეს საქმარისი არ აღმოჩნდა, რადგან საწარმოთა (გაერთიანებათა) სამეურნეო საქმიანობის შეფასების კრიტერიუმი თითქმის უცვლელი დარჩა, ხოლო მომგებიანობის (რენტაბელობის) გამოცხადებამ სინთეზურ მაჩვენებლად წარმოშვა მთელი რიგი უარყოფითი მოვლენები, რაზეც პირდაპირ ითქვა პარტიის XXIV და XXV ყრილობებზე. ახალი დადგენილებით კიდევ უფრო ფართო გასაქანი მიეცა ხარისხობრივ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, რის გამოც საწარმოები (გაერთიანებები) უშუალოდ აღმოჩნდნენ პასუხისმგებლობის სიმძიმის ცენტრში. მაგ., დადგენილების მე-4 პუნქტის მიხედვით, წლიური გეგმის შედგენა უნდა დაიწყოს ქვემოდან—საწარმოო გაერთიანებებიდან (საწარმოებებიდან) და ორგანიზაციებიდან. სამეურნეო საქმიანობის სიმძიმე რომ უფრო მეტად გადადის საწარმოებზე (გაერთიანებებზე), იქიდანაც ჩანს, რომ ახალ პირობებში მათი საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია სამრეწველო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საგნების ნომენკლატურის (ასორტიმენტის) მიხედვით მიწოდების გეგმის შესრულება, რაც უნდა შეესაბამებოდეს საწარმოთა (გაერთიანებათა) შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებს. ამავე დროს, უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლები, როგორცაა შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და ა. შ.

დადგენილების მიხედვით, საწარმოს საქმიანობის შეფასებისადმი მიღგომა კომპლექსურია, მაგრამ ასეთმა გზამ, ვფიქრობთ, შესაძლოა გართულოს საწარმოთა (გაერთიანებათა) სამეურნეო საქმიანობაც და მათი ანგარიშგებაც, რის გამოც შეიძლება წარმოიშვას გაუგებრობები და შეცდომები. სამეურნეო საქმიანობის აკვარგეიანობის განმსაზღვრელი ფაქტორი უნდა წარმოადგეს არა ეკონომიკურ მაჩვენებელთა კომპლექსში, არამედ მხოლოდ ერთ ეკონომიკურ მაჩვენებელში, რომელიც თავისი სოციალურ-ეკონომიკური შინაარსით იქნება სინთეზური, განმაზოგადებელი.

მართალია, ახალი დადგენილების მიხედვით ძირითად მაჩვენებლად მიჩნეულია ნორმატიული წმინდა პროდუქცია, მაგრამ მას მაშინ შეუძლია შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, თუ იგი უშუალოდ დაკავშირებული იქნება კონკრეტულად განსაზღვრულ, საზოგადოებრივად აუცილებელ მოთხოვნილებასთან, რომლის დაკმაყოფილებაც წარმოადგენს საზოგადოებრივ წარმოების კეშმარტ საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგს. როგორც პარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, საწარმოთა (გაერთიანებათა) სამეურნეო საქმიანობის შეფასების კრიტერიუმი სწორედ საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგებში უნდა ვეძიოთ.

ამრიგად, სამეურნეო მექანიზმის შინაგანი ბუნება განპირობებულია სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოების სიღრმისეული პროცესებით, რომლებიც მოითხოვს ეკონომიკური კანონების შემეცნებასა და გამოყენებას დამის ნიადაგზე სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერ წარმართვას.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისა და საზოგადოებრივ წარმოებაზე მისი ზემოქმედების გაძლიერების მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზემოთ აღნიშნული დადგენილებით გათვა-

ლისწინებულა მომავალ ხუთწლეულში დამთავრდეს წარმოების ყველა რგოლის გადაყვანა ანაზღაურების ბრიგადულ სისტემაზე, რომლის ყლორტებიც აღმოცენდა ჯერ კიდევ მერვე ხუთწლეულში (მაგ., ფართო გაქანება მიეცა მშენებლობაში ზღობინის მეთოდის დანერგვას, რომელიც ამჟამად მატერიალური წარმოების სხვა დარგებშიც ვრცელდება). ბრიგადული სისტემა, რომელიც წარმოშვა მილიონიანი მშრომელი მასების შემოქმედებითა ინიციატივამ, საზოგადოებრივი წარმოების სოციალისტურმა პრაქტიკამ, ითვალისწინებს სამეურნეო პროცესების მართვის ისეთი სისტემის შექმნას, რომელშიც განსაკუთრებული უპირატესობა ენიჭება საწარმოო კოლექტივებს შორის ეკონომიკურად დასაბუთებული კავშირუროთიერებების დამყარებას, კერძოდ, მათ შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაცვას, როგორც სამრეწველო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის, ისე სახალხო მოხმარების საქონლის ნომენკლატურის (ასორტიმენტის) წარმოება-მიწოდების მიხედვით. ფაქტია, რომ ამ სახელშეკრულებო სისტემაში თავს იყრის არა ორი ან სამი ურთიერთდაპირისპირებული საწარმოო კოლექტივი, არამედ ამ უკანასკნელთა ერთობლიობა, რომლებიც ერთიმეორესთან დაკავშირებულნი არიან განუსაზღვრელი შიდასამეურნეო კავშირებით.

ცხოვრებაში ამ ღონისძიების ეფექტიანად გატარების მიზნით, როგორც უკვე აღინიშნა, იმავე დადგენილებით გათვალისწინებულია მომავალი ორისამი წლის მანძილზე დამთავრდეს საწარმოო კოლექტივების გადაყვანა სამეურნეო ანგარიშის პრინციპით შექმნილ გაერთიანებებზე. ამ ორმა ფაქტორმა უნდა განაპირობოს ერთიანი სამეურნეო მექანიზმის განმტკიცება და მისი შემდგომი სრულყოფა. ცხადია, რომ ორვე ღონისძიების პრაქტიკაში გატარების ეფექტიანობა დამოკიდებულია ჩვენი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებათა ღრმა მეცნიერულ ანალიზზე და მის ნიადაგზე მეურნეობის მართვის ოპტიმალური ვარიანტების დასაბუთების დონეზე. როგორც ერთი, ისე მეორე უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი წარმოების პროცესების მართვაში მილიონიანი მშრომელი მასების აქტიური ჩაბმის შედეგად. ეს კი, როგორც აღინიშნა, სამეურნეო მექანიზმის ფორმირების მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია.

Ш. П. НАТЕНАДЗЕ

ХОЗЯЙСТВЕННЫЙ МЕХАНИЗМ И НОВЫЙ ЭТАП СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ ПЛАНИРОВАНИЯ

Резюме

В работе рассмотрен круг вопросов, вытекающих из постановления ЦК КПСС и СМ СССР от 12 июля 1979 года «Об улучшении планирования и усиления воздействия хозяйственного механизма на повышение эффективности общественного производства и качества работы». В условиях развитого социализма особую остроту приобретает вопрос о дальнейшем совершенствовании хозяйственного механизма с целью повышения эффективности общественного производства и улучшения качества работы.

Предпосылкой дальнейшего совершенствования хозяйственного механизма служит выяснение его внутренней природы, его сущности. Критически анализируя существующие в экономической литературе концепции по вопросу о сущности хозяйственного механизма, автор приходит к выводу, что хозяйственный механизм является сложным социально-экономическим явлением, его следует рассмотреть в системе общественно-экономической формации, в которой сосредоточены и базисные и надстроечные отношения. В данном разрезе хозяйственный механизм автор понимает как объективный процесс перехода (превращения) базисных отношений в надстроечные, что предполагает и обратный процесс воздействия надстроечных отношений на базисные.

Последовательное совершенствование хозяйственного механизма в первую очередь предполагает необходимость научного обоснования плановых народнохозяйственных заданий, а также сплоченность, организованность, дисциплинированность масс и их активное вовлечение в управление процессами материального производства с целью качественного выполнения этих заданий. Таким образом, хозяйственный механизм как социально-экономическое явление включает в себя факторы и объективного и субъективного характера, среди которых в условиях развитого социализма немаловажное значение приобретают факторы субъективного характера.

წარმოადგინა აკად. ა. ზუბინა

მიხეილ როკაძის მიხედვით

საზოგადოებრივი ურთიერთობების მნიშვნელობა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის დაზოგადოებრივი დაკრედიტებაში

მსუბუქი მრეწველობა ყოველთვის იყო და რჩება სსრ კავშირის ინდუსტრიის ერთ-ერთ მთავარ დარგად. იგი კავშირის მასშტაბით მთელ თავის სისტემაში აერთიანებს 30-მდე ისეთ მსხვილ დარგს და ათასობით წარმოებას, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში.

მსუბუქი მრეწველობის მნიშვნელობა საწარმოო ძალთა ტერიტორიულ ორგანიზაციაში იმით განისაზღვრება, რომ მის მრავალრიცხოვან საწარმოებში (13 ათასამდე ფაბრიკა-ქარხანა და გაერთიანება) დასაქმებულია 5,2 მლნ მშრომელი, ანუ ინდუსტრიაში დასაქმებული ყველა ქალის თითქმის მესამედი¹.

მსუბუქი მრეწველობის დარგთა განლაგების საკითხი, ყოველთვის იყო და დარჩა სათანადო ორგანიზების სერიოზული მსჯელობის საგნად ტერიტორიული ორგანიზაციის საერთო სისტემაში. ქვეყნის ინდუსტრიის საერთო პროდუქციის გამოშვებაში მსუბუქი მრეწველობა მესამე ადგილზეა, მანქანათმშენებლობის და კვების მრეწველობის შემდეგ. თვით მსუბუქი მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მეტი ხვედრითი წილი უკავია საფეიქრო დარგს, რომლის წილად მოდის საერთოდ გამოშვებული პროდუქციის 59 %, სამრეწველო საწარმოში პერსონალის საერთო რიცხვის 41 % და 2,5 ათასი საწარმო².

საფეიქრო მრეწველობის შიგნით, საერთო პროდუქციაში, წამყვანი ადგილი უკავია შალეულის (31,0%) და ბამბეულის (22,6 %) დარგებს, შემდეგ კი — სატრიკოტაჟო მრეწველობას (11,3 %).

მსუბუქ მრეწველობაში მეორე ადგილზეა სამკერვალო წარმოება, რომელიც შეადგენს საერთო პროდუქციის 27,5%, დასაქმებულ პერსონალთა რიცხვის 43 %-ს და აქვს 8 ათასამდე საწარმო.

მესამე ადგილზეა ტყავის, ფეხსაცმლის და ბეწვეულის მრეწველობა, რომელიც საერთო პროდუქციის 13% და ყველა მშრომელთა 15% შეადგენს.

ამჟამად საბჭოთა კავშირში ერთ სულ მოსახლეზე იწარმოება 36,5 კგ ქსოვილი, ანუ იმაზე მეტი, ვიდრე დასავლეთ ევროპის ნებისმიერ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში. მაგალითად, 5,5 სატრიკოტაჟო საწარმო (ინგლისისა და საფრანგეთის დონეზე), 2,8 წყვილი ტყავის ფეხსაცმელი (აშშ-ის, ინ-

¹ Е. А. Афанасевский, «Легкая промышленность: экономические проблемы размещения», 1976, с. 6.

² იქვე, გვ. 7.

გლისისა და საფრანგეთის დონეზე)³. მაგრამ, მიუხედავად ასეთი მიღწევისა, ჯერ კიდევ სრულად ვერ კმაყოფილდება გაზრდილი მოთხოვნილება, ეს განსაკუთრებით ითქმის ხარისხობრივ მიჩვენებულზე. სკკპ XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნემა აღნიშნა, რომ მართალია ხუთი წლის მანძილზე აშენდა უამრავი მსუბუქი და კვების მრეწველობის ათასამდე საწარმო, ბევრად გაიზარდა მოსახლეობისათვის სასურსათო და განსაკუთრებით სამრეწველო საქონლის მიყიდვა, მაგრამ ვერ ვაკმაყოფილებთ მოსახლეობას „ბ“ ჯგუფის დარგების მომსახურებით.

„მსუბუქი, კვების მრეწველობისა და მომსახურების სფეროსათვის, თქვა ლ. ი. ბრეჟნემა, საკმარისად არ იზრუნეს ჩვენმა ცენტრალურმა საგეგმო და სამეურნეო ორგანოებმა. ამდენად, უფლება გვაქვს მოვკითხოთ მინისტრებს, რომლებსაც მინდობილი აქვთ ამ დარგების ხელმძღვანელობა, აგრეთვე იმათ ვინც ვერ შეასრულა თავისი ვალდებულებანი ახალ სიმძლავრეთა დროული ამოქმედების საქმეში და ვერ უზრუნველყო ეს დარგები მაღალხარისხოვანი მოწყობილობით, ნედლეულით“.

შეეხო რა ლ. ი. ბრეჟნევი გამოშვებული პროდუქციის ხარისხის მნიშვნელობას, ფაქტების მოშველიებით დაადასტურა, რომ „შარშან (გულისხმობდა 1975 წელს, მ. რ.) ტყავის ფეხსაცმლის გამოშვებამ შეადგინა დაახლოებით 700 მილიონი წყვილი, თითქმის სამი წყვილი ერთ კაცზე და თუ ჯერ ვერ ვაკმაყოფილებთ მოთხოვნებს ფეხსაცმელზე, საქმე რაოდენობა კი არა, არამედ ის არის, რომ გვაკლია მაღალხარისხოვანი მოდური ფეხსაცმელი“⁴; ანალოგიური მდგომარეობა აღინიშნა მრავალი სახეობის ქსოვილების, შეკერილი და საგალანტერიო ნაწარმის, საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ავეჯისა და სხვა პროდუქციის შესახებ. იქვე ითქვა, რომ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივალწევთ „ბ“ ჯგუფის მყარ აღმავლობას და საქონლის ხარისხის მომსახურების სფეროს გაუმჯობესებას, თუ არ განვამტკიცებთ მსუბუქი და კვების მრეწველობის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ტექნიკური ბაზა და ამ სფეროში არ დავნერგებთ თანამედროვე მეცნიერებისა და კონსტრუქტორული აზრის მიღწევებს“.

მსუბუქი მრეწველობა საქართველოს ძველი დარგია. იგი XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე თითქმის წვრილი შინამრეწველური საწარმოების სახით არსებობდა.

1812 წლის მონაცემებით თბილისელ ვაჭრებს ყოველწლიურად 300 ფუთამდე აბრეშუმის პარკი და ნართი გაჰქონდათ რუსეთისა და უცხოეთის ბაზრებზე. ამავე პერიოდში მნიშვნელოვანი რაოდენობის მატყლი და ტყავი გადიოდა საქართველოდან. სამაგიეროდ, საქართველოში შემოჰქონდათ მსუბუქი მრეწველობის მზა პროდუქცია რუსეთიდან და უცხოეთიდან. ცარიზმის პირობებში საქართველოში, ისე როგორც რუსეთის სხვა ყველა განაპირა ქვეყნებში, არ არსებობდა არავითარი საწარმო ან გაერთიანება, რომელიც დაამ-

³ Е. А. Афанасевский, «Легкая промышленность: экономические проблемы размещения», М., 1976, с. 8.

⁴ სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 74.

⁵ იქვე, გვ. 75.

⁶ იქვე.

ზადებდა მსუბუქი მრეწველობის რაიმე პროდუქციას. ეს ქვეყნები წარმოადგენდნენ მხოლოდ ნედლეულის ბაზებს და გასაღების ბაზარს რუსეთის სამრეწველო რაიონებისათვის.

მსუბუქი მრეწველობის მკვეთრ განვითარებას საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. „1921 წლის გაზაფხულზე საბჭოთა რუსეთმა საბჭოთა საქართველოს უსასყიდლოდ გადასცა მუდის ფაბრიკის გაწყობილობა, რომელიც იმავე წელს გადმოიტახეს ქ. ქუთაისში. ეს ფაბრიკა 1924 წელს ამუშავდა და 1924/25 წწ განმავლობაში მან 24680 მეტრი დამუშავებული და 47833 მეტრი მოუთელავი მუდი, აგრეთვე 2241 ფუთი ნართი დაამზადა“⁷. საგულაბნოა აღინიშნოს, რომ ამავე პერიოდისათვის საქართველოს მსუბუქ მრეწველობაში ტყავფეხსაცმელის სამი საწარმოც იყო მწყობარში, სადაც 269 მუშა მუშაობდა. შეიძლება სწორედ ამის გამოც 1925 წლის ნოემბერში საქართველოს კვ IV ყრილობაზე აღინიშნა, რომ ჩვენს რესპუბლიკას ყველა პირობა გააჩნდა მსუბუქი მრეწველობის დარგთა განვითარებისათვის.

ცნობილია, რომ მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი უმსხვილესი დარგია საფეიქრო მრეწველობა და მას პირველი ადგილი უკავია როგორც საერთოდ პროდუქციის მოცულობაში, ასევე მუშახელის და ძირითადი ფონდების ოდენობით. პირველი მსოფლიო ომის, სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის შედეგად მთლიანად მოიშალა ქვეყნის მეურნეობა, მრეწველობის თითქმის ყველა დარგი. საფეიქრო მრეწველობა დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. მან მხოლოდ ლოციალიზმის პირობებში შეძლო ფეხის მოკიდება და შემდგომ დიდი წარმატებების მოპოვება.

საფეიქრო მრეწველობაში თანდათანობით განიდევნა და შეიცვალა საზღვარგარეთული მანქანები სამამულო მანქანებით, ხოლო მცირე მწარმოებლური დაზგა-მანქანები ჩქარსელიანი და მწარმოებლური მანქანა-დანადგარებით⁸. დაიწყო სათანადო სახსრების გამოყოფა საფეიქრო მრეწველობის ახალ მშენებლობებზე. ასე მაგ.; 1923/24 წელს თუ ასეთ მშენებლობებში 109 ათასი მანეთი იყო დაბანდებული, 1927/28 წლებისათვის მან შეადგინა 2,3 მლნ მანეთი. ხოლო, სულ 5 წლის განმავლობაში საფეიქრო მრეწველობაში ახალ მშენებლობას კაპიტალდაბანდებათა სახით 6,6 მლნ მანეთი მოხმარდა. აქედან — მუდუცამოლის მრეწველობას 4 მლნ მანეთი და აბრეშუმის მრეწველობას — 2,5 მლნ მანეთზე მეტი⁹.

ვითარდებოდა რა აბრეშუმის მრეწველობაც, 1929 წლისათვის საქართველოში უკვე მუშაობდა აბრეშუმის ხუთი ძაფსაღები ფაბრიკა; ამავე წელს ამოქმედდა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, ხოლო 1933 წელს კი — ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი.

1926 წელს დაიწყო მშენებლობა და 1930 წელს ექსპლოატაციაში შევიდა შალეულის ქსოვილების მეორე მსხვილი საწარმო — თბილისის მუდის

⁷ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1961, პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით, თბ., 1961, გვ. 144.

⁸ გ. ბ ა ხ ტ ა ძ ე, საფეიქრო მრეწველობის ეკონომიკა, თბ., 1974, გვ. 15.

⁹ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობა (სტატისტიკის კრებული), თბ., 1959, გვ. 13.

ფაბრიკა, რომელიც 1953 წელს თბილისის მულდ-კამვოლის კომბინატად გადაკეთდა.

1933 წელს რამდენიმე ტრიკოტაჟის საწარმოს გაერთიანების ბაზაზე შეიქმნა ერთი მსხვილი ფაბრიკა „საქტრიკოტაჟი“. 1926—1929 წლებში ამუშავდა თბილისის № 1 და № 2 სამკერვალო ფაბრიკები, რის შედეგადაც საქართველოს მსხვილ სამკერვალო მრეწველობის პროდუქცია 1932 წელს, 1928 წელთან შედარებით, რამდენჯერმე გაიზარდა.

აღნიშნული მონაცემებით დასტურდება, რომ საქართველოს მსუბუქი მრეწველობა პირველ ხუთწლედში მაღალი ტემპებით ხასიათდებოდა. I ხუთწლედში გამოშვებული იქნა 3068 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი, 2859 ათასი მეტრი შალის ქსოვილი და 3049 ათასი წყვილი ფეხსაცმელი¹⁰.

არა ნაკლები ტემპით ვითარდებოდა საქართველოს მსუბუქი მრეწველობა მეორე ხუთწლედშიც. უკვე 1937 წელს, 1932 წელთან შედარებით, მსხვილი საფეიქრო მრეწველობის პროდუქცია 2,1-ჯერ გაიზარდა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მსუბუქი მრეწველობის მთელი ნამატის 98 % II ხუთწლედში მიღებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ რეკონსტრუირებულ და ექსპლუატაციაში ახლად შესული საწარმოების ხარჯზე¹¹. ამასთან, ჩვენი რესპუბლიკის საფეიქრო და ფეხსაცმლის მრეწველობის პროდუქციის მაჩვენებლების შედარებამ საკაეშირო მაჩვენებლებთან დაგვარწმუნა რესპუბლიკის ამ დარგთა განვითარების მაღალ ტემპებში. ასე მაგ., 1928—1940 წწ. სსრ კავშირში შალის ქსოვილის წარმოება 37,8 %-ით, აბრეშუმის კი 8-ჯერ გაიზარდა, საქართველოში კი 1937 წელს, 1932 წელთან შედარებით, შალეულის მრეწველობა 61 %-ით, აბრეშუმის—185 %-ით, ხოლო ტყავ-ფეხსაცმლის მთლიანი პროდუქცია—226 %-ით გაიზარდა.

კარგი შედეგები გვაქვს მესამე ხუთწლედს სამ წელიწადშიც. „საფეიქრო მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1940 წელს, 1937 წელთან შედარებით 42,5% -ით გაიზარდა.

ბუნებრივია, სამამულო ომმა, როგორც სხვა მთელი რიგი დარგებისა, ასევე მსუბუქი მრეწველობის დარგის პროდუქციის გამოშვებაც საგრძნობლად შეაფერხა, მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო საქართველოს მსუბუქი მრეწველობის აღდგენა-აღმავლობა და 1950 წელს მისი მთლიანი პროდუქცია 45,7 %-ით სჭარბობდა 1945 წლის დონეს და 18 %-ით აღემატებოდა 1940 წლის შესადარის მაჩვენებელს.

დადებითი შედეგებით ხასიათდება აგრეთვე მე-4 და მე-5 ხუთწლედში საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის ზრდის ტემპები და მისი მთლიანი პროდუქცია, რადგან იგი 1955 წელს, 1937 წელთან შედარებით, 28-ჯერ და უფრო მეტად გადიოდა, 1940 წელთან შედარებით კი თითქმის — 1,7-ჯერ.

მსუბუქმა მრეწველობამ მორიგ აღმავლობას მე-6, მე-7 და მე-8 ხუთწლედებში მიიღწია, როდესაც თანდათან უფრო მკვეთრად წყდებოდა სოფლის მეურნეობის დარგთა განვითარების საკითხები. ცნობილი ფაქტი გახდა, რომ მსუბუქი მრეწველობის (მათ შორის საფეიქრო მრეწველობის) დარგთა გან-

¹⁰ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობა (სტატისტიკის კრებული), თბ., 1959, გვ. 14.

¹¹ იქვე.

ეთიარება ბევრადაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის პროდუქციათა ნედლეულის სიუხვესა და მის მაღალ წარმოებაზე.

1970 წელს, 1940 წელთან შედარებით, საქართველოს სსრ მსუბუქი შრეწველობა გაიზარდა 5,2-ჯერ, კერძოდ, საფეიქრო მრეწველობა — 6,4-ჯერ, მათ შორის ბამბის ქსოვილებისა თითქმის — 22-ჯერ, შალისა — 7,2-ჯერ, აბრეშუმისა — 3,2-ჯერ, ტყავ-ბეწვეულისა და ფეხსაცმლის წარმოება — 2,2-ჯერ და სხვ¹².

გაფართოვდა ამ დარგთა საწარმოო მშენებლობანი. გაიზარდა პროდუქციის ასორტიმენტი და ამაღლდა მისი ხარისხი. საფეიქრო მრეწველობაში მნიშვნელოვანი ადგილი დიკავა აბრეშუმის ქსოვილთა წარმოებამ. ადრე თუ აბრეშუმის პარკი, მატყელი და ტყავეულობა დასამუშავებლად საქართველოს გარგთ იგზავნებოდა, ამჟამად იგი ჩვენივე რესპუბლიკის ქალაქების ფაბრიკა-ქარხნებში მზადდება.

1950—1968 წლებში საფეიქრო მრეწველობის მთლიანი პროდუქცია დაახლოებით 4,2-ჯერ გადიდა. 1968 წელს სამკერვალო მრეწველობის მთლიანი პროდუქცია დაახლოებით 3,7-ჯერ, ხოლო ტყავის, ბეწვეულის და ფეხსაცმლის მრეწველობის ასეთივე მაჩვენებელი 2,4-ჯერ აღემატებოდა 1950 წლის შესადარის მაჩვენებელს. ამ ციფრობრივი მონაცემების ანალიზის შემდეგ აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი სწორ დასკვნას აკეთებს, რომ „ტყავისა და ფეხსაცმლის წარმოების ზრდის ტემპები მრეწველობის სხვა პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპებთან შედარებით უფრო დაბალია, რაც უმთავრესად სოფლის მეურნეობრივი ნედლეულის ბაზის რამდენადმე ჩამორჩენილობით აიხსნება“¹³.

სსრკ პარტიის XXV ყრილობასა და საქართველოს კვ XXV ყრილობაზე, ასევე მათი ცენტრალური კომიტეტების მორიგ პლენუმებზე არა ერთხელ აღინიშნა, რომ სოციალიზმის დროს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები საზოგადოებრივი პროგრესის დაჩქარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, საამისოდ იგი ქმნის ობიექტურ პირობებსა და შესაძლებლობებს, მაგრამ ამისათვის საჭიროა ადამიანები, კადრები, რადგან სწორედ ისინი წარმოადგენენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მამოძრავებელ ძალას. ამასთან დაკავშირებით ამხ. ე. შევარდნაძემ საქართველოს კვ XVII პლენუმზე აღნიშნა, რომ „რაც უფრო უკეთ და ღრმად სწვდება ადამიანი ობიექტურ კანონებს, მით უფრო ეფექტიანი ხდება მისი საქმიანობა, მით უფრო მეტად მადლდება საზოგადოებრივი განვითარების სუბიექტური ფაქტორის როლი“¹⁴. მანვე საილუსტრაციოდ მოიყვანა მაგალითი, რომ აბაშის რაიონი ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი იყო რესპუბლიკაში, მაგრამ ხელმძღვანელი კადრების გარჯისა და მიზანდასახული საქმიანობის მეოხებით გადაიქცა ერთ-ერთ მოწინავე რაიონად. იმავე ადამიანებმა, იმავე მიწამ, იმავე შრომის იარაღებმა, დასძინა

¹² საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა (1922—1972), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წ/კორესპონდენტი, პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით, თბ., 1972, გვ. 150.

¹³ იქვე, გვ. 151.

¹⁴ ე. შევარდნაძე, კადრებთან მუშაობა თანამედროვე ამოცანების დონეზე, მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წ. 26 ოქტომბერს. თბ., 1980, გვ. 17.

ე. შევარდნაძემ, შექმნეს ახალი, უფრო ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, რის შედეგადაც გაჩნდა ახალი რეალური პირობები რომელშიც უფრო რთული ამოცანები გადაიჭრა და საგრძნობი წარმატებებიც იქნა მიღწეული.

1979 წელს, 1972 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება წინასწარ გაანგარიშებით ერთიორად და მეტად გაიზარდა, თანაც მისი მატების საშუალო-წლიურმა ტემპმა შეადგინა 10,2 პროცენტი ანუ 1,3 პროცენტით მეტი საშუალო რესპუბლიკურთან შედარებით. ასეთი ზრდა იმის შედეგად არის მიღწეული, რომ მნიშვნელოვნად გადიდდა სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება: სიმინდის მარცვლის — 2,7-ჯერ ბოსტნეულის — 14,2, ხორცის — 2,2, რძის — 68 პროცენტით¹⁵.

ცნობილია, რომ — 1972 წელს ანაზღაურების სახით 866 ტონა სიმინდი გაიყა, 1978 წელს ამ ციფრმა უკვე 7552 ტონას მიაღწია¹⁶.

თუ ანალიზს გავუკეთებთ სოფლის მეურნეობაში საერთოდ და კერძოდ მეცხოველეობაში მიღწეულ წარმატებებს, უნდა ვირწმუნოთ, რომ მომავალში მსუბუქი მრეწველობის დარგებშიც მკვეთრი ტემპით წარიმართება სამრეწველო წარმოება, რადგან ცნობილ ეკონომისტთა შეხედულებათაგან ნათელი გახდა რომ ამ დარგთა განვითარება პირდაპირ და უშუალო კავშირშია მეცხოველეობის განვითარებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩინია, რომ სათანადო ორგანიზება უფრო ღრმად შეისწავლონ რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში არსებული პირობები და სადაც მეცხოველეობის განვითარების მაღალი დონეა შესაძლებელი, უზრუნველყოთ მუშაობაში აბაშის რაიონის მსგავსი მეთოდების დანერგვა. საეფგმო კომიტეტთან ერთად კაბდაბანდების გეგმების შემუშავებისა და შედგენისას უთუოდ უნდა გაითვალისწინონ საერთოდ მსუბუქი მრეწველობის დარგის და კერძოდ ტყავეულისა და ფეხსაცმლის წარმოების ობიექტების მშენებლობა აბაშისა და სხვა მის მსგავს რაიონებში, სადაც ანალოგიური ღონისძიებანი გატარდა და გარკვეული მიღწევები აქვთ როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე მეცხოველეობის განვითარების მხრივ. ამასთან, განსაკუთრებით გამახვილებული იქნეს სახბანკის და მშენებანკის დაწესებულებათა ყურადღება, რათა მათ მიერ ამ დარგის კაბდაბანდების გეგმებისა და საპროექტო ნუსხური დოკუმენტაციების მიღებისა და განხილვის დროს აწარმოონ შეუფერხებელი დღიანსება დაკრედიტება (განსაკუთრებით ტყავეულისა და ფეხსაცმლის წარმოებათა) მშენებლობასა და რეკონსტრუქცია-გაფართოებაზე იმ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც მეცხოველეობის დარგმა იწყო მკვეთრი განვითარება. განსაკუთრებული საფინანსო, საინჟინრო-ტექნიკური კონტროლი განახორციელონ მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმების დაცვასა და საწარმოო სიმძლავრეთა დაწესებულ ვადებში შესვლაზე. მათვე არ დაუშვან ფინანსირება ისეთ ქალაქსა და რაიონში, სადაც საამისო ბაზა არ არის, ნედლეულის ნაკლებობა და წარმოებაც არ იქნება რენტაბელური. ასეთი ღონისძიების გატარებით უთუოდ ტყავეულისა და ფეხსაცმლის წარმოებას, მსგავსად სხვა

¹⁵ იქვე, გვ. 18.

¹⁶ იქვე.

დარგებისა, მაღალი ტემპით განვითარდება და ამ ნაწილში არსებული გარღვევაც გამოსწორდება.

მეტად დიდი და მნიშვნელოვანია საფინანსო საკრედიტო ორგანოების წინაშე მდგომი ამოცანები. კერძოდ, ფინანსთა სამინისტრო მოწოდებულია უზრუნველყოს ფინანსური რესურსების გამოყენება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლებისა და კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, უზრუნველყოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენა და მისი შესრულების სამუშაოთა ორგანიზაცია და რაც მთავარია, განახორციელოს სათანადო კონტროლი სახელმწიფო-ფინანსური დისციპლინის დაცვაზე. ასევე დიდი და მნიშვნელოვანია სახბანკის და მშენბანკის დაწესებულებათა როლი და ფუნქციები. სახელმწიფო ბანკი მოწოდებულია მოახდინოს დროებითი თავისუფალი სახსრების აკუმულაცია, მოკლევადიანი დაკრედიტება, სოფლის მეურნეობის და სამომხმარებლო კოოპერაციის კაპიტალურ დაბანდებათა დაკრედიტება, დაფინანსება, ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის გრძელვადიანი დაკრედიტება სოფლად, სახალხო მეურნეობის და სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო მომსახურება, ანგარიშსწორება სოციალისტურ საზოგადოებაში და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი.

რაც შეეხება მშენბანკს, მისი დაწესებულებანი მოწოდებულნი არიან უზრუნველყონ მშენებლობაზე კაპიტალურ დაბანდებათა სწორი დაფინანსება და დაკრედიტება; ძირითადი ფონდების და სიმპლავრების მოქმედებაში დაწესებულ ვადაში გადაცემასა და კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულებაზე სათანადო კონტროლი; აგრეთვე, კონტროლი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებაზე, კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებისათვის გათვალისწინებული სახსრების დროულ შემოსავალსა და შიდასამეურნეო რეზერვების მობილიზაციაზე, მშენებლობაში ნუსხურ საგეგმო და ფინანსური დისციპლინის დაცვაზე. მათვე ევალებათ მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის სახელმწიფო საწარმოთა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო მშენებლობის, ვაჭრობის დაფინანსება და გრძელვადიანი დაკრედიტება და სხვ.

რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო, სახბანკისა და მშენბანკის დაწესებულებანი სათანადო რესპუბლიკურ საკონტროლო ორგანოებთან ერთად ყოველწლიურად ამოწმებენ და იხილავენ სხვადასხვა სამინისტროთა, მათ შორის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებს, ჯერ თვით ხდიან მსჯელობის საგნად და შემდგომ კი წარდგინებებს უკეთებენ მინისტრთა საბჭოს სამინისტროს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით სათანადო ღონისძიებათა გასატარებლად. მსუბუქი მრეწველობის მაგალითზე შეიძლება დავრწმუნდეთ საფინანსო და საკრედიტო ორგანოების მიერ გატარებულ ღონისძიებებსა და განხორციელებული კონტროლის მნიშვნელობაზე. იკვლევენ გეგმის ზევით სამრეწველო პერსონალის შენახვის, ხელფასის ფონდის გადახარჯვის და კადრების დენადობის ფაქტებს და მათ გამომწვევ მიზეზებს. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ყოველივე ამის კვლევა მიმდინარეობს თვით მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი წლიური ანგარიშგებისა და ბალანსების საფუძველზე, მათ ფარგლებში და არა ამ მასალების გადამოწმების შედეგად. გაწეული კონტროლი რომ უფრო ეფექტური იყოს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მაკონტროლებელ-

მა ორგანოებმა, კერძოდ ფინანსთა სამინისტრომ და ბანკებმა, ანალოზი აკეთონ და სათანადო დასკვნა გამოიტანონ წარმოდგენილი მასალების გადამოწმების შემდეგ და არა მხოლოდ მათი განხილვის საფუძველზე. ჩვენი აზრით, ამ მეთოდით, კიდევ უფრო ღრმად ჩაწვდებიან სხვა სამინისტროების მუშაობაში დაშვებული ხარვეზების გამოწვევ მიზეზებს და შესაძლებლობა ექნებათ უფრო კონკრეტული რეკომენდაციით წარდგენ მთავრობის წინაშე ამათუ იმ ღონისძიების გასატარებლად.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ როგორც ფინანსთა სამინისტრო, ასევე ბანკებიც თავიანთ ზემდგომი ორგანოებიდან იღებენ სათანადო პროგრამებს, რომლებითაც ხელმძღვანელობენ ცალკეული დარგების თუ ობიექტთა შემოწმების პროცესში ან ჩამორჩენილ საწარმოთა მიზეზებს არკვევენ შერჩევით და თავს მხრივაც ადგენენ გეგმებს, სად, რომელი ობიექტი როდის შემოწმდეს. მაგრამ არა გვგონია ასეთმა შემოწმებამ მოიცვას ყველა მხარე და მაჩვენებელი, ამიტომ, რადგან იგი მაინც შერჩევითა და არა მთლიანი, სამინისტროს მიერ წარმოდგენილი წლიური ანგარიშების და ბალანსის მლიანად გადამოწმება მეტ ეფექტს გამოიწვევდა და აამაღლებდა მათ ავტორთა პასუხისმგებლობას. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ბოლო ორი და სამი წლის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, შემდეგ სურათს ვნახავთ: სასაქონლო პროდუქციის 1976 წლის რეალიზაციის გეგმა სამინისტრომ შეასრულა 1119,2 მლნ მანეთის ანუ 101,3 %-ით; საერთო პროდუქციის კი—1125,6 მლნ მანეთის მოცულობით, ანუ—101,7 %-ით; სავაჭრო ქსელზე სარეალიზაციოდ გაცემულ იქნა სახალხო მოხმარების საქონელი 1015 მლნ მანეთის ოდენობით, ანუ დადგენილ გეგმაზე 7,3 მლნ მანეთით მეტი.

არსებობდა შემდეგი ხარვეზები: არ სრულდებოდა ცალკეული სახის პროდუქციათა წარმოების გეგმა, კერძოდ მზა ბამბეულის ქსოვილის მატყლის ნართის მზა შალეულის ქსოვილის, ხალიჩების ნაწარმის და ტრიკოტაჟის.

ხსენებულ გეგმათა შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზებია: ფონდების მოქმედებაში შესვლის ვადების დარღვევა და მოქმედი საწარმოო სიმძლავრეების არა სრულად გამოყენება, რაც განპირობებულია საწარმოს სამუშაო რეჟიმის დარღვევით, მუშათა დაბალი კვალიფიკაციით და დაბალი შრომის ნაყოფიერებით, ტექნიკური შეიარაღებისა და აღჭურვილობის ნელი ტემპით და მოძველებული მოწყობილობების დროულად შეუსვცვლელით, აგრეთვე კადრების დენადობით.

რეალიზაციის პროცესში დაბალ ხარისხში იქნა გადატანილი და დაუბრუნდა შესასწორებლად 19,7 % საქონელი, მათ შორის ქალისა და მამაკაცის წინდების ნაწარმი—22,5 %, ტყავის ფეხსაცმელი—22 %, სატრიკოტაჟო ნაწარმი 21,5 %, საფეიქრო საგალანტერო ნაწარმი—21,5 %, სამკერვალო ნაწარმი—16 %, ქსოვილების—14,8 %, ბეწვეულის—14,7 % და ტყავგალანტერიის—11,9 %. დამზადებული პროდუქციის ნაწილის უხარისხობის მიზეზია დაბალი საწარმოო ტექნოლოგიური დისციპლინა, მუშათა კადრებისა და სპეციალისტთა დაბალი კვალიფიკაცია, ტექნოლოგიურ მოწყობილობათა უმეთვალყურეობა და მათი ექსპლუატაციის წესების დარღვევა. ანალოგიური მდგომარეობა იყო 1977, 1978, 1979, წლებშიც. თუ მხედველობა-

ში არ მივიღებთ ზოგ სახეობაში მიღწეულ წარმატებებს. ფინანსთა სამინისტრომ, სხვა საფინანსო საკონტროლო ორგანოებთან ერთად როგორც წინა, ასევე უკანასკნელ წლებში, მიმართა საქართველოს მთავრობას და მიაღწია მათ მხრივ დადგენილებათა მიღებას მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებათა გასატარებლად¹⁷.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ მეათე ხუთწლეულის სამი წლის განმავლობაში (1976, 1977, 1978 წლებში) რეალიზებულია ზეგეგმითი პროდუქცია 43,05 მანეთის ანუ გეგმის 1,2 % და წარმოებულ იქნა საერთო პროდუქცია 36,8 მლნ მანეთის ანუ გეგმის 1 %. მნიშვნელოვნად გადიდა ნაწარმის გამოშვება სახელმწიფო ხარისხის ნიშნით, რომლის ხვედრითმა წილმა შეადგინა 12 %, 1977 წლის 3 %-ისაგან განსხვავებით. გაუმჯობესდა ფონდუქუებაც. ძირითადი საწარმოო ფონდების ერთ მანეთზე პროდუქციის გამოშვებამ 1978 წელს, 1977 წელთან შედარებით შეადგინა 4 მანეთი და 91 კაპიკი ანუ გაიზარდა 9 კაპიკით. განვიხილოთ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაზით სახელმწიფო კაპდაბანდების გეგმის შესრულება მეათე ხუთწლეულის განვლილი ოთხ წელიწადში:

ცხრილი 1¹⁹

კაპიტა ლდაბანდების შესრულება მე-10 ხუთწლეულის ოთხ წელიწადში საქართველოს სსრ მსუბუქ მრეწველობაში

წლები	კაპიტა ლდაბანდა ათას მანეთებში		წესდება გეგმის რულება	საშუალო-სამონტაჟო სამუშაოები ათას მანეთებში		გეგმის შესრულება %
	გეგმა	შესრულება		გეგმა	შესრულება	
1976	15099	12171	80,6	8650	6153	71,1
1977	22820	21236	93,5	8460	7389	87,3
1978	30466	29147	95,7	9865	9225	93,5
1979	25222	24805	98,3	5820	6617	136,9
სულ	93607	87359		32795	29384	
საშუალო წლიური		21840			7346	

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, ხუთწლეულის მეორე ნახევარში საგრძნობლად გაიზარდა კაპდაბანდება. ასე მაგალითად, 1976, 1977 წლებში თუ იგი 37919 ათასი მანეთი იყო, 1978, 1979 წლებში 55788 ათასი მანეთი შეადგინა ანუ 17669 ათასი მანეთით მეტი. ამასთან, შესრულებული კაპდაბანდების საშუალო წლიურ თანხას—21840 მანეთს თუ საშუალო სამონტაჟო-

¹⁷ Материалы годового отчета Министерства легкой промышленности Грузинской ССР за 1976 г. по отделу финансирования промышленности легкой, местной и бытового обслуживания Министерства финансов ГССР, Тбилиси, 1976.

¹⁸ იხ. წლიური ანგარიშები (1976, 1977, 1978, 1979 წწ) საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური ბუღალტერია.



ყო სამუშაოებზე დახარჯულს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ეს უკანასკნელი მხოლოდ ერთ მესამედს უდრის, დანარჩენი ორი მესამედი კი მოწყობილობასა და ტექნიკურ აღჭურვაზე იხარჯება და ეს სწორიცაა, რადგან, როგორც ჩანს, საგვემო ორგანოებმა სწორად იხელმძღვანელეს სკკპ XXV და საქართველოს კპ XXV ყრილობათა გადაწყვეტილებებით რომ „წარმოებრივი სიმძლავრის გადიდება მოქმედი საწარმოების გაფართოებისა და რეკონსტრუქციის გზით გაცილებით უზრუნველყოფს წარმოების სწრაფ ზრდას, შრომის მწარმოებლურობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და ისიც შედარებით ნაკლები კაპიტალური დაბანდებით, ვიდრე ახალი მშენებლობა. ეს განპირობებულია მნიშვნელოვანი ზომით, იმით რომ საწარმოს გაფართოებისა და რეკონსტრუქციის მოწყობილობათა დანახარჯების წილი მატულობს, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე კლებულობს, რაც ხელს უწყობს კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობის ამაღლებას¹⁹.

ჩვენი აზრით, სწორედ საკითხის ასეთმა გადაწყვეტამ განაპირობა რესპუბლიკის მსუბუქ მრეწველობაში პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგების დიდი მასშტაბებიც.

ცხრილი 2

პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგების მაჩვენებლები საქ. სსრ მსუბუქ მრეწველობაში მე-10 ხუთწლედის ოთხ წელიწადში

წლები	პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგება		შესრულების პროცენტი
	გველა ათას მანეთებში	ფაქტიური შესრულება ათას მანეთებში	
1976	70597	73194	103,7
1977	69332	69249	99,9
1978	72938	81228	111,36
1979	86967	98854	113,7

მე-2 ცხრილიდან ჩანს, რომ 1979 წლისათვის 1976 წელთან შედარებით, რეალიზებული პროდუქციის შედეგად მიღებულმა მოგებამ საგრძნობლად იმატა, მან 73194 ათასი მანეთიდან შეადგინა 98854 ათასი მანეთი, რაც ზემოთქმულის დადასტურებაა.

რიგ ნაკლოვანებებთან ერთად ერთ-ერთ მიზეზად ზემოთ აღნიშნული იყო კადრების დენადობის ფაქტიც, რასაც ყოველწლიურად აქვს ადგილი მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში. მუშათა კადრების და სპეციალისტთა შენარჩუნების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად, ჩვენი აზრით, უნდა ჩაითვალოს სამუშაო და საბინაო პირობების გაუმჯობესების და მატერიალური სტიმულირების ფორმების სრულყოფა. სამინისტროს მუშაკთა საბინაო პირობების უკანასკნელი სამი წლის ანალიზმა გვიჩვენა, რომ რესპუბლიკაში არაპროპორციულადაა საცხოვრებელი ბინების მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრები და ამასთან, არასაკმაო ოდენობით კმაყოფილებიან მუშაკები ბინით. ამ დარგშიც ხარვეზების აღმოფხვრა გარკვეულ წვლილს შეიტანდა

¹⁹ სსრ ფინანსები, ავტორთა კოლექტივი პროფ. ი. დ. ზღაბინის ხელმძღვანელობით, ქართული თარგმანი აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. ჩანტლაძის რედაქციით, თბ., 1977, ვვ. 343.

იმ საერთო ღონისძიებათა შორის, რასაც სამინისტრო ახორციელებს სისტემაში ხარისხიანი პროდუქციის გამოშვებისა და რენტაბელობის გაზრდის მიზნით, რადგან ეს უკანასკნელი პირდაპირ კავშირშია სპეციალისტების ადგილზე დამავრებასა და საერთოდ კადრების დენადობის მინიმუმამდე დაყვანასთან. კადრების დენადობას ისიც იწვევს, რომ საკუთარი სახსრებით აშენებული საუწყებო ბინები მალე გადადის აღმასკომთა კომუნალურ ფონდში და აღმინისტრაციას აღარ ძალუძს იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც თავისი განცხადებით ტოვებენ სამუშაოს, მოსთხოვოს საცხოვრებელი ბინების დატოვებაც, ვარდა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებისა. ცნობილია, რომ წარმოება-ორგანიზაცია ამ შემთხვევაში სამინისტრო, მაშინ ინარჩუნებს ასეთ უფლებას, როცა ბინა საუწყებოა. როგორც წესი, საუწყებო ბინაში მცხოვრები მუშაკი მანამდე სარგებლობს ბინით, სანამ საწარმოში მუშაობს, ან პენსიაზეა გასული და ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში უფლება აქვს დაიტოვოს ბინა. ამდენად საუწყებო ბინის (სამუდამოდ თუ არა) მუშაკის მიერ ბინის მიღებიდან 5 ან 10 წლამდე ვადით რომ რჩებოდეს ბინა სამინისტროს, საწარმოო ან ორგანიზაციათა განკარგულებაში, მაშინ ამ ხნის განმავლობაში მაინც შევინარჩუნებთ სპეციალისტთა კადრებს. ზემოთ მოტანილ მონაკვლევ მასალებიდან ისიც ჩანს, რომ კაპიტალდაბანდების გეგმები არც ერთ წელიწადს არ სრულდებოდა 100%-ით. მშენბანკის შემოწმების მასალებით დასტურდება ამ გეგმების შეუსრულებლობის შემდეგი მიზეზები: სამრეწველო მოედნების მოუმზადებლობა ტექნოლოგიურ და საერთო საქარხნო მოწყობილობათა მონტაჟისათვის, საშენი მასალებით და კონსტრუქციებით არარითმულად და არამთლიანად მომარაგება, კაპიტალდაბანდების სახსრების დაქსაქსვა მრავალ მშენებარე ობიექტებზე, დაუმთავრებელ მშენებლობათა ნაშთის გაზრდა, მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმების დარღვევა და უხარისხო მშენებლობანი.

თუ რაოდენ დიდია საფინანსო საკონტროლო ორგანოების და განსაკუთრებით მშენბანკის დაწესებულებათა როლი ამ ხარვეზების გამოვლენისა და აღმოფხვრის საქმეში და ამასთან, დაფინანსების ეფექტურობის ამაღლებაში, ამას მოწმობს თუნდაც ბოლო ერთი, ორი წლის განმავლობაში მათ მიერ გატარებული ღონისძიებებიც. ასე მაგალითად, შემოწმებით გამოვლინდა, რომ მულდკამეოლის კომბინატის ხაზით 1977 წლ ეს კაპიტალდაბანდებს გეგმა შესრულდა 62,7 %-ით (გეგმა იყო 4753 ათასი მანეთი, ფაქტიურად შესრულდა 2951 ათასი მანეთი), მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები 94% (გეგმა 2010 ათასი მანეთი. შესრულება 1890 ათასი მანეთი). ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთაგან აქ, ამ შემთხვევაში, კაპიტალდაბანდების შეუსრულებლობის მიზეზი იყო ტექნოლოგიურ და საერთო საქარხნო მოწყობილობათა მონტაჟისათვის მოუმზადებელი სამრეწველო მოედნები; ძალზე ნელა მიმდინარეობდა მონტაჟი ოსტოვის მსუბუქი მანქანების სამონტაჟო სამმართველოს მიერ, რამაც ვერ უზრუნველყო მთელი კომპლექსის მონტაჟი (1516 ათასი მანეთის მიღებული მოწყობილობიდან დამონტაჟდა მხოლოდ 742 ათასი მანეთის მოწყობილობა)²⁰. არაღამა-

²⁰ იხ. Дело о переписках с разными организациями за 1978 год по управлению финансированию и кредитования союзных и республиканских министерств и ведомств, письмо № 10—7 от 21 марта 1978 г.

ადამიანის ქცევაზე ზემოქმედების საშუალებებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ე. წ. უზრუნველყოფით საშუალებებს, როგორცაა, დარწმუნება, წახალისება, სამართლებრივი იძულება, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ამრიგად, ეკონომიკისა და სამართლის ურთიერთდამოკიდებულების გარკვევისას არ კმარა მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ სამართალი განპირობებულია ეკონომიკით და რომ სამართალი, თავის მხრივ, ზემოქმედებს ეკონომიკაზე. საჭიროა ამასთან ერთად აღინიშნოს ისიც, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში სამართალს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, კერძოდ, სამართლებრივი ფორმებისა და მეთოდების გამოყენების გარეშე შეუძლებელია მეურნეობის გეგმაზომიერად და მიზანდასახულად წარმართვა.

2. იმისათვის, რომ სამართალმა წარმატებით შეასრულოს ეკონომიკის სფეროში მის წინაშე დასახული ამოცანა — ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, საჭიროა იგი მთლიანად და მამასა-დამე მისი შემადგენელი ელემენტები — სამართლებრივი ნორმები, შემუშავდეს ეკონომიკურ კანონზომიერებათა გათვალისწინებით.

სამწუხაროდ, არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც იღებენ ეკონომიკურად დაუსაბუთებელ დადგენილებებს, გადაწყვეტილებებს, რის გამოც, მათი შესრულება ნაბიჯობით შეუძლებელი ხდება. ამის შესახებ მოკლედ, მაგრამ სავსებით ნათლად და გარკვევით მიუთითა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი თავის მოხსენებაში 1978 წლის ნოემბრის პლენუმზე. აი რა თქვა მან:

„...მეტისმეტად ზერელედ ხომ არ ეკიდებიან ცალკეული სამეურნეო ზღვამდევანელები პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს? სამწუხაროდ ეს ხდება ხოლმე. და მეორე, — ყოველთვის არის თუ არა ჭეროვნად დამუშავებული მიღებული დადგენილებანი, შეთანხმებულია თუ არა ისინი გეგმასთან, ფინანსურ და მატერიალურ რესურსებთან? ყოველთვის არა. ერთიც და მეორეც შეუთავსებელია მეურნეობის გეგმიან გაძლოლასთან. ასეთი მდგომარეობა უნდა გამოვასწოროთ“³.

როგორც ჩანს, ეკონომიკის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების მიღებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არამარტო სასურველი ეკონომიკური შედეგი, არამედ ასეთი შედეგის მიღწევის ობიექტური პირობები და შესაძლებლობანი. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ნორმატიული აქტების მოთხოვნები და მითითებები შეიძლება ვერ განხორციელდეს, რაც ეკონომიკას რომ თავი დავანებოთ სოციალურადაც საზიანოა, რადგან ავტორიტეტს ულახავს არამარტო ასეთ აქტს, არამედ მის მიმღებ ორგანოსაც. ცხადია, ასეთი ნორმატიული აქტის შესრულების იურიდიულ ვალდებულებებსაც არ გააჩნია საკმარისი საფუძველი. სწორედ ამიტომ პასუხისმგებლობის რაიმე ღონისძიების გატარება ისეთი დადგენილების თუ გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის, რომლისთვისაც არ არსებობდა სათანადო ობიექტური პირობები, დაუშვებელია.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკის წინსვლისა და განვითარების საქმეში სამართლის როლის, გადაფასება ისეთივე საშიშია, როგორც მისი შეუფასებლობა.

სამართალი, ეს უალრესად ეფექტიანი ინსტრუმენტი სახელმწიფოს ხელში. მაგრამ იგი არ არის აბსოლუტურად უნივერსალური საშუალება, რომელსაც შეეძლოს ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების შექმნა, ან არსებული ურთიერთობის გარდაქმნა. სამართალს რომ ასეთი უნარი ჰქონდეს, მაშინ ყველა ნაკლი და სიძნელე, რაც ეკონომიკის თუ რომელიმე სხვა სფეროში გვაქვს შეიძლებოდა ადვილად აღმოგვეფხვრა შესაბამისი კანონების და დადგენილებების მიღებით.

ამასთან დაკავშირებით, მცდარია ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულება, რომლის თანახმად სამართალი თითქოს იურიდიულად განამტკიცებს ობიექტურ ეკონომიკურ კანონებს

ეკონომიკური კანონი, როგორც ცნობილია, ობიექტურ კანონად იწოდება იმ თვალსაზრისით, რომ ის არ არის დამოკიდებული ადამიანის ნებაზე და შეგნებაზე.

იურიდიული კანონი ყალიბდება ადამიანის მიერ, გამოხატავს გაბატონებული კლასის ან, როგორც ეს ჩვენს ქვეყანაშია, მთელი ხალხის ინტერესებს. ამასთან ერთად, სამართალს შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს მხოლოდ ადამიანების ნებაზე და შეგნებაზე.

ამრიგად, ობიექტური ეკონომიკური კანონი, ისე როგორც ყოველგვარი სხვა ობიექტური კანონი საერთოდ, რამდენადაც ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად არსებობს, არ შეიძლება სამართლებრივი რეგულირების საგანი გახდეს.

³ ვაზ. „კომუნისტი“, 1978 წლის 27 ნოემბერი.

ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ სამართალს არაფერი ესაქმება ობიექტურ ეკონომიკურ კანონებთან. მიზანდასახული, შეგნებული და გეგმაზომიერი მეურნეობა შეუძლებელია ეკონომიკური კანონების შემეცნებისა და გამოყენების გარეშე. ამიტომ, ეკონომიკური შინაარსის სამართლებრივი ნორმების ეფექტიანობის პირველი და აუცილებელი პირობაა მათი შემუშავება ობიექტური ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა სრული გათვალისწინებით.

3. სკკპ XXVI და საქართველოს კვ XXVI ყრილობათა გადაწყვეტილებების შუქზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არამარტო სამართლებრივი ნორმების შემდგომ სრულყოფას, არამედ ამ ნორმების შესრულების უზრუნველყოფას. „ქარგი კანონი... — აღნიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე ახ. ლ. ი. ბრეჟნევი, — ჩვენ საკმაოდ გვაქვს მიღებული. ახლა საქმე უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ მათ ზუსტად და განუხრელად ვანხორციელებდეთ. ყოველი კანონი ხომ მხოლოდ მაშინ ცოცხლობს, როცა იგი სრულდება, — სრულდება ყველას მიერ და ყველგან“⁴.

კანონი რომ ზუსტად და განუხრელად განეხორციელოთ უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ კარგად ვიცნობდეთ მას. ამის გარეშე მისი განხორციელებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მიუხედავად ამისა, სამეურნეო დარგის ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი და სპეციალისტი არ იცნობს იმ კანონებს, დადგენილებებს თუ დებულებებს, რომლებიც უშუალოდ მათ საქმიანობას არეგულირებს. ავიღოთ მაგალითად დებულება საწარმოო გაერთიანების (კომბინატის) შესახებ. ამ დებულებაში განსაზღვრულია საწარმოო გაერთიანების მთავარი ამოცანები, საწარმოო გაერთიანების მართვის პრინციპები და წესი, მისი ქონების სამართლებრივი რეჟიმი, უფლებები და მოვალეობები დადგენის დარგში, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დარგში, კაპიტალური მშენებლობისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში, კადრების, შრომის, ხელფასის, ფინანსების, კრედიტისა და აღრიცხვის დარგებში; აქვე განსაზღვრულია საწარმოო გაერთიანებაში შემავალი საწარმოო ერთეულების უფლებები და მოვალეობანი, მათი დამოკიდებულება საწარმოო გაერთიანებასთან და ა. შ.

ბუნებრივია იზადება კითხვა, განა შეიძლება გაერთიანების (კომბინატის) მართვა ამ დებულებების ცოდნის გარეშე?

კანონების, დადგენილებების, დებულებების თუ სხვა ნორმატიული აქტების განუხრელად გატარებისთვის მარტო ამ აქტების ცოდნა რა თქმა უნდა არ კმარა. მაგრამ, ცხადია ისიც, რომ ასეთი ცოდნის გარეშე ლაპარაკიც კი ზედმეტია კანონების ცხოვრებაში გატარებაზე. ამიტომ, სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტებმა და ფაკულტეტებმა პარტიის XXVI ყრილობის მასალებიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ეკონომიკის სფეროში მოქმედი უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტების შესწავლას.

სკკპ XXVI ყრილობის მასალებიდან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ე. წ. უზრუნველყოფით სამართლებრივ საშუალებებს ანუ ისეთ საშუალებებს, რომლებიც მოწოდებულნი არიან უზრუნველყონ ნორმა-

⁴ ლ. ი. ბრეჟნევი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას და პარტიის მორიგი ამოცანების საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. თბ., 1981, გვ. 108.

ტიული აქტების მოთხოვნათა განუხრელი შესრულება. ასეთი საშუალებები დარწმუნება, წახალისება, იძულება. ამ უზრუნველყოფით სამართლებრივ საშუალებათა სწორად გამოყენება და მათი შეხამება აუცილებელია იმ ეკონომიკური ეფექტის მისაღწევად, რისთვისაც გამოიზნულია სამართლებრივი ნორმა.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: მოქმედი კანონმდებლობის თანახმად საწარმოს საგეგმო დავალბანი შეიძლება შეცვალოს ზემდგომმა ორგანომ, მხოლოდ გამოწვევის შემთხვევებში და მას შემდეგ, როცა ასეთი შეცვლა წინასწარ იქნება განხილული საწარმოს ადმინისტრაციასთან ერთად.

რა კონკრეტული ეკონომიკური ეფექტისათვის იყო გამოიზნული კანონით დადგენილი ეს წესი?

ეფექტი, რომლის მიღწევაც მიზნად ჰქონდა აღნიშნულ ნორმას ესაა საგეგმო დავალბათა სტაბილურობის უზრუნველყოფა, რაზედაც თავის მხრივ, დამოკიდებულია საწარმოს თუ გაერთიანების წარმატებული მუშაობა, აგრეთვე მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალური წახალისების მთელი სისტემის ეფექტიანობა.

მიუხედავად იმისა, ეს ნორმა ვერ გვაძლევდა სასურველ ეფექტს. საქართველოს სსრ სამეურნეო ორგანოების პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ არც ისე იშვიათია გეგმების შეცვლა მათი შემცირების მიზნით, საწარმოსა და გაერთიანებების მუშაობის ფაქტორი შედეგების მიხედვით ამ გეგმების მორგების შემთხვევაში. ამის შესახებ არაერთგზის აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. როგორც ჩანს იგივე ხდებოდა სხვა რესპუბლიკებშიც.

ამ არასასურველი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით გეგმების შემცირების საკითხი სხვანაირად რეგულირდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივნისის დადგენილებაში. ამ დადგენილებით შესაბამის ორგანოებს ევალებათ „უზრუნველყონ საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) და ორგანიზაციებისათვის დამტკიცებული წლიური და კვარტალური გეგმების სტაბილურობა, ამასთან, არ დაუშვან გეგმების შესწორება-შემცირება მისი შესრულების ფაქტიურ დონესთან გათანაბრების მიზნით.

დადგინდეს, რომ ასეთი შესწორება-შემცირებათა დაშვებისას სამინისტროების, უწყებების და მართვის სხვა ორგანოების ხელმძღვანელები, რომელთა ნებართვითაც შემცირდა საგეგმო დავალბანი, დადგენილი წესის შესაბამისად მიეცემიან დისციპლინურ და მატერიალურ პასუხისმგებლობაში, ზოლო გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკები კარგავენ პრემიას სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის მთლიან ან ნაწილობრივ, მაგრამ არანაკლებ 50 პროცენტის ოდენობით“⁵.

როგორც ვხედავთ, ადრე მოქმედი წესისაგან განსხვავებით, აქ ნორმის მოთხოვნა კარგადაა შეხამებული უზრუნველყოფის საშუალებასთან ასეთი შე-

⁵ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის დადგენილება „დადგენის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებას სამეურნეო მექანიზმის შემოქმედების გაძლიერების შესახებ“. თბ., 1979, გვ. 35.

ხამების გარეშე სამართლის ნორმა ყოველთვის სასურველ ეფექტს ვერ მოგვცემს.

როგორც აღვნიშნეთ, ნორმის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, გარდა სანქციისა, სამართალი ფართოდ იყენებს აგრეთვე ადამიანის ქცევაზე მოტივაციური ზემოქმედების ისეთ მძლავრ საშუალებებს, როგორცაა დარწმუნება და წახალისება. მხოლოდ ამ საშუალებათა სწორად და ურთიერთშეხამებულად გამოყენებას შეუძლია სასურველი ეფექტის გამოწვევა.

ასეთია მოკლედ ეკონომიკისა და სამართლის ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთი ასპექტი. სოციალისტურ საზოგადოებაში ამ ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებათა გაუთვალისწინებლად შეუძლებელია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში სამართლის როლის სწორად გასაზღვრა.

Г. ЛИЛУАШВИЛИ

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА КПСС И ПРАВО

Резюме

Советское право является важнейшим средством реализации экономической политики партии. Этим и обуславливается то большое внимание, которое уделил XXVI съезд КПСС усовершенствованию и реализации правовых норм, регулирующих хозяйственные отношения. Такие свойства права, как нормативность, формальная определенность, оперативность и правовое принуждение дают возможность внести в экономические отношения желаемую организованность и упорядоченность. Все отрасли права в той или иной степени воздействуют на экономику. При всем разнообразии правовых средств воздействия на экономику, которыми оперируют те или иные отрасли права, можно выделить такие способы воздействия, какими являются запрет, дозволение и обязывание. Поскольку этими средствами пользуются все отрасли права, они могут быть названы межотраслевыми.

Целенаправленное, планомерное и сознательное хозяйствование невозможно без познания и соответствующего использования экономических законов. Объективные экономические законы не могут быть предметом правового регулирования, ибо право может воздействовать на сознание и волю людей. Однако первым и необходимым условием эффективности правовых норм с экономическим содержанием является учет требований объективных экономических законов.

XXVI съезд партии особое внимание обратил на реализацию советских законов, необходимость неуклонного претворения в жизнь правовых норм, регулирующих экономические отношения. В связи с этим перед правовой наукой возникает задача обобщения практики применения отдельных важнейших правовых актов и исследование социально-правовых средств обеспечения их исполнения.

გიორგი ნაღარავილი, ღაკით ფურტელაძე

იონან ბატონიშვილის ერთი წინადადების თაკოზახე

საქართველოს, ქართლ-კახეთის სამეფოს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და სამეურნეო განვითარებამ XVIII ს. მეორე ნახევარში, მისმა შინაგანმა და საგარეო ვითარებამ, განაპირობა საფუძვლიანი რეფორმების საჭიროება. ამისდაკვალად XVIII—XIX სს. მიჯნაზე ქვეყნის მოჭირნახულეთაგან შემუშავდა კიდევ სათანადო კანონგანზრახულებანი. ამათ შორის იყო ცდა ქართული პოზიტიური სამართლის მთლიანი კოდფიკაციისა, მისთვის ახალი ნაკადის შექმნებით („სამართალი ბატონისშვილის დავითისა“); აგრეთვე ოციოდე ცალკე ნორმატიული აქტის დასახვა სახელმწიფო და კერძო ცხოვრების უფრო საჭირობოტო მხარეების მოსაწესრიგებლად (სამოქალაქოს სჯულღვილება“); დაბოლოს ერთიანი პროექტი არსებითი საკანონმდებლო ცვლილებებისა ძირითადად სახელმწიფო, აღმინისტრაციული და საფინანსო-საბიუჯეტო სამართლის დარგში. ამ განზრახულებათა შემოქმედნი შთაგონებული იყვნენ განათლებული აბსოლუტიზმის იდეებითა და პრაქტიკით, კერძოდ, მფარველ-მოკავშირე რუსეთის მაგალითით. ხოლო ამასთანავე, და საქმეს სხვაგვარად ვერც წარმოვიდგენთ, მათი მართლშეგნება იყვებებოდა ქვეყნის ტრადიციებით, მისი საუკუნოვანი კულტურულ-პოლიტიკური კავშირებით, თვითონ ავტორების, თუ შეიძლება ასე ითქვას, აღმოსავლურ-ევროპული განათლებითა და კულტურით. ეს პროექტები ძვირფასი წყაროა გვიანფოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილებისა და სამართლის, პოლიტიკური და იურიდიული აზროვნების, ერთობ ამ ხანის ისტორიის შესასწავლად.

ზემოთ აღნიშნულ კანონგანზრახულებათაგან მესამედ რომ გვიწერია, სხვებზე ერთი-ორი წლით ადრეა შედგენილი და გიორგი XII ვაჟს, კოდიფიკატორი დავითის უმცროსს ძმას იონან ბატონიშვილს ეკუთვნის. ეს „სჯულება“ ანუ „წინადადება“ თუ „ღონეა“ (ახლანდებურად ღონისძიებანი) „სარგებლობისათვის მიამულისა“ აღბეჭდილია აზრის სიმახელით და პრობლემების შემოქმედებით, ვაბედული ვადაჭრით, თავისთავადობითა და ცხოვრებისეულობით. იონან ბატონიშვილმა 1799 წლის 10 მაისს წარუდგინა კიდევ გიორგი XII თავის „რაოდენნიმე მუხლნი სჯულსადებელად“ და მეფემ „მოიწონა ესე სჯულდება სამოქმედოდ, გარნა სიკვიღმან მოუსწრაფა“¹. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე 1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა, ხოლო 1801 წელს რუსეთს შეუერთდა ქვეყანა და განზრახულ რეფორმებს განხორცილება საერთოდ აღარ ეწერა.

¹ იონან ბ ა გ რ ა ვ ი ლ ი, სჯულღება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი)... გამახცა ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე მ, თბ., 1957, 3, 59.

ჩვენი წერილი იოანე ბატონიშვილის წინადადებითა გამო წამოჭრილ ერთ-ერთ საკითხს ეძღვნება.

„სჯულდების“ მთავარი დანიშნულება სახელმწიფო მმართველობის მოწყობა-მოწყობის რეგულირება იყო და, ცხადია, მასში დიდი ადგილი აქვს მიჩენილი სამოხელეო აპარატის ჩამოყალიბებას: 103 მუხლიდან 52 გეგმობითაა სათაურით „მოხელეთათვის“ (მუხ. 18—70); მასვე ეკუთვნის „შედგომილება მოხელეთა“ (მუხ. 71—74), აგრეთვე რამდენიმე მუხლი ზოგ სხვა განყოფილებაშიც. იოანე ბატონიშვილის მიერ გათვალისწინებულ მრავალ თანამდებობას შორის, რომელთაგანაც ბევრი ძველთაგანვე არსებობდა ახლა კი გადახალისდა და ზოგიც ახლად უნდა შემოღებულიყო, ამჯერად მსჯელობა 62-ე მუხლის დანიშნულებაზე გვექნება.

„იოს“-ო, მოითხოვდა „სჯულდების“ ავტორი, „ქურდების უფროსი სახითა ამით: უკეთუ მოიპაროს ვინც რამ რა, და თუ იპოვეს, გარდახდება იმ ქურდსა, ვითარცა წესია, და თუ ვერ იპოვეს, მოვიდნენ და შეეხვეწენ და დამკარგველი იმა ქურდისა უფროსისა. იგი ეთიებს და ოდეს უბოოს, მისცენ თუმანზედ საპოვნელი ათი შაური (ე. ი. 5% — ავტ.), და ესე განუყოფს ფულსა მას აღებულსა ქურდებსა, და ამით უფრო იპოება. ხოლო ეს ქურდების უფროსი ვითა მღვდელი, ეგრეთვე გაამხელს მომპარავს, და ამით უფრო იპოება დაკარგული საქონელი. და ესე უნდა იყოს საჩქმუნო კაცი და დაფიცებული, რომ, რაც ქურდთ მოუტანონ, ის ნივთი არ დამალოს.

აგრეთვე იყვნენ ხევისბერნი, ქურდობისა და ავკაცთა ქართლსა, კახეთსა შინა გარდახდევინებულნი ჯარით. და ესენი მიიბარებდნენ ნარბევათა მათთა ხაზინადართა და ანგარიშსაც გაუწმენდნენ“².

ამნაირად მოწყობილი თანამდებობა ნაფიცო მოხელის — „ქურდების უფროსისა“ ერთი შეხედვით, ცოტა არ იყოს, უცნაურად მოჩანს. და ივ. სურგულაძემ, ძეგლის გამომცემელმა, იგი მართლაც „უცნაურ ინსტიტუტად“ მიიჩნია. თავის გამოკვლევაში მან განსაკუთრებით აღნიშნა ამ უცნაურობის მომსახურებელი ნიშნები. ერთი — დამნაშავის გაუმხელელობა, ვითარცა მღვდლის მიერ, რომელიც ვალდებულია აღსარების საიდუმლოება შეინახოს; მეორე ის რომ „მოხელე, ე. ი. ხელისუფლების წარმომადგენელი, ახდევინებს“ დაზარალებულს „საპოვნელს“ „და ამ თანხას ურიგებს ქურდებს“. ივ. სურგულაძე დასძენს: „... ასეთი ზომა საწინააღმდეგო შედეგს მოიტანს: ეს იქნებოდა ქურდობის ერთგვარი ლეგალიზაცია... საერთოდ კი, გაბატონებული კლასის ინტერესების თვალსაზრისითაც, ქურდობის ასეთი „შეწყნარება“ გაუმართლებელია. შეუძლებელია ხელისუფლების ორგანო კისრულობდეს ასეთ როლს“-ო (056—057)^{2ა}.

² ხაზგასმა აქცე და შემდეგაც, სხვა ციტატებშიც ჩვენი; სახევი ნიშნები ზოგან დაზუსტებულია. „აგრეთვე იყვნენ...“ გამოყოფილია აბზაცად, რადგან გამოცემის სქოლიოს თანახმად დედანში ეს ტექსტი აშინაზე წერია და მუხლში მისატანი ნიშანი არ უნის; უთუოდ იგი ცალკე დამატებით მუხლად ივარაუდებოდა. დაბოლოს, ამ მეორე აბზაცში „მიიბარებდნენ“ რომ არის, შეცდომა უნდა იყოს: ხევისბერი ვალდებული იყო „ნარბევი“ ე. ი. დამნაშავის ქოხება, „ჯარიმად“ გამართული, „ხაზინადარისათვის“ ჩაებარებინა და სათანადოდ ანგარიშმგებელიც იყო.

^{2ა} არსებითად ამჯერავე შეხედულება გაზიარებული იყო საერთოდ (სამართალი ბატონიშვილის დაეთისა... გამოსცა. დავით ფურცელაძემ, თბ., 1964, 0149.

ყოველივე ეს მართალია. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული წყაროებით არა ჩანს ფეოდალურ საქართველოში საერთოდ და, კერძოდ, XVIII ს. მიწურულში, როდესაც „სჯულდება“ იწერებოდა, ქურდობის რაიმე ლეგალიზებული ორგანიზაცია რომ არსებულებოდა; „ქურდების უფროსი“ არა გვხვდება აგრეთვე ქართულ საბუთებსა და სასამართლო პრაქტიკის მასალებში, რომელთაც ჩვენამდე საკმაო რაოდენობით მოაღწიეს. და მაინც...

იოანე ბატონიშვილი თავისი დროისათვის ფართოდ განათლებული ადამიანი იყო. ამას თუნდაც მისი ცნობილი, ენციკლოპედიური ხასიათის ნაწარმოები „კალმასობა“ მოწმობს. მან იცოდა უცხო ენები, სპარსული და რუსული მაინც. მას ბრძენი და სახელმწიფო კაცის სახელი ღირჩა. ძნელი დასაჯერებელია, რომ იგი სრულიად უპრეცედენტო, თავით ბოლომდე მოგონილ რასმე შეჰკადრებდა თავის მამა-მეფესა და თანამზრახველებს.

ამიტომ მეტი დაკვირვება გვმართებს. ჯერ საქმესთან უფრო ახლო გავიკვირებები ვნახოთ.

1. „სჯულებით“ გათვალისწინებული სამოხელეო აპარატის ერთი, არცთუ მცირე, ნაწილი სახელწოდებითაც და შინაარსობლივაც უფრო ასნაფების, ამქრების უსტაბაშებს გვაგონებს, ვიდრე წმინდა სახელმწიფო ფუნქციებით აღჭურვილ ორგანოებს. ასეთებია თუნდაც ყასაბბაში, სირაჯბაში, ბაყალბაში, მეწვრიმალეთა, ხარაზების, მკერვალთა უფროსები, ბაზაზბაში, დალაქების, მექვაბეების, ოქრომჭედლების, მესანთლეების, კალატოზების, დაბაღების, მღებრების, ქვის მთლელების უფროსები და მისთ. თბილისში, და სხვა ქალაქებშიც, XVII-XVIII სს. ცნობილია შესაბამისი ასნაფები. ცნობილია ისიც, რომ თუ ყველასი არა, მთავარი ასნაფების უსტაბაშები მაინც მეფის მიერ ინიშნებოდნენ და მათი საქმიანობა სამეფო სამსახურად ითვლებოდა; ამ სამსახურისათვის მათ გასამრჯელოც ეძლეოდათ. საამქრო ორგანიზაცია პროფესიული ნიშნით იქმნებოდა და ისევე, როგორც სხვა აღმოსავლურ ქვეყნებში, ჩვენშიც ხელოსნებისა და ვაჭრების გარდა ასნაფებად სხვა ხელობის მიმდევარნიც ერთიანდებოდნენ, მაგალითად, მხატვრები, ექიმები და მრავალი სხვა; თურმე მათხოვრების ასნაფიც კი ყოფილა.³

და ასეთ „ბაშებსა“ და „უფროსებს“ შორის, „მეჭურჭლეთ“, „მხატვრების“, „საზანდრების“ უფროსების შემდეგ (მუხ. 58—61) და „დაბაღების“, „მღებრების“, „ქვის მთლელების“ წინ (მუხ. 63—65) მოთავსებულია „ქურდების უფროსი“. უნებურად იფიქრებს კაცი, აქაც პროფესიული ორგანიზაცია, ბოროტმოქმედთა რაღაც ასნაფი ხომ არ უნდა ვიგულისხმობთ?

2. „ქურდების უფროსი“ ნაეარაუდევია მხოლოდ ქალაქისათვის, თბილისისათვის. იმავე 62-ე მუხლის გაგრძელება აშოაზე, უფრო კი ცალკე, დამატებული მუხლი (ნ. ზემოთ). „ქურდებისა და ავკაცთა დევნას და მათთვის ჯარიმის გადახდევინებას“ ქართლ-კახეთის სხვა ადგილებში ავალებს „ხევისბერებს“, რომლებიც სულ სხვა ნამდვილი მოხელოებითი წესით მოქმედებენ (ხევისბერობაზე ნ. ქვემოთაც, მე-5 პუნქტში, სქ. 9). მაგრამ ქალაქად არის კიდევ ერთი მოხელე, ასასბაში, მოურავის ხელქვეითი, რომელიც უნდა „იტყავდეს... დუქნებთა და მისი, სახლებთა და ქარვასლებთა, ქურდებისა“

³ საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, 370. III. А. Месхиа. Города и городской строй феодальной Грузии XVIII в., Тб., 1959, 326—327, 336—338.

გან, და მეჩხუბართ კაცთაც ეს შეიპყრობდეს, და თვისსა მოურავსა ესე ცხადუყოფდეს მის ქალაქისა ესევეთართა საქმეთა...“ (მუხ. 37). ცხადია, აქ საუბარია იმაზე, რაც 62-ე მუხლში „ქურდების უფროსის“ მოქმედების გარეშეა დატოვებული: „თუ იბოვნეს (ასასაშმა. — ავტ.), გარდასდება იმ ქურდსა, ვითარც წესია“, ე. ი. მრავალკეცად, ჩვეულებრივ შეიძლეულად, რაც ქურდობისათვის ძირითად სანქციას წარმოადგენდა. „ქურდების უფროსს“ კი უნდა ემოქმედა მხოლოდ მაშინ, „თუ ვერ იბოვნეს“ — და როცა მას დაზარალებულნი „შეეხვეწებოდნენ“.

3. საეკლესიო ცნობას ჩვენს საკითხისათვის გვაწვდის 1725 წ. უსახელო სპარსული ძეგლი, ჩანს, „სახელმწიფო აპარატის ერთ-ერთი მოხელის“ შედგენილი „თაზქირათ ალ-მულუქი“ — „ხელმწიფეთა სამახსოვრო“, რომელიც სხვას შორის „ისფაჰანის მოხელე — ხელისუფალთა უფლება-მოვალეობათ“ — აც ავიწერს. „ასასი, — იუწყება ეს ძეგლი, — რომელსაც მისი საქმიანობის მიხედვით, „მირშაბს“ უწოდებენ, ტარულას (იმავე ქართული მოურავის. — ავტ.) ხელქვეითია, ისიც (ტარულასავით. — ავტ.) რაზმთან ერთად, რომელიც მასთანაა, ღამის განმავლობაში გუშავობს. ქურდობა, რომელიც იმ უბნებში მოხდება, [მან] დილით ტარულას უნდა მოახსენოს. იმ შემთხვევაში თუ ქურდობა მოხდება და [მოპარულ] საქონელს მირშაბი აღმოაჩენს, იგი თავისთვის იტოვებს საქონლის 2/6 ნაწილს (33%-ს. — ავტ.), რომელიც ადათის მიხედვით მის გასამრჯელოს წარმოადგენს. საქონლის დანარჩენი ნაწილი კი... მან, დივანბეგისა (უფროსი მოსამართლის, — ავტ.) და ტარულას ნებართვით, პატრონს უნდა დაუბრუნოს. თუ [ასასი] ქურდს ვერ შეიპყრობს... მოპარულს საქონლის ღირებულება იგი საკუთარი სახსრებით ან გაიღებს“⁴.

ერანის ადმინისტრაციული წყობა და პრაქტიკა იოანე ბატონიშვილს, რა თქმა უნდა, კარგად ეცოდინებოდა. საფიქრებელია, სპარსული „ასასობის“ ელემენტები მას რამდენადმე მხედველობაშიც ჰქონდა, როცა იგი „ქურდების უფროსის“ და „ასასის“ თანამდებობებს აყალიბებდა.

4. „ქურდების უფროსობის“ კერძოსამართლებრივი კონსტრუქციის საფუძვლად იოანე ბატონიშვილი, ეტყობა, პოვნის ინსტიტუტს გულისხმობდა. დაზარალებულის გადასახდელს იგი ნაპარევის 5%-ად განსაზღვრავს და „საპოვნელს“ უწოდებს. „მსგავსიერი (ე. ი. შესაფერისი. — ავტ.) საპოვნელა“ („საპოვნელა“), თანაც ნამეკობრევის, ნაძარცვ-ნაქურდალის პოვნისათვისაც, ცნობილია აღბულას სამართალში, ოღონდ მპოვნელი თვითონ „მეკობრევე“ არ უნდა ყოფილიყო (მუხ. 92)⁵.

5. როცა „ქურდობის უფროსზე“ ვმსჯელობთ, არ შეიძლება არ გავისხენოთ ძველთაგან ცნობილი მოხელე, რომელსაც „მპარავთ მეძებელი“ („მეძიებელი“, „მეძებარი“), „მეკობრის მძებელი“, მოგვიანებით აგრეთვე „ქურ-

⁴ კარლო კუცია, „თაზქირათ ალ-მულუქი“ ცნობები საქართველოს შესახებ, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, III, თბ., 1971, 263, 269, 270, 271. წერილის ავტორი განმარტავს „მირშაბი“ „ღამის მეფეს“ ნიშნავსო (შენიშვნა 23). საქართველოში ასასობისა და ასასაშუმობის თაობაზე, იხ. III. А. Месхиа, დასახ. თხზ. 254—255, 297.

⁵ ქართული სამართლის ძეგლები, I, „ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული... გამოსცა... პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1963 (შემდგომ ამ სერიის გამოცემებში შემოკლებით „ქს“-ად აღინიშნება).

დის მძებნელი“ ერქვა. საგანგებო რეპრესიის სამძებრო-სასამართლო ორგანო- „სამართალი სამპარავთ-მეძებლოა“ შემოღებული უნდა იყოს თუ უფრო ადრე არა, გიორგი III მეფობაში მაინც (XIII ს.). „მეკობრის...“ თუ „ქურდის მძებნელობის“ ანალოგიად იონან ბატონიშვილის „ხევისბერობა“ მოჩანს. „ქურდის მძებნელს“ სახელმწიფო მოხელეობის ცხადი ნიშნები ახასიათებს. XVI ს. ცნობით, და ასევე იქნებოდა, უეჭველია, იმთავითვე, იგი ინიშნებოდა მეფის მიერ ფეოდალთა წრიდან; მეფევე განსაზღვრავდა მის უფლება-მოვალეობას და სამოქმედო არეს; იგი მაშინდელი წესისამებრ იღებდა გასამრჯელოს ეგრეთ წოდებული სარგოს სახით (ქურდობის ჯარიმის ნაწილს). ახლა მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, „მეკობრის“... თუ „ქურდის მძებნელობაზე“ არსებობს ლიტერატურა⁶ და ეს საყურადღებო დანაწესები კვლავაც გამოსაკვლევი.

ჩვენს საგანთან შეიძლება კავშირი ჰქონდეს ძველი ისტორიოგრაფიის ერთ საგულისხმო ცნობასაც. თამარის დროსო, წერს ლაშა გიორგის მემბტიანე, „საყდართა და მონასტერთა დალუწვა ვერცხვ იკადრებდა. ქარავანსა ვერცხვს ძარცვდა ამირი და იმირი ...ერთიცა ქითამი არსად მოიკვლიდა: მპარავი, ავის-მოქმედი აღარ იყო. თუნაპარევი ვინმე პოვოს კარსა ზედა მიიღოს და დროშათა ქუეშე დაღვიოს...“-ო⁷. აქ, უნდა ვიფიქროთ, მხედველობაშია სამეფო კარი და დროშა რომელიც, შესაძლოა, სწორედ „სამპარავთ-მეძებლო“, დაწესებულებასთან.

ახლა ვნახოთ უფრო შორეული ამბები რომლებიც ერთგვარად შექსა პდენს „ქურდების უფროსობას“, ხოლო ზოგჯერ საოცრად მსგავს მოვლე-

⁶ ივ. ჯ. ა. ვ. ა. ხ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ქართული სამართლის ისტორია, II², ტფ., 1929, 480—483 ივ. ს. უ. რ. ვ. ლ. ა. ძ. ე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება გვიანფეოდალურ პერიოდში, თბ. 1952, 339—345; მ. ი. ს. ი. ვ. ქართული სამართლის ისტორიის მნიშვნელოვანი ძველი (გიორგი III 1170 წლის სიგელი) „საქ. სსრ მეცნ. აკად. სპეც. მეცნ. განბის მოამბე“, 1960, 1; მ. ი. ს. ი. ვ. ქართული სამართლის ისტორიის მნიშვნელოვანი ძველი (გიორგი III 1170 წლის სიგელი), „მოდენე“, ფილოს., ფსიქ., ეკონომ. და სამართლის სერია, 1972, 2. ერთი რამ აქვე უნდა აღინიშნოს. სახელწოდება „ხევისბერი“, თუ გავითვალისწინებთ, როგორ გვიხასიათებს ამ მოხელის თანამდებობას იონან ბატონიშვილი, მოულოდნელია. ამ ღირსებით აღჭურვილი პირი ცნობილია ხევის (თემის) თავაკადი, მის საერო და საეკლტო ხელმძღვანელად. ხევის—ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის უფროსი, ადგილობრივი მმართველობის მოხელე კი „ხევისუფლად“, „ხევისთავად“ იწოდებოდა. XVI—XVIII სს „ხევისთავობა“ „მეკობრის...“ თუ „ქურდის მძებნელის“ მსგავს, მის შემკვლელ თუ ერთამეორ თანამდებობასავეთ ვეველინება, თანაც არა მარტო სახელმწიფო, არამედ საეკლესიო სამოხელეო პარატყვიც. იმას რომ „მპარავთ-მძებნელობის“ შინაგანსით „ხევისთავები“ უკვე XVI ს. ყოფილან, და რომ ასეთი მოხელე ეკლესიასაც ჰყოლია ხოლმე, საბუთები გვიდასტურებს—ქსტ. II. საერო საკანონმდებლო ძველები (X—XIX სს.), 1965, საბ. 56, III. საეკლესიო საკანონმდებლო ძველები (XI—XIX სს.), 1970, საბ. 347, IV. სასამართლო განჩინებანი (XVI—XVIII სს.), 1972, საბ. 10.

⁷ ქართლის ცხოვრება... ს. ყ. ა. უ. ხ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ს. (გამოცემა), I, თბ., 1955, 369. „ებრაული ხალხური თქმულებებით იერუსალიმში ყოფილა ძველად „ქვა დაკარგულთა“ და ჩვეულების თანახმად დაწკარვის მპოუნელს თითომ აქვასთან უხდა მიეტანა, რომ პატრონს ეცნო იგი და გამოეთხოვა. Джон Марко А л л е г р и, Сокровища медного свитка, Изд. «Наука», Главн-редакция восточной литературы, М., 1967, 88. ქვის თაობაზე შუა ქალაქში, საჯარო ადგილას, სადაც ვარიეტებზე იღებოდა, ნ. აგრეთვე ძე. წ. V საუკუნის ბერძნული სამართლის ძველში: ლ. ი. ო. ს. ე. ლ. ი. ა. ნ. ი., გორტინის კანონები, შესავალი, ტექსტი, თარგმანი კომენტარებითა და ლექსიკონით, თბ., 1966, გვ. 39—40, ხეცტ. X და XI.

ნებასაც წარმოვედგენს. საქმე ის არის, რომ ძველად ბევრ ქვეყანაში არსებული ასე თუ ისე დანაშაულებრივად მიჩნეული ხელობების მიმდევართა ორგანიზაციები — ასნაფები თუ კასტები და ტომებიც კი. და მათ, რა თქმა უნდა, თავ-თავიანთი მოთავეებიც ჰყავდათ.

1. ბერძენი ისტორიკოსი დიოდორე სიცილიელი (I ს. ძვ. წ.) მოგვითხრობს რომ ძველ ეგვიპტეში ქალაქის ყოველი მცხოვრები აღირიცხებოდა და საამისო ნუსხაში საარსებო წყაროც იწერებოდა. ეს ქურდებსაც ეხებოდა და არსებობდა ქურდების კასტაც კი, რომელსაც თავისი უფროსი თუ მამასახლისი ჰყოლია. ვისაც ქურდობა ხელობად სწავდა, მასთან უნდა აღნუსხულიყო და ნაქურდალი მისთვის ჩაებარებინა ხოლმე. დაზარალებული მიმართავდა ქურდების უფროსს, წარუდგენდა წანაღები ნივთების ნუსხას და განუცხადებდა დღესა და საათს, როდესაც ისინი წარსტაცეს. მას ნაქურდალის მეოთხედი, ე. ი. 25%, უნდა გადაეხადა და თავისი ქონება დაუბრუნდებოდა. ეს გადასახადი ქურდების, ასე ვთქვათ, ასნაფის შემოსავალი იყო. ქურდების კასტის წევრებს სახელმწიფო არას ერჩოდა, ხოლო თუ სხვა ვინმე იქურდებდა, ის კი, მართალია არცთუ ძალიან მკაცრად, მაგრამ დაისჯებოდა, — ნაქურდალი ორმაგ-სამმაგად უნდა გადაეხადა⁸. ეგვიპტურ პანთეონში ბოროტების ლეთაება სეტი „ქურდობის მეუფედ, ძარცვს განმამტკიცებლადაც“ მიაჩნდათ⁹. ბერძენივე ისტორიკოსის ჰეროდოტეს (V ს. ძვ. წ.) მოთხრობით, ფარაონის ტახტის მიმტაცებელი იახმოსი (569—525 ძვ. წ.) გამეფებამდე თვითონაც ქურდი ყოფილა¹⁰.

ის, რომ „ეგვიპტეში ქურდის ხელობა შეწყნარებული იყო სახელმწიფოს მიერ“ მოხსენიებული იყო, მართალია შუალობითი წყაროს დამოწმებით, XIX ს. ქართველ ავტორთაგანაც. ქურდობა დაშვებული იყო სპარტაშიც¹¹.

⁸ Диодора Сицилийского историческая библиотека, Перевод с греческого, I, СПб., 1774, 80. Георг Эберс, Уарда, Роман из жизни древнего Египта... Ответств. ред. акад. В. В. Струве, Москва, 1965, 285 и 473 (შენიშვნა, რომელშიც გ. ებერსი, თვითონაც ეგვიპტოლოგი, დიოდორესვე იმეორებს). Д. Г. Редер, Законодательство в Древнем Египте—«Культура Древнего Египта», I, 1976, 284, დ. რედერივალნიშნავს, რომ ძველი სამყაროს სხვა ქვეყნებში ქურდობა ბევრად სასტიკად იდგენებოდა; მაგ., ბაბილონის მეფის ნამურაბის კანონებით (XVIII ს. ძვ. წ.) ქმედობის მავალად იცნობებელ ვარემოებათა კვალობაზე ქურდი, თუ სიკვდილით არა, 10—30-ჯერად გადახდებიან მათი ისჯებოდა (მუხ. 6, 8, 256)—Законы Вавилонии, Ассирии и Хетского царства Перевод и коммент. под ред. И. М. Дьяконова—«Вестник древней истории», 3 (40), Москва, 1952, 225—261.

⁹ И. Л. Снигирев и Ю. П. Францов, Древний Египет. Исторический очерк, 1938, 294. ასევე ბერძენული ლეთაება ჰერმესი „დახლოვებულ ქურდადაც“ ითვლებოდა და სახვითს ხელოვნებაში მას ზოგჯერ ქურდად წარმოადგენდნენ. (Больш. Энцикл... Изд. Библиогр. Ин-т (Мейер) в Лейпциге и Вене, Книгоиздательское т-во «Просвещение» в С.-Петербурге, 6, С.-Петербург., 1903, Гермес; მითოლოგიური ლექსიკონი, შეადგინა ნოდარ გაფრინდაშვილმა, თბ., 1972, ჰერმესი.

¹⁰ Д. Г. Редер, დასახ. თხზ., 284.

¹¹ И. С. Джабадари, Смертная казнь в связи с правом наказания, СПб., 1895, 81—82. ავტორი უთითებს ჩ. ლომბროსს თხზულების ფრანგულ თარგმანს. რუსულად ეს ნაწარმოები—„L'uomo delinquente in rapporto alla antropologia, alla giurisprudenza ed alla discipline carcerarie“ გამოცემულია სახელწოდებით «Новейшие успехи науки о преступнике». (СПб, 1892). История древней Греции, Изд. 2-е под ред. В. И. Адиева, М., 1972, 117—119.

2. მპარაობის ერთგვარი სწორედ რომ ლეგალიზაციისა რა ვთქვათ და სხვაფრივ კი ქურდების, ჯიბვირების, მეძავეებისა და მისთანათა გაერთიანებები სახალიფოს დროიდან ერთობ ცნობილია აღმოსავლეთში. კერძოდ, ქურდების ასნაფი დადასტურებულია ოსმალეთის იმპერიაში და მის უფროსს „კაპია“ სწოდება; ზოგი ცნობით, ქურდების ასნაფი გადასახადს უხდიდა სახელმწიფო მოხელეებს. შუა საუკუნეების ბალდაღში არსებობდა ამხანაგობები, ასნაფები თუ სამოეები, ყველა ხელობის მიხედვით. და მათ სათავეში „უხუტეცები“ (Genossenschaftsälteren) ედგნენ. ყოფილა თურმე შემთხვევა, როცა ბალდაღში არეულობის დროს ქურდების ასნაფს ქალაქი ხელში ჩაუვდია და მოკლე ხნით თავისი რაღაც მმართველობაც კი შემოუღია; ასნაფის წინამძღოლნი ცხენით ქუჩებს უვლიდნენ და ბრბოს იმხრობდნენ; ქალაქის ნაცვალს ისღა უღონია, რომ თავისი ძმისწული, ასნაფის წევრად გადაცემული, მათ წრეში სანდო პირად შეუჩენია¹².

3. „...რივევდას ... თანახმად ... ინდუსები დაყოფილი არიან ძირითადად ოთხ კლასად თუ „ფარად“ («варна»-ად): ბრაჰმანებად, ქშატრიებად, ვაიშიებად და შუდრებად («брахманы, кшатри, вайшии и шудра»); ამ კასტების გარეშე რჩებიან „შეუხებელნი“. სინამდვილეში ამ ძირითადმა დაყოფამ გამოიწვია უფრო რთული რეჟიმის დაწესება 2000-დან 3000-მდე კასტის („ჯატის“-джати) თუ ქვეკასტის არსებობით... ტრადიციით არსებობს მჭიდრო კავშირი კასტასა და ხელობას შორის“¹³. საზოგადოების ასეთი დაყოფის ვითარებაში ინდოეთის ზოგ „ტომს“ „ინგლისის ეთნოგრაფიული ლიტერატურა ეგრეთ წოდებულ „პროფესიონალ ბოროტმოქმედთა ტომებს“ აკუთვნებს. ფეოდალიზმის ხანაში, წოდებრივ-კასტური წყობილების ბატონობის პირობებში, ინდური კასტების სისტემაში წარმოიქმნა ქურდული კასტებიც, რომელთაც ინდუიზმი წოდებრივ-კასტური იერარქიის უდაბლეს ხარისხზე მყოფად განიხილავდა. ინდოეთის კოლონიური დაპყრობის შემდეგ ინგლისელებმა თანდათან იწყეს ზოგი ასეთი ჯგუფის დასახლება საგანგებო რეზერვაციებში“¹⁴. ბოროტმოქმედთა, კერძოდ ქურდ-ავაზაკების, ამგვარი კასტების არსებობა ინდოეთში აისახა როგორც სამართლებრივს ლიტერატურაში, ისე სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც; იხსენიება ზოგი ასეთი კასტის სახელწოდება («Jaska Khail», «крим», «санхси») და მფარველი ღვთაებაც («Багири-Махалакшми»); აღწერილია ნიშანდობლივი ამბები, მაგალითად: მამის მიერ ახალგაჩენილი ვაჟის გაძვრენა სახლის კედლის საგანგებოდ

¹² ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ის ტორიიდან (ფეოდალური ხანა), ვ. ნ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ის რედაქციით, თბ., 1957, HAR. G i b b and Harol d B o w e n, Islamic Society and the West, I, 1959, 977. H. T h r o n i n g, Beiträge zur Kenntnis des islamischen Verein wessens auf Grund von Bast Madad et-Tanf ig—Türkische Bibliothek, XVI, Berlin, 1913, 211. Kuetergeschichte des Orients unter den Chalifen, von Alfred K r e m e r II, Wien, 1877, 187, 188.

¹³ Рене Д а в и д, Основные правовые системы современности (Сравнительное право), перевод с французского докт. юрид. наук М. А. Крутоголова и канд. юрид. наук В. А. Туманова, Москва, 1967, 417—418.

¹⁴ Джим К о р б е т т, Моя Индия, Перевод с англ., под ред. и с предисл. Г. Г. К о т о в с к о г о, АН СССР, Инст. народов Азии, М., 1961, 6, 90. Мохиндер Сингх, Угнетенные касты Индии, Сокращ. перевод с англ. О. Л. Орестова. Пред. и общ. ред. А. А. Пронина, М., 1953, XVII.

8. „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1981, № 1

საამისო ხვრელში; და თან დალოცვა—„იყავ ქურდი“-ო; ბავშვების ვარჯიშობა-დახელოვნება ქურდობაში მოხუცის მიერ; ასეთი ანეკდოტც კი, ვითომ ორი მეგობარი, შეძლებული სოვდაგარები, თავისი კასტის წესის შესანახად, წელიწადში ერთხელ ერთმანეთს მოსაჩვენებლად რასმე ჰპარავდნენ, ხოლო მერმე უკანვე უბრუნებდნენ¹⁵.

იოანე ბატონიშვილს ინდოეთის ამბები, წერილობითს ცნობებს რომც შეევეშათ, შეიძლებოდა გადმოცემით მაინც, სხვა არა იყოს რა, თავისი პაპის, ინდოეთში ერანის ლაშქრობის მონაწილის ერეკლე II მონათხრობითაც სცოდნოდა.

ამრიგად, განზრახვა „ქურდების უფროსობის შემოღებისა მოხელობითი სახით ეგოდენ უჩვეულოდ აღარ უნდა გვეჩვენებოდეს.

ეს ნაფიცი მოხელე შეიძლებოდა ქურდების რაღაც ასნაფის უფროს-უსტაბაში, თუ ნაუფროსალ-ნაუსტაბაშარი, ყოფილიყო, ხოლო ახლა ექვსრა ბორჯომშიმედლა შორის თავისი კავშირები და გავლენა სახელმწიფო სამსახურში გამოეყენებინა; ანდა შეიძლებოდა იგი ჩვეულებრივი წესით სამოხელეო წრიდანვე „სარწმუნო კაცად“ შერჩეულიყო და თანამდებობა ქურდების ასნაფთან ურთიერთობის დამყარებით, მისი ნდობის მოპოვებითა და მასთან, ასე ვთქვათ, თანამშრომლობით აღესრულებინა. ასე იქნებოდა თუ ისე, იოანე ბატონიშვილის ამგვარ ხერხს სისხლისსამართლებრივს პოლიტიკაში ვერც ყოვლად უცხოვდ და ვერც მთლად შეუწყნარებლად თითქოს ვერ გამოვაცხადებთ, მეტადრე თუ შემდეგ გარემოებებსაც გავითვალისწინებთ.

ა. ამ ხანის საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლებას სიმტკიცე და ძლიერება აკლდა, ე. ი. აკლდა თვისებები, რომელთა გარეშეც დანაშაულობის თანამიმდევრული და დაუთმობელი დევნა ადვილი არ იყო.

ბ. ამავე დროს XVIII ს. მეორე ნახევარში „კლასობრივი ბრძოლის გამწვავება“, ფეოდალური დამოკიდებულების თანდათან შეზღუდვა და... შლის პროცესი“ ხელს უწყობდა „გლეხთა დიდი ნაწილის გალატაკებას“; გაძლიერდა გლეხობის ლტოლვა ქალაქად, თანაც ისეთი გლეხებისაც, რომელთაც არც რამე ხელობა იცოდნენ და არც ალებ-მიცემობისათვის საჭირო სახსარი გააჩნდათ. ამას კი უნდა მოჰყოლოდა დეკლასირებული ფენის ზრდა ქალაქის მოსახლეობაში, ფენისა, რომელსაც ჯერ კიდევ ძველადვე „გლახაკები“ ეწოდებოდა¹⁶. ამგვარს ვითარებაში ქურდობა, ერთობ „აკვატობა“, რომლადაც, შესაძლოა, სხვა ქონებრივი დანაშაულიც უნდა იგულისხმებოდეს, ცხადია მომრავლებული იქნებოდა და საგანგებო საზრუნავადაც გახდებოდა. ეს საზრუნავი, რა თქმა უნდა, ერთბაშად არ გაჩენილა. ნიშანდობლივია, რომ

¹⁵ Журнал Сингх, Поминальный огонь, Повесть, Перевод с пенджаского И. Кудрявцевой и И. Рабиновича, жур. «Иностранная литература», 1974, 12, 14, И. С. Джабадары, დასახ. თხზ., 81; Альфред Шклярский, Томек ищет снежного человека, Изд. «Slask» Катовице, 1975 (ред. русск. изд. Арцимович В. Э.), 17, 136, 141, 159.

¹⁶ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ. 1973, 555; III. А. Месхиа, დასახ. თხზ., 145—146. რ. მეტრეველი. დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში (V—XII სს.), თბ., 1976.

ვახტანგ VI ქურდობა სხვა დანაშაულთაგან სრულიად განაცალკევა და თავისი „სამართლის“ სისტემის განმსაზღვრელ ერთ-ერთ „კარადაც“ კი წარმოადგინა.

ამ მიზეზებით თუ იყო, რომ იოანე ბატონიშვილს ქურდობასთან საბრძოლველ ტრადიციულ ორგანოთა („ხევისბერი“ — „ხევისთაი“, „ასასბაში“) გარდა დამხმარე ხერხად, თანაც სწორედ ქალაქისათვის, „ქურდობის უფროსობა“ დასჭირვებია.

Г. Н. НАДАРЕИШВИЛИ, Д. Л. ПУРЦЕЛАДЗЕ

ОБ ОДНОМ ПРЕДЛОЖЕНИИ ЦАРЕВИЧА ИОАННА

Резюме

«Законоположения» или «Предложения» государственных реформ, разработанные царевичем Иоанном на исходе XVIII в., предусматривали в части управленческого аппарата ряд должностей, совмещающих в себе элементы цехового старшины и административного органа. Среди них особенно обращает на себя внимание должность «начальника воров», предполагавшаяся только в Тбилиси в помощь государственным органам по преследованию воровства. Используя связь с преступным миром, «начальник воров» должен был находить краденое и возвращать его потерпевшим со взысканием с них известной платы в пользу воров. Эта на первый взгляд как-будто противоречивая в своей сущности должность не столь беспрецедентна. Известно, что в соответствии с профессиональным началом цеховой организации на Ближнем Востоке, например, в Багдаде существовали и объединения лиц, занимавшихся непропорциональной деятельностью; в частности, в Тбилиси имелся, оказывается, даже цех нищих. На низших ступенях кастового строя в Индии отмечается наличие беднейших племен-каст, промышленящихся в основном преступлениями, главным образом, имущественными. Должность «начальника воров» имеет известное сходство с исфаханским ночным стражем «миршаомм» и почти полностью повторяет старшину касты воров в Древнем Египте. Наконец, в эпоху всегрузинской феодальной монархии, согласно летописным сообщениям, существовал порядок, в силу которого «нашедший» краденое должен был принести его «ко двору» и положить «у знамени»; это сообщение, возможно, имеет в виду истари известный специальный орган — «вороразыскательный суд». Положение Грузии к концу XVIII в., сложная внешне- и внутривосточная обстановка, разложение феодально-крепостнических отношений, обострение классовых борьбы, немалый слой деклассированных элементов в населении Тбилиси и притом слабость государственной власти — все это в известной мере объясняет, почему царевичу Иоанну понадобилось обратиться к экстраординарному институту «начальника воров».

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორმა

სახალი წიგნები:

- ა. გუნი ა, აღწარმოების თეორიის საკითხები ვ. ი. ლენინის ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, თბ., „მეცნიერება“, 1980;
- ა. ჯიბუტი, აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის განვითარება, თბ., „მეცნიერება“, 1980; საბჭოთა საქართველო (მოკლე ისტორიულ-ეკონომიკური ნარკვევი) 1921—1981, თბ., „მეცნიერება“, 1981;
- ა. თეთრსული, სამუშაო ძალის კვლავწარმოებისა და შრომის ბალანსის საკითხები საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, თბ., „მეცნიერება“, 1980;
- შ. მელაძე, სოფლად წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფის გზები. თბ., „მეცნიერება“, 1980;
- ხ. დარისკანაშვილი, წმინდა შემოსავლის როლი სკკ XXV ურბოლის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, თბ., „მეცნიერება“, 1981;
- ვ. მაყაშვილი და სხვ., დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., „მეცნიერება“, 1980; სოციოლოგიისა და დემოგრაფიის პრობლემები. თბ., „მეცნიერება“, 1980, ნაწ. 1;
- Д. Г. Хецуриани, Значение моральных норм в советском гражданском праве, Тб., «Мецниереба», 1980;
Законы Вахтанга VI (памятники грузинского права, I), Тб., «Мецниереба», 1980;

ფასი 70 კპ.

ბ. 168/138

Индекс 76 196

